დანართი №3

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები თავმჯდომარე: მანანა მახარაშვილი **წევრები:** ალინა კუპრავა ვალერი ჯაჯანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: - „თეგეტა აკადემია“--
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ---შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება----
საიდენტიფიკაციო კოდი: ------405237122---------
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

მიმდინარე წლის 22-24 ოქტომბერს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის ბრძანების MES 8 24 0001182924 საფუძველზე, ვიზიტი განხორციელდა შპს თეგეტა აკადემიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, დაწესებულებისა და მისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, „სავალი ნაწილის შეკეთება“, “ძრავის შეკეთება“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტის დროს შემოწმდა როგორც პსდ, ისე პარტნიორი ორგანიზაცია და მის მიერ გამოყოფილი სივრცე პრაქტიკული სწავლებისთვის. პსდ-ს მიერ ორგანიზებული იყო შეხვედრები ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და კურსდამთავრებულებთან. მიმდინარე ეტაპისთვის პსდ-ს პროფესიული სტუდენტები არ ჰყავს.

შპს „თეგეტა აკადემია“ საგანმანათლებლო საქმიანობა ახორციელებს 2013 წლიდან და აქტიურად ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას ტექნიკური და ბიზნეს მიმართულებებით. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსი მოიპოვა 2019 წელს (2019 წლის 17 იანვრის ავტორიზაციის საბჭოს №04 გადაწყვეტილება, ცვლილება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №179 გადაწყვეტილება). ავტორიზაციის ვადაა 17.01.2025 წელი. პსდ-ს მოპოვებული აქვს ასევე არაფორმალური განათლების აღიარების უფლება (სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის წლის 27 ნოემბრის ბრძანება MES 2 20 0001132242 შპს „თეგეტა აკადემიისათვის“ არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მინიჭების შესახებ). აქვს 3 ფილიალი თბილისში, ფოთსა და ბათუმში.

დაწესებულების საქმიანობის შესახებ საერთო სტატისტიკური მაჩვენებლები ასეთია: მიმდინარე პერიოდისთვის ახორციელებს 3 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის, პირველი კერძო კოლეჯია ავტოინდუსტრიაში, რომელმაც დაიწყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ბიზნესთან თანამშრომლობით. გრანტის ფარგლებში შემუშავებული აქვს 20 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა, რომლებსაც ძირითადად ახორციელებს ბათუმისა და ფოთის მისამართებზე. აქვს 60-მდე აქტიური ტრენინგ მოდული, 900-მდე განხორციელებული ტრენინგი. ამ პერიოდისთვის, დაწესებულების ბოლო მონაცემებით, აკადემიის მომსახურება გავლილი აქვს 11 000-მდე მონაწილეს. მომსახურებით კმაყოფილების მაჩვენებელია - 97%.

წარმოდგენილი თვითშეფასებით დაწესებულებას სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასებული ჰქონდა „სრული შესაბამისობით“, ექსპერტთა მიერ შეფასების გრადაცია უცვლელი დარჩა. ექსპერტთა მიერ გაიცა მხოლოდ განმავითარებელი რეკომენდაციები. ავტორიზაციის ექვსწლიანი ციკლის განმავლობაში აშკარაა როგორც საკუთრივ შპს „თეგეტა აკადემიის“ განვითარების დინამიკა, ისე დარგობრივი მიმართულებით მისი წვლილი პროფესიული კადრის მომზადებასა და განვითარებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
„ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალური გარემო	დუალური	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129
„სავალი ნაწილის შეკეთება“	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებული გარემო	იმიტირებული	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129
“ძრავის შეკეთება“	არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებული გარემო	იმიტირებული	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველადი ავტორიზაციის შემთხვევაში. ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	15	0	0	6
ძრავის შეკეთება	15	0	0	7
სავალი ნაწილის შეკეთება	15	0	0	0

შენიშვნა: ექსპერტთა ვიზიტის დროს პსდ-ს მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტი არ ირიცხებოდა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4) ადამიანური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძრავის შეკეთება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სავალი ნაწილის შეკეთება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 2. საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4. სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ა. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

I სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

(1) პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას - ***განმავითარებელი რეკომენდაცია*** *- პსდ-მ სასურველია, შიდა დოკუმენტაციის შემუშავებისას გამოყენებული გარე დოკუმენტების (სხვა ინსტიტუციების სტრატეგიული დოკუმენტები, საკანონმდებლო აქტები და ა.შ.) ცვლილების შემთხვევაში, პსდ-ს შიდა დოკუმენტაციაშიც გონივრულ ვადებში ასახოს შესაბამისი ცვლილებები.*

(3) დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, იქ სადაც მოითხოვს ფინანსურ/მატერიალურ რესურსს დაგეგმილი ამოცანის/აქტივობის შესრულება, განისაზღვროს შესაბამისი საპროგნოზო ფინანსური რესურსი.

IV სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

(1) პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული - **განმავითარებელი რეკომენდაცია -** სასურველია, პსდ-მ გაითვალისწინოს და დანერგოს სამუშაო აღწერილობების გაცნობის გავრცელებული პრაქტიკა, უზრუნველყოს დოკუმენტის პერსონალის მიერ გაცნობა, რაც დადასტურებული იქნება ხელმოწერით. ამასთან უზრუნველყოფილი იქნეს 2 ეგზემპლარის გაფორმება, თითო ეგზემპლარი მხარეებისთვის.

(2) პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-ს სტრუქტურა მოიცავს სამსახურებს, რომლებისთვისაც არაა იდენტიფიცირებული შესაბამისი საშტატო ერთეული. დებულებით განსაზღვრულია სამსახური და მხოლოდ ერთი პოზიცია. სასურველია, პსდ-მ ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის/სამსახურისთვის განსაზღვროს შესაბამისი, ერთზე მეტი პოზიცია, ან სტრუქტურაში დებულებით განსაზღვრული პსდ-ს ფუნქციების შესრულებისთვის გამოიყოს მხოლოდ პოზიციები (კომერციული პროექტების მენეჯერი, საქმისწარმოების სპეციალისტი/მენეჯერი).

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(3) პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-ს მიერ, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით, უცხოური ენის ფლობის მოთხოვნის განსაზღვრის შემთხვევაში სასურველია მიეთითოს მისი ფლობის დონე. ამასთან, პერსონალის პირად საქმეებში განთავსდეს ფლობის დონის შეფასების/დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულება.

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

(3) პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით- **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-მ სასურველია აწარმოოს პერსონალის განვითარების შესახებ სტატისტიკა, რომლიც მოიცავს ჩატარებული ტრენინგ/საათების, პერსონალის საერთო რაოდენობის, მიმართულებების, მათ შორის შიდა/გარე რესურსის ჭრილში და განვითარებაზე გაწეული რესურსების მაჩვენებლებს/ანალიზს.

V სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

(1) პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - სასურველია:

- ნებისმიერი წყაროდან შემოსული დოკუმენტი (მატერიალურად, თუ ელექტრონულად წარმოდგენილი) დაექვემდებაროს რეგისტრაციას. ამასთან მატერიალურად შემოსული კორესპონდენციის ციფრული ვერსიები, ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, ეს უზრუნველყოფს მათ ელექტრონულ რეგისტრაციასა და აღრიცხვის სანდოობას, რაც ასევე შეამცირებს რეესტრების მატერიალური ფორმით წარმოების რუტინას.

- მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, უწყისებს (ძირითადი, განმეორებითი შეფასების) რეგისტრაციისას მიენიჭოს უნიკალური ნომრები ინდივიდუალურად. რეგისტრაცია განახორციელოს მათ გაცემამდე. (დეტალური აღწერა იხ. ინდიკატორთან).

II სტანდარტთან მიმართებით განვითარების რეკომენდაცია:

შენიშვნა: რეკომენდაციები ვრცელდება ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

(7) პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - მიუხედავად იმისა, რომ პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სახელწოდებები ანალოგიუია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი კონცენტრაციებისა, მიზანშეწონილია კორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

ა) ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ან ,,ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

ბ) ,,ძრავას შეკეთება“ ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება“ ან ,,ავტომობილის ძრავას შეკეთება“.

გ) „სავალი ნაწილის შეკეთება“ - ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ან ,,ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2 .2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

(2) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - **განმავითარებელი რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია აკადემიამ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებელი პირი მოდულისთვის „საზეინკლო საქმის საფუძვლები“.

(5) საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში - **განმავითარებელი რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია, კორექტირდეს მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსი და ასევე დაემატოს პსდ-ს საკუთრებაში არსებული სასწავლო-საგანმანათლებლო რესურსი.

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

(1) პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად **-განმავითარებელი რეკომენდაცია** - სასურველია პსდ-მ შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო, მეთოდოლოგიური მითითებები პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

(1) პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - **განმავითარებელი რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია, შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, გადაიხედოს საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სკალა/ქულები.

(2) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - **განმავითარებელი რეკომენდაცია:** მიზანშეწონილია:

- პსდ-ს ვერიფიკატორთა ჯგუფის შექმნა იყოს დოკუმენტურად უზრუნველყოფილი (გამოიცეს ბრძანება), სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობას.
- ვერიფიკატორის მიერ შევსებულ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები, რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატორის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ წარმოდგენილი იქნა არგუმენტირებული პოზიცია (#00000070, 27.11.2024), რომლის თანახმად დაწესებულების მიერ გაცემული რეკომენდაციები ნაწილი პსდ-ს მიერ გაზიარებულია და წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულებები. არგუმენტირებული პოზიციის წერილისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაკორექტირდა განმავითარებელი რეკომენდაციები, კერძოდ:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორს 4.1.1.(2) პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-ს სტრუქტურა მოიცავს სამსახურებს, რომლებისთვისაც არაა იდენტიფიცირებული შესაბამისი საშტატო ერთეული. დებულებით განსაზღვრულია სამსახური და მხოლოდ ერთი პოზიცია. სასურველია, პსდ-მ ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის/სამსახურისთვის განსაზღვროს შესაბამისი, ერთზე მეტი პოზიცია, ან სტრუქტურაში დებულებით განსაზღვრული პსდ-ს ფუნქციების შესრულებისთვის გამოიყოს მხოლოდ პოზიციები (კომერციული პროექტების მენეჯერი, საქმისწარმოების სპეციალისტი/მენეჯერი).

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: პსდ-ს სტრუქტურული ორგანიზაციისა და სქემის შესახებ, წინასწარი შესწავლისა და ვიზიტის დროს, განხილული იყო გადმოგზავნილი დოკუმენტი, რომელიც დათარიღებული იყო 2024 წლით, თუმცა სხვა რეკვიზიტები, თვე, რიცხვი, ბრძანების ნომერი მითითებული არ ყოფილა. გადმოგზავნილი დოკუმენტის პირველ გვერდზე განთავსებულ სტრუქტურულ სქემაზე დაყრდნობით გაიცა ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია, სადაც საქმისწარმოებისა და კომერციული პროექტების სამსახური წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი საშტატო ერთეულით. მიმდინარე ეტაპზე არსებული რედაქციითაც კომერციული პროექტების სამსახური წარმოდგენილია მხოლოდ ერთი საშტატო ერთეულით (სამსახურის უფროსი). გამომდინარე იქედან, რომ თუ დაწესებულებისთვის პრიორიტეტულია ასეთი სტრუქტურული ერთეულის არსებობა, შესაძლებელია განსაზღვროს ამ კონკრეტული ერთეულის ფუნქციაიდან გამომდინარე ერთზე მეტი პოზიცია, რომელიც მიმდინარე ეტაპითვის დარჩება ვაკანტური, რითაც სტრუქტურული ორგანიზების პრინციპები იქნება გამართული. შესაბამისად, ***რეკომენდაცია ექსპერტების მიერ დარჩა უცვლელი.***

ინდიკატორი 4.1.2.(1) - პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის „შრომისა და სასწავლო შინაგანაწესის", შესაბამისად - **განმავითარებელი რეკომენდაცია** - პსდ-ს დოკუმენტის ზეგანაკვეთურთან დაკავშირებული მოთხოვნები ორგანული კანონის ძველი რედაქციით არის ფორმულირებული, ხოლო დოკუმენტი ასევ მოიცავს 48 საათიანი სამუშაოსა და სპეციფიკური სამუშაოს შესახებ ჩანაწერებს. გაიცა რეკომენდაცია, რომ გადაიხედოს აღნიშნული პუნქტები და რედაქტირდეს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად (ზეგანაკვეთური დროისა და მისი გაცემის მოთხოვნები), ასევე რედაქტირდეს ჩანაწერი სპეციფიკური სამუშაოს შესახებ, ვინაიდან, სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალის (საქართველოს მთავრობის №597დადგენილება, 26.12.2022) თანახმად, პსდ-ს საქმიანობები, არ შედის ჩამონათვალში.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: იქედან გამომდინარე, რომ დაწესებულების მიერ, ვიზიტის დროსვე იქნა წარმოდგენილი დოკუმენტში „შრომისა და სასწავლო შინაგანაწესი"-ს ცვლილების პროექტი, რომელიც განხილული იქნა ექსპერტების მიერ დაწესებულებაშივე, და დადგენილი იქნა შესაბამისობა ნორმატიულ აქტთან, ვერ მოხერხდა ცვლილების დამტკიცებული ვერსიის/ბრძანების წარმოდგენა. დაწესებულების მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იქნა, როგორც შინაგანაწესის დოკუმენტი, ისე მასში ცვლილებების დამტკიცების შესახებ ბრძანება № 00000612 (გამოცემის თარიღი 25.10.2024), ***ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებული იქნა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და რეკომენდაცია მოიხსნა.***

ინდიკატორი 2.2.1 (2) პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას - განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია აკადემიამ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებელი პირი მოდულებისთვის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები" და „საზეინკლო საქმის საფუძვლები".

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია: დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის, ასევე განმახორციელებელ პირთან 04.09.2024 წელს გაფორმებული დამატებითი შეთანხმების საფუძველზე ***კორექტირდა გაცემული რეკომენდაცია, კონკრეტულად „ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები“ მოდულთან დაკავშირებით, ძალაში დარჩა მოდულის „საზეინკლო საფუძვლები“ განმახორციელებელი პირის მოძიების შესახებ რეკომენდაცია.***

ექსპერტთა მიერ დასკვნაში ასევე დაზუსტდა პსდ-ს მისიისა და ხედვის ტექსტი. რაც შეეხება „სავალი ნაწილის შეკეთება“ პროფესიული პროგრამის განვითარებისა და კვლევასთან დაკავშირებულ ინდიკატორებთან არსებულ აღწერას, გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული პროგრამა პსდ-ს მიერ, ავტორიზაციის ციკლის/პერიოდის განმავლობაში არ განხორციელებულა, პროგრამის შეფასებისას/აღწერისას, ექსპერტთა მიერ „ძრავის შეკეთებისა“ და „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროგრამის ფარგლებში, პსდ-ში არსებული პრაქტიკა იქნა გაზიარებული.

ზემოთ აღნიშნულის გარდა, სხვა ინდიკატორებთან გაცემული რეკომენდაციები უცვლელი დარჩა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. **კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება**

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, ნათლადაა ჩამოყალიბებული და გასაგებია პერსონალისა და სამიზნე ჯგუფებისთვის. დაწესებულების მისიაა: „შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, საავტომობილო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების ჩამოყალიბება, მათი კარიერული და პიროვნული ზრდის უზრუნველყოფა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით“ - რაც თანხვედრაშია პროფესიული განათლების მიზნებთან, ორიენტირებულია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლასა და ინდივიდის პიროვნულ-პროფესიული და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობაზე. პსდ-ს მისია ლაკონური და ადვილად აღქმადია, რასაც ადასტურებს პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგებიც.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისიაში აქცენტირებულია დაწესებულების პროფილი - *„საავტომობილო მიმართულება“* და როლი განათლების სისტემაში, რაც მოიაზრებს აღნიშნული მიმართულებით კვალიფიციური კადრის მომზადება-გადამზადებას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელებას და პროცესებში დარგის დამსაქმებლების ჩართვას, რასაც დაწესებულება ფაქტობრივად, პსდ-ს სტატუსის მოპოვებისთანავე ახორციელებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

3. მისიიდან გამომდინარე, პსდ-ს განსაზღვრული აქვს ამბიციური ხედვა - “2030 წელს თეგეტა აკადემია არის რეგიონში საერთაშორისო სტანდარტების მქონე წამყვანი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ინდუსტრიაში არსებულ წამყვან ბრენდებთან თანამშრომლობით ქმნის თანამედროვე პროფესიული განათლების მიღების უნიკალურ შესაძლებლობებს, უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიწოდებას ბიზნესის სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით და ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა უპრეცედენტო დასაქმებას ***“;*** რისთვისაც გამოყენებული იყო, მისიისა და ხედვის წინა რედაქციები. პსდ-ს ხედვის მიღწევას უზრუნველყოფს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში დაგეგმილი აქტივობები. ამასთან, ხედვის რეალიზაციისთვის დაწესებულებას განხორციელებული აქვს უკვე დაგეგმილიდან რიგი ამოცანები, მაგ. ისეთი, როგორიცაა რეგიონებში ფილიალების გახსნა და ავტო მიმართულებით პროფესიული განათლების შესაძლებლობის გაჩენა. ამ მიზნით ასევე აღსანიშნავია, ავტო მიმართულებით, ინოვაციური სასწავლო-სიმულაციური პლატფორმის გაქართულება და სასწავლო პროცესში დანერგვა. ავტო და მძიმე ტექნიკის მიმართულებით მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების შემუშავება და განხორციელება.

   პსდ-ს მისიიდან და ხედვიდან გამომდინარე ასევე განსაზღვრული აქვს ღირებულებები, რომელიც გულისხმობს გუნდური მუშაობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, ინკლუზიურობის და თანასწორობის პრინციპების დაცვას. დაწესებულება საქმიანობას წარმართავს აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი, მისი შემუშავების საკითხებთან ერთად დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება-განხილვის, მათში ცვლილებების შეტანის პროცედურებსა და დაინტერესებულ მხარეებთან გაზიარების მექანიზმებს აღწერს. მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პირველი ეტაპი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაა (არსებობის შემთხვევაში, გადახედვა). მისიისა და ხედვის შემუშავების/გადახედვის პროცესი პსდ-ში გუნდურად, ორგანიზაციის თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით ხდება და ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. აღნიშნული საკითხის შეფასებისას დადგინდა, რომ სტრატეგიული დოკუმენტების, მათ შორის, მისიისა და ხედვის შემუშავება, პსდ-ში არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობდა, რის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურადაც წარმოდგენილი იყო სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის და დაინტერესებულ მხარეებთან, შეხვედრებისა და მიმოწერის მტკიცებულებები.

პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული აქვს დაწესებულების ვებგვერდზე, დაწესებულების კონტენტის დოკუმენტებს მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, თვალსაჩინოდაა განთავსებული ასევე დაწესებულების შენობაში, პსდ-ს მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაცნობა ხდება ახალი პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებებისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - გამომდინარე, პსდ-ს მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პსდ-ს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
2. პსდ-ს სტრატეგიული გეგმა 2020-2026
3. საინფორმაციო შეხვედრის ანგარიში აკადემიის მისიასა სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით
4. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები
5. პსდ ვებ-გვერდი https://tegetaacademy.edu.ge/documents
6. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი
7. პსდ-ს პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს განსაზღვრული აქვს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. აღნიშნული საკითების მეთოდოლოგიას მოიცავს თავად სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი. მასში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირების, შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და მათში ცვლილებების შეტანის, ასევე, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და ანგარიშგებასთან დაკავშირებულ საკითხები, მ.შ. დოკუმენტის გაზიარების მექანიზმები.

   დაგეგმვის მეთოდოლოგიით განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, სულ 7 ეტაპია და მოიცავს: 1. მისიის, ღირებულებების ჩამოყალიბებას; 2. დაინტერესებული პირების ანალიზი; 3. ინფორმაციის შეგროვება, კვლევა, ანალიზი (SWOT); 4. სტრატეგიული მიზნებისა ამოცანების განსაზღვრა; 5. შესრულების ინდიკატორების პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა; 6. სტრატეგიული მიზნების გაწერა ფინანსურ ჭრილში; 7. სტრატეგიული გეგმის შესაბამისი ჩარჩოს შექმნა; 8: შეფასების და მონიტორინგის ერთიანი სისტემის შექმნა; 9. შემუშავებული დოკუმენტების წარდგენა - დამტკიცება.

   დოკუმენტის შემუშავება ხორციელდება დირექტორის მიერ განსაზღვრული ჯგუფის მიერ. პროექტის მომზადების პროცესში იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები/ფასილიტაცია სტრატეგიული განვითარების მიზნების/ამოცანების იდენტიფიცირების და შეთანხმების მიზნით. სტრატეგიული გეგმის საფუძველზე ხდება ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შედგენა.

   სტრატეგიული დოკუმენტი ასევე მოიცავს იმ ნორმატიული დოკუმენტებისა და სტრატეგიების ნუსხას, რომლებზე დაყრდნობითაც მოხდა სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება/განახლება. დოკუმენტების ჩამონათვალი მოიცავს არა აქტუალური დოკუმენტებსაც, მაგ.: "განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ" ან „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი, 2016-2020"; აღნიშნული დოკუმენტები პირველი რედაქციისთვის აქტუალური იყო, თუმცა დოკუმენტის გადახედვისას ან/და თავად დოკუმენტის შემუშავების საფუძვლად მითითებული დოკუმენტების ცვლილებისას, დაწესებულება ვალდებულია გადახედოს და განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები/დოკუმენტის აქტუალიზაცია, მით უფრო, რომ მითითებული სტრატეგიის დოკუმენტები

განახლებულია.

ფაქტობრივი გარემოებების შესწავლით, პერსონალთან გასაუბრებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით (სამუშაო ჯგუფების შექმნის ბრძანებები, სამუშაო ჯგუფის და დაინტერესებულ პირებთან შეხვედრის ოქმები/მასალები, სამოქმედო გეგმის შესრულების საინფორმაციო შეხვედრის დოკუმენტები, სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის ელექტრონული კომუნიკაციის მტკიცებულებები) დგინდება, რომ დაწესებულება განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად ახორციელებს დაგეგმვის პროცესებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.

განმავითარებელი რეკომენდაცია - *პსდ-მ სასურველია, შიდა დოკუმენტაციის შემუშავებისას გამოყენებული გარე დოკუმენტების ცვლილების შემთხვევაში, პსდ-ს შიდა დოკუმენტაციაშიც გონივრულ ვადებში ასახოს შესაბამისი ცვლილებები.*

2. პსდ სტრატეგიული დაგეგმვისას უზრუნველყოფს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისა ჩართვასა და მათი მოლოდინების, მ.შ. ქვეყნის/რეგიონული/თემის პრიორიტეტების გათვალისწინებას. სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ წარმოდგენილი დირექტორის ბრძანებით (№5091, 29.12.2023), ირკვევა, რომ სტრატეგიულ დაგეგმვაში ჩართული იყო: თეგეტა ჰოლდინგის აღმასრულებელი დირექტორი, შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორი, აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ხარისხის მართვის მენეჯერი, კარიერის მართვის მენეჯერი, კომერციული სამსახურის უფროსი. ამასთან სტრატეგიული განვითრების დოკუმენტით განსაზღვრულია დაინტერესებული მხარეები სულ იდენტიფიცირებულია 5 ძირითადი ჯგუფი: პსდ-ს პერსონალი; პოტენციური დამსაქმებელები და პარტნიორები კერძო სექტორში - საერთაშორისო და ადგილობრივი ბაზრის საავტომობილო ბიზნესის კომპანიები (მ. შ. პარტნიორი საწარმო თეგეტა მოტორსი); არსებული და პოტენციური ბენეფიციარები; დონორი ორგანიზაციები; განათლების სისტემაში შემავალი საჯარო და კერძო ინსტიტუციები და ა.შ; იდენტიფიცირებულია მათი მოლოდინები და საჭიროებები, რაც ასახულია პსდ-ს სამოქმედო გეგმებში.

პსდ-ს დიექტორის მოადგილის განმარტებით, სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული იქნა დაინტერსებული მხარეების მოლოდინები და დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებებიც განხორციელდა, მათი ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, პსდ გარდა თეგეტა ჰოლდინგის შვილობილი კომპანიებისა, აქტიურად თანამშრომლობს მშენებელთა ასოციაციასთან და ფოთის პორტთან, რომელთა საჭიროებებიდან გამომდინარე, პსდ-მ გადაწყვიტა მძიმე ტექნიკის პროგრამების შემუშავება და განხორციელება, რაც ასახულია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს.

3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს - წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2020-2026 წწ) დასახული მიზნები შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. განსაზღვრულია მიზნების/ამოცანების შესაბამისი აქტივობები, გაზომვადი ინდიკატორები, ასევე მოსალოდნელი შედეგები და რისკები. სამოქმედო გეგმები მოიცავს შესრულებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს და ფინანსურ რესურსებს, თუმცა ეს უკანსაკნელი ყველა ამოცანასთან არაა განსაზღვრული. გეგმებით გათვალისწინებულ ამოცანებზე განსაზღვრული პირების დაკავებული პოზიციები/სამუშაო ფუნქცია-მოვალეობები შესაბამისია დაკისრებული პასუხისმგებლობების/ამოცანების შინაარსის.

პსდ-ს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია 7 მიზანი: 1. ინსტიტუციური განვითარება, 2. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და განვითარება 3. ინფრასტრუქტურული განვითარება, 4. ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა 5. თანამშრომლობა განათლების სისტემაში შემავალ ინსტიტუციებთან 6. თანამშრომლობა პარტნიორ კომპანიასთან/კომპანიებთან 7. საგრანტო პროექტებში მონაწილეობა. ეს უკანასკნელი დაემატა სწორედ დაინტერესებული მხარეების/დარგის გამომწვევებიდან გამომდინარე და მოიცავს ამოცანებს: სპეციალური ტექნიკის ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება-განხორციელებას; ონლაინ სასწავლო პლატფორმის შექმნას; ბათუმსა და ფოთში პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებას. ჩამოთვლილი ამოცანებიდან, ფაქტობრივად ყველა შესრულებულია.

2024 წლის სამოქმედო გეგმა მოიცავს, მიმდინარე წლისთვის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ ამოცანებს, შესაბამისად გამომდინარეობს სტრატეგიული განვითარების გეგმიდან და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მიზნები, ამოცანები, აქტივობები, შესარულების ვადები, შესრულების ინდიკატორები (უმრავლეს შემთხვევაში ფორმულირებულია გაზომვადი ინდიკატორები), პასუხისმგებელი და შემსრულებელი სტრუქტურული ერთეულები თუ პირები, სხვა ჩართული მხარეები (გარდა დაწესებულებისა), ასევე აქტივობების განხორციელების მატერიალური და ფინანსური რესურსი. სამოქმედო გეგმაში ყველა ამოცანასთან არაა ფინანსური რესურსი განსაზღვრული. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, იქ სადაც მოითხოვს ფინანსურ/მატერიალურ რესურსს დაგეგმილი ამოცანის/აქტივობის შესრულება, განისაზღვროს შესაბამისი რესურსი. კონკრეტულ საკითხებზე პერსონალთან გასაუბრებით, ფაქტობრივი გარემოებების ანალიზითა და სამოქმედო გეგმების ანგარიშებით დასტურდება პსდ-ს მიერ სამოქმედო გეგმების შესრულება/საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ფაქტობრივი გარემოებების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში, იქ სადაც მოითხოვს ფინანსურ/მატერიალურ რესურსს დაგეგმილი ამოცანის/აქტივობის შესრულება, განისაზღვროს შესაბამისი საპროგნოზო ფინანსური რესურსი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება №594 შპს „თეგეტა აკადემიის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ
2. ბრძანება 587 შპს თეგეტა აკადემიის მისიის დოკუმენტში, შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და 2024 წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნი შესახებ
3. პსდ-ს სტრატეგიული გეგმა 2020-2026
4. საინფორმაციო შეხვედრის ანგარიში აკადემიის მისიასა სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით
5. ოქმი №3/2 სამუშაო ჯგუფის მიერ სამუშაოს შესრულების შესახებ 04.09.2024
6. პსდ ვებ-გვერდი https://tegetaacademy.edu.ge/documents
7. პსდ-ს პერსონალის გასაუბრების შედეგები

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით - სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი აღწერილია სტრატეგიული გეგმის შედგენის მეთოდოლოგიაში, რომელსაც მოიცავს თავად სტრატეგიული გეგმის დოკუმენტი. მასში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის მიზნები, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობების გაწერილ მიზნებსა და ამოცანებთან თანხვედრის შემოწმებას და გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებას. დოკუმენტის თანახმად სამოქმედო გეგმის შეფასება ხდება წელიწადში ორჯერ: წლის პირველი ნახევარის ბოლოს, შეფასებისა და ანგარიშგების მიზანია სამოქმედო გეგმის აქტივობების გაანალიზება, აქტივობის ინდიკატორებისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგების, როგორც დადებითი ისე უარყოფითი ტენდენციების გამოვლენა და საჭიროებისას კორექტირება. *მე-2 ნახევრის ანუ წლიური ანგარიშის მიზანია, არა მხოლოდ აქტივობის (მოსალოდნელი შედეგების) შესრულების მონიტორინგი და შეფასება, არამედ შეფასება ამოცანების დონეზე.* წლიური ანგარიშის წარდგენის ვადაა 12 თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 კვირა. წლიური ანგარიში საჯარო დოკუმენტია და ქვეყნდება პსდ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშის მომზადება ხდება ორ წელიწადში ერთხელ, და დოკუმენტშივეა განსაზღვრული ანგარიშგების წლები (2022 წ, 2024 წ, 2026 წ.). მონაცემების შეგროვებასა და გაანალიზებაში ჩართულია ხარისხის მართვის მენეჯერი. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია ასევე სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც საჭიროების შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს ცვლილებების პაკეტის მომზადებას. შეფასების პროცესში ჩართულია დაინტერესებული მხარეებიც (დამფუძნებლები, პარტნიორები, პერსონალის, პროფესიული სტუდენტები).

პსდ-ს მიერ წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და ანგარიშის დოკუმენტები. ერთი წლის ჭრილში სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით ვებგვერდზე.

გეგმით გათვალისწინებული მიზნების/ამოცანების შესრულების შეფასებისა, შესაბამის ველში კეთდება აღნიშვნა „შესრულდა/არ შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა“, ან მოკლე აღწერა. ასევე ანგარიშებში შესრულების მაჩვენებლები განსაზღვრულია პროცენტული სიდიდეებით. შესრულების ეფექტურობას ან/და ანალიზს მოიცავს წლიური სამოქმედო და სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ანგარიშები. ანგარიშში ასახულია ასევე გაუმჯობესების რეკომენდაციებიც. დოკუმენტაციით და პერსონალთან გასაუბრებით ასევე დასტურდება რეკომენდაციების გათვალისწინება/დანერგვა პსდ-ს საქმიანობაში, მაგ. ბათუმის ფილიალის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

2. პსდ სათანადოდ რეაგირებს, როგორც შიდა, ისე გარე შეფასების შედეგებზე. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ, პსდ-ში 2023 -2024 წლებში განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტები. ექსპერტთა მიერ პირველ ვიზიტზე გაცემული იქნა შესაბამისობისა და განმავითარებელი რეკომენდაციები სამოქმედო გეგმებთან, მათი მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცედურებთან დაკავშირებით. ექსპერტთა მეორე ვიზიტის დროს პოზიტიურად არის შეფასებული პსდ-ს მიერ განხორციელებული რეკომენდაციების შესრულება.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია - სამოქმედო გეგმის შესრულების წლიური შედეგები ხელმისაწვდომია ანგარიშის სახით ვებგვერდზე. შესაბამისად, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ვებგვერდზე განთავსებულია 2019, 2020, 2021, 2022 და 2023 წლების წლიური ანგარიშები. ამასთან, პსდ მართავს შეხვედრებს შიდა დაინტერსებულ მხარეებთან (პსდ-ს დამფუძნებლები, პერსონალი, სტუდენტები) ანგარიშების/მიღწეული შედეგების გაზიარების მიზნით.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პსდ ვებ-გვერდი https://tegetaacademy.edu.ge/documents

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შპს „თეგეტა აკადემიის“ სამოქმედო გეგმების შუალედური და წლიური ანგარიშები
3. ბრძანება №594 შპს „თეგეტა აკადემიის“ ერთწლიანი სამოქმედო გეგმისა და გრძელვადიანი (შვიდწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ
4. ბრძანება №587[1] შპს თეგეტა აკადემიის მისიის დოკუმენტში, შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმასა და 2024 წლის სამოქმედო გეგმაში ცვლილების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნი შესახებ
5. პსდ-ს სტრატეგიული გეგმა 2020-2026
6. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს - თეგეტა აკადემიის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ (2024 წ.)
7. საინფორმაციო შეხვედრის ანგარიში აკადემიის მისიასა სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით
8. სტრატეგიული განვითარების გეგმის 2022 წლის ანგარიში
9. ოქმი №3/2 სამუშაო ჯგუფის მიერ სამუშაოს შესრულების შესახებ 04.09.2024
10. ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებების კვლევა
11. დასაქმების შრომის ბაზრის კვლევა
12. 2024 წლის სამოქმედო გეგის შუალედური ანგარიში
13. პსდ-ს პერსონალის გასაუბრების შედეგები
14. შპს „თეგეტა აკადემიის“ სტრატეგიულ დაგეგმარებაში ცვლილების შეტანის საჭიროების დასაბუთება (2023 წ)

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა** - შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით (ბოლო ცვლილება განხორციელებულია 20.05.2023 წლის №0448 ბრძანებით) დამტკიცებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომლითაც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრულია: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები; დაწესებულებისა და პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების უფლებამოსილების მქონე სუბიექტების პასუხისმგებლობები; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის, მობილობის და შეწყვეტის წესები, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტით განსაზღვრული წესები მოქმედი რეგულაციების შესაბამისია. პსდ-ს მიერ გონივრული ვადებია განსაზღვრული განმეორებითი გამოცდის/სწავლის შედეგის დადასტურების შემთხვევაში - განმსაზღვრელი შეფასებისას სწავლის შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს, წერილობითი განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს ერთხელ მოითხოვოს სწავლის შედეგების დამატებითი დადასტურების შესაძლებლობა მოდულის განხორციელების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. პსდ-ს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი უფლებამოსილია 2 სამუშაო დღის ვადაში განსაზღვროს განმეორებითი შეფასების ვადები პროგრამის/მოდულის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით: პროგრამის დასრულებამდე, თუ ის არ წარმოადგენს შემდეგი მოდულის/მოდულების გავლის წინაპირობას, წინაპირობის არსებობისას - მოდულის დაწყებამდე (პსდ-ს დირექტორის ბრძანება № 565, 02.07.2024, მუხლი 5). ამავე მუხლით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გამოუცხადებლობით დამდგარი შედეგები, კერძოდ: საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს ინდივიდუალურად განესაზღვრება სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურების ვადა, ხოლო არასაპატიო მიზეზის შემთხვევაში, სტუდენტს უწყდება სტატუსი.

   პსდ-ს მიერ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფის შემოწმების მიზნით, ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა სტუდენტის სტატუსის (მოპოვება, შეჩერება, შეწყვეტა) და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული 2022-2023 წლების დოკუმენტები. პსდ-ში არსებული პრაქტიკითა და რეგულაციის თანახმად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება/აპლიკანტის შერჩევა ხორციელდება ორ ეტაპად (ტესტირება, გასაუბრება), ხოლო პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების საფუძველი ძირითადად არის დადგენილ ვადებში ერთი და იმავე სწავლის შედეგის განმეორებით დაუდასტურებლობა (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 5, პ. 3). დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პერიოდში, სტატუსის აღდგენის, მობილობის და მიღებული ფორმალური განათლების აღიარების შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

   წარმოდგენილი იყო ასევე კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, უწყისები, კომისიის მუშაობის ოქმები და კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ბრძანებები. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოებს შიდა რეგულაციებისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა.

2. პსდ-ში პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად, კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მათ ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, აცნობს მათ მოქმედ შიდა თუ გარე რეგულაციებს. კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ ისინი იცნობდნენ საკუთარ უფლებებს, საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის, უსაფრთხო სასწავლო გარემოს მოთხოვნის, პსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, IT ინფრასტრუქტურით სარგებლობის შესახებ; მოითხოვონ და მიიღონ დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, სწავლის შედეგების შეფასების ორგანიზებისა და წარმართვის შესახებ; განმეორებით შეფასებაზე გასვლისა და აპელაციის უფლება-შესაძლებლობის შესახებ და სხვა. პროფესიულ სტუდენტებს საკუთრი უფლებების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ სწავლის დასაწყისშივე, რაც დასტურდება რეგულაციების გაცნობის დამდასტურებელი ფურცლებით. პროფესიული სტუდენტების მიერ მათი უფლებების გაცნობის ფაქტი ასევე დასტურდება სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით. სასწავლო პროცესთან და სტუდენტების უფლებების შესახებ ყველა რეგულაცია საჯაროდ განთავსებულია ასევე დაწესებულების ვებ გვერდზე.

ექსპერტთა მიერ ასევე შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები. წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პსდ იცავს პროფესიული სტუდენტების უფლებებს, საკანონმდებლო და შიდა რეგულაციების მოთხოვნებს. წარმოდგენილი ბრძანების თანახმად, პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებად ძირითადად განსაზღვრულია: მეცადინეობების გაცდენა, განმეორებით გამოცდაზე გამოუცხადებლობა, დასაქმება სხვა პროფილით.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პსდ-ს კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს.

3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით - პსდ-ში არსებული შეფასების სისტემის რეგულაციები გაწერილია შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას სტუდენტების შეფასების სისტემაზე, მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების გასაჩივრების მექანიზმების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა თან გასაუბრების. კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ, ასევე აღნიშნეს, რომ შეფასების შედეგების გაცნობა პსდ-ს მიერ ხორციელდებოდა ინდივიდუალურ რეჟიმში. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტების ინფორმირებისას უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვა. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი იყო შეფასების შედეგების გაცნობის მიზნით, პროფესიულ სტუდენტებთან ინდივიდუალურად გაგზავნილი მეილები. პროფესიული სტუდენტების მიერ შიდა რეგულაციებისა და საკუთარი უფლებების გაცნობის ფაქტი ასევე დასტურდება პსდ-სა და სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით და რეგულაციების გაცნობის ფურცლებით.

წარმოდგენილი დოკუმენტების, პსდ-ს კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა - პსდ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით რეგულირდება პროფესიულ სტუდენტთან, მათ შორის არასრულწლოვანთან, ხელშეკრულების გაფორმების საკითხები. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების პირადი საქმეებით, დასტურდება, რომ დაწესებულებასა და პროფესიულ სტუდენტის უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვა. 2022-2023 წწ მიღებული ყველა არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის ხელშეკრულებას ხელს აწერს პროფესიული სტუდენტი და მისი კანონიერი წარმომადგენელი. პირადი საქმეები მოიცავს შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტებს. რაც შეეხება დუალური პროგრამის სტუდენტებს, მათთან პარტნიორი კომპანიის მხრიდან ფორმდება დამატებითი ხელშეკრულება. 2019 წლის ნაკადის სტუდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულება სტაჟირების შესახებ (01.06.2021), ხოლო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, 2022 წელს გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. პროფესიულ სტუდენტსა და პსდ-ს პარტნიორ კომპანია „თეგეტა რითეილს"-ს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება (01.09.2023), შესაბამისია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნების (მუხლი 4, პ. 3). ხელშეკრულებით განსაზღვრულია: პროფესიულ სტუდენტის დამსაქმებელთან ურთიერთობა, ვალდებულებები, ხელშეკრულების ძირითადი პირობები, უფლება-მოვალეობები, მოქმედებისა და შეწყვეტის პირობები. ხელშეკრულების გაფორმებისას გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები და შეზღუდვები.

წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები.

5. „შპს თეგეტა აკადემიის" დირექტორის 2022 წლის 14 ოქტომბრის №403[1] ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის (ისგ) შემუშავების წესი, რომელიც განსაზღვრავს ისგ-ის შემუშავების საფუძვლებს (მობილობა, სტატუსის აღდგენა, შშმ3 სტატუსი და საჭიროება). პროცედურა ითვალისწინებს სტუდენტთა ჩართულობას და მათი ინტერესების დაცვას. წესის თანახმად, პსდ-ში დირექტორის ბრძანებით, შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა ჩართულობით, შექმნილი კომისია უზრუნველყოფს სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას, მის მოდიფიცირებას ან აკომოდაციას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს წარმომადგენლების განმარტებით, ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, ხოლო არსებული რეგულაცია ქმნის საფუძველს/მოლოდინს, რომ საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება შეძლებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება-განხორციელებას პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება №403[1] პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის (ისგ) შემუშავების წესი (14.10.2022)
2. პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულების პირადი საქმეები
3. პსდ-ს ვებგვერდი https://tegetaacademy.edu.ge/ka/documents
4. ბრძანება №565 შპს "თეგეტა აკადემიის" პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებისა და შეფასების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ 02/07/2024
5. პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებები (სასწავლო, შრომითი, სტაჟირების შესახებ)
6. პსდ-ს პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგები და ფაქტობრივი გარემოებები;
7. შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეწყვეტის და კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პროფესიული სტუდენტის კონსულტაციისა და სათანადო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით პსდ-ს შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტი (№438[1] ბრძანება, 30.03.2023), რომელიც განსაზღვრავს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ახორციელებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერისთვის, როგორც სწავლის დაწყებამდე და პროცესში, ისე მისი დასრულების შემდგომ. წარმოდგენილი დოკუმენტით განსაზღვრულია პოლიტიკის მიზანი და მიმართულებები, რომელიც მოიცავს: პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას; პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მომზადებას მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის, პროფესიულ ორიენტირებას დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის. ამ მიზნით, კარიერის მართვის მენეჯერი, ახორციელებს შეხვედრებსა და საინფორმაციო ღონისძიებებს და სტუდენტებს უწევს შესაბამის კონსულტირებას, საჭიროებისამებრ, დახმარებას უწევს კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერასა და ა.შ.; შემუშავებულია ტრენინგ-მოდული, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულის დასაქმებას, პსდ-ს შემუშავებული აქვს ტრენინგ-მოდული, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებს განუვითაროს ისეთი უნარები, როგორიცაა დასაქმების ბაზებში ვაკანსიების მოძიება, დასაქმებისთვის აუცილებელი პირადი დოკუმენტების წარმოება.

აკადემია ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და დასაქმების ბაზრის კვლევას და შედეგების ანალიზს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების, სასწავლო პროგრამების განვითარებისთვის შესაბამისი რეკომენდაციის შემუშავების და აკადემიის სამომავლო ქმედითი ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით

კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ აკადემიის ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები ორიენტირებულები იყვნენ ხელი შეეწყოთ მათთვის როგორც პროფესიული განათლების მიღების პროცესში, ასევე ქმნიდნენ მათი კვალიფიკაციისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების შესაძლებლობებს, ახორციელებდნენ მათ აქტიურ მხარდაჭერას, განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე მუდმივად იღებდნენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სწავლის მიღწევების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით, ასევე საუკეთესო შესაძლებლობაა პსდ-ს სიმულაციური სასწავლო პლატფორმა, რომელიც ვირტუალურ გარემოში, სხვადასხვა სიტუაციური ამოცანების და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენებით, პლატფორმაში, ყველა სტუდენტს აქვს ინდივიდუალური სივრცე, სადაც შესრულებული დავალებების შესაბამისად სტუდენტი თვალყურს ადევნებს საკუთარ პროგრესს. მათი ინფორმირება შეფასების შედეგების შესახებ ხორციელდება ინდივიდუალურად, კონფიდენციალურობის დაცვით. პროფესიული სტუდენტების კონსულტირებისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მხარდაჭერის უზრუნველყოფის ვალდებულებები პსდ-ს გაწერილი აქვს პერსონალის სამუშაო აღწერილობებში/უფლება-მოვალეობებში.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან - ამ მიზნით, პსდ-ს „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტის (№438[1] ბრძანება, 30.03.2023) მე-3 მუხლით, განსაზღვრული აქვს შესაბამისი ღონისძიებები და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. კურსდამთავრებულებსა და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით ეწყობა გაცნობითი სახის შეხვედრები ყოველი ახალი ნაკადისთვის. დაწესებულება აწვდის მათ ინფორმაციას აკადემიის შენობის, გარემოს, ადმინისტრაციის, სერვისებისა და მატერიალური-ტექნიკური ბაზის, შიდა ნორმატიული დოკუმენტების, მ.შ. პროგრამების, პრაქტიკული კომპონენტის გავლისთვის საჭირო პირობების და გარემოს შესახებ და სხვა. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, პროცედურით გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციების ჩატარება. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი პროფესიული განათლების მასწავლებელსა და სტუდენტთან შეთანხმებით. გარდა საინფორმაციო შეხვედრებისა, პსდ პრაქტიკული კომპონენტისა და გარემოს გაცნობის მიზნით, დამატებით უზრუნველყოფს პარტნიორი კომპანიის სამუშაო სივრცის გაცნობა-დათვალიერებას. სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამის ფარგლებში, სტუდენტებს გარემოსა და ინფრასტრუქტურასთან ერთად აცნობს ასევე ინსტრუქტორებს. პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, ხოლო, კარიერის მართვის მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან ერთად, პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს აცნობს პსდ-ს სერვისებს და ინფრასტრუქტურას.

   პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისა და შეხვედრების ჩატარება დასტურდება ასევე კურსდამთავრებულებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით.

   წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას - კურსდამთავრებულებთან და პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პსდ სხვადასხვა მომსახურების გაწევისას (ცნობის, სერტიფიკატის, დიპლომის გაცემას, შიდა და გარე მობილობის ხელშეწყობას, წინარე განათლების აღიარებას და სხვა) უზრუნველყოფს გონივრულ ვადებში ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. რაც ასევე გაწერილია დაწესებულების „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში. შიდა რეგულაციების თანახმად აკადემიის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მომართვის შემთხვევაში, უმოკლეს ვადებში მიიღოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა, რომელსაც, კომპეტენციის ფარგლებში, უწევს საქმისწარმოების სპეციალისტი ან საჭიროებისას მიმართავს შესაბამის უფლებამოსილ პირს. მომსახურების გაწევის/მხარდაჭერის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

   წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, რომელიც შეესაბამება პსდ-სა და პროფესიული სტუდენტების საერთო მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტის (№438[1] ბრძანება, 30.03.2023) მე-6 მუხლით განსაზღვრული აქვს ასევე ამ აქტივობების შესაძლო სახეები: სპორტული, კულტურული, შემეცნებითი, საექსკურსიო-შემეცნებითი, საგანმანათლებლო თუ სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო აქტივობა, არაფორმალურ განათლება.

გარდა ამისა, პსდ-ს მხრიდან ასევე ხდება ექსტრაკურიკულური და სხვადასხვა სპორტული აქტივობების შეთავაზება პროფესიული სტუდენტებისათვის როგორიცაა: მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, ჭადრაკის ტურნირი, ტურნირებში მონაწილე სტუდენტებს გადაეცათ სერთიფიკატები. გარდა ამისა, თეგეტა აკადემიის მისიის მიხედვით სტრატეგიული მიზნები ორიენტირებულია საავტომობილო ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე. ამიტომ პსდ ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტებს მიიღონ დამატებითი არაფორმალური განათლება, რისთვისაც სთავაზობს ტრენინგებს. დაწესებულების რამდენიმე პროფესიული სტუდენტი სრულიად უსასყიდლოდ ჩაერთო აკადემიის სასერტიფიკატო კურსზე და შეიძინა დამატებითი ცოდნა/გამოცდილება. პსდ-მ გასულ წელს უზრუნველყო დუალური პროგრამის სტუდენტის დასწრება საერთაშორისო ღონისძიებაზე ბელგიაში.

დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, ადასტურებენ კურსდამთავრებულებიც. განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა წარმოდგენილია დაწესებულების ვებ და სოციალური გვერდებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

5. პსდ-ში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მიხედვითაც ტარდება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების, მიწოდებული სერვისების, მომსახურების, კმაყოფილების კვლევა, რომელიც ხორციელდება წინასწარ შემუშავებული ელექტრონული კითხვარების (google forms) საშუალებით. კითხვარებიდან მიღებული უკუკავშირის შედეგად ხდება მონაცემების დამუშავება და იმ კონკრეტულ მიმართულებებში გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ღონისძიებების დაგეგმვა; ელექტრონულ გამოკითხვასთან პარალელურად პსდ-ს ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ასევე შეხვედრები სტუდენტებთან/ფოკუს ჯგუფებთან დაწესებულების პროცესების/მომსახურების შეფასების მიზნით.

ამ მიზნით, პსდ-ში, ხარისხის მართვის მენეჯერის, პროფესიული მასწავლებლების და კარიერის მართვის მენეჯერის მონაწილეობით, დაიგეგმა და განხორციელდა სტუდენტთა კვლევა. კვლევამ მოიცვა პსდ-ს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესახებ სტუდენტთა ინფორმირებულობის, ასევე მატერიალური რესურსის მოხმარების, უსაფრთხოების, სწავლების პროცესის და სხვადასხვა სერვისის მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხები. 2022-2023 წლების კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტები ინფორმირებული არიან პსდ-ს მისიის, ხედვის შესახებ და უმრავლესობა თვლის, რომ თეგეტა აკადემიის მისია პროფესიული განათლების პოპულარიზაციას

კითხვარი მიმართული იყო ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისკენ. რესპოდენტები ადასტურებენ, რომ პროგრამა და შემენილი კომპეტენციები ხელს შეუწყობენ მათ მარტივ დასაქმებას, კმაყოფილებას გამოთქვამენ ასევე გაწეული მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართ. კვლევით მოცული იყო ასევე პროფესიულ სტუდენტთა უფლებების დაცვა, რამაც აჩვენა, რომ სტუდენტთა უმრავლესობას უფლებები გააცნეს, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში რეგისტრაციისა და ხელშეკრულების გაფორმებისას. ყოველივე ზემოთქმული დადასტურდა ვიზიტის დროს, ასევე კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას. ადმინისტრაციის მიერ აღინიშნა, რომ გეგმავენ სხვა ტიპის/შინაარსის კითხვარების შემუშავებასა და მსგავსი კვლევების უფრო ინტენსიურად ჩატარებას, რაც ხელს შეუწყობს პროფესიული სტუდენტებისგან მეტი ინფორმაციის მიღებას, ხოლო მიღებული უკუკავშირი მომსახურების გაუმჯობესებას.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 30 მარტის №438[1] ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკა“
2. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია
3. განხორციელებული ღონისძიებების ფოტო მასალა
4. დაწესებულების ვებ და სოციალური გვერდები
5. პერსონალისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის - აღნიშნულ მომსახურებაზე პასუხისმგებელია კარიერის მართვის მენეჯერი, რომელიც პროფესიული ორიენტაციის, დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობისთვის ახორციელებს საინფორმაციო შეხვედრებს, ღონისძიებებს და საჭიროებისამებრ სტუდენტებს უწევს შესაბამის კონსულტირებას.
   პსდ-ს ამავე მიზნით, როგორც ზემოთ აღინიშნა შემუშავებული აქვს ტრენინგ-მოდული, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებას, მოდული ორიენტირებულია სტუდენტებს განუვითაროს ისეთი უნარები, როგორიცაა დასაქმების პორტალსა და ბაზებში ვაკანსიების მოძიება, რეზიუმესა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სამოტივაციო წერილის შედგენა. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო კურსები, რომლებიც მომზადებულია პარტნიორი კომპანიის საჭიროებების შესაბამისად, რაც ზრდის მათ კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. აღნიშნული გარემოებები დაადასტურეს ასევე კურსდამთავრებულებმა, რომლებიც დასაქმებულები არიან თეგეტა მოტორსში, ხოლო ერთი კურსდამთავრებული დაწესებულებამ შეარჩია პროგრამის განმახორციელებელ პირად. კურსდამთავრებულები ადასტურებენ პსდ-ს მიერ მათ კარიერულ განვითარებაზე ზრუნვის/შეთავაზებების ფაქტებს. ამასთან პსდ-ს განთავსებული აქვს ვიდეო რგოლები წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ, რითიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა კარიერულ განვითარებას და ამაღლებს მათ მოტივაციას. ასევე აღნიშნული ღონისძიებით წარმატებით ახორციელებს პროფესიებისა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციას.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის

2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

   კარიერის მართვის მენეჯერი აწარმოებს დამსაქმებელთა ბაზას, სადაც მუდმივად აახლებს მონაცემების. პერიოდულად ნიშნავს შეხვედრებს სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან აცნობს ინფორმაციას არსებულ ვაკანსიებსა და ბიზნესის შეთავაზებებზე. კარიერის მართვის მენეჯერის მიერ, ასევე აღინიშნა, დასაქმების შესაძლებლობების უნარების გაძლიერების ტრენინგი, და დასძინა, რომ დაწესებულება მის განხორციელებას გეგმავს მომავალშიც. კარიერის მართვის მენეჯერმა აღნიშნა ასევე, იმისათვის რომ პროფესიულმა სტუდენტებმა მარტივად შეძლონ კვალიფიციური პროფესიული კონტაქტებისა და საინტერსო ვაკანსიების მოძიება, სტუდენტებს გააცნო „LinkedIn“ პლატფორმა და მისი გამოყენების შესაძლებლობები. დაეხმარა მათ პლატფორმაზე საკუთარი გვერდის შექმნაში. კარიერის მართვის მენეჯერი გარდა ოფიციალური შეხვედრებისა კურსდამთავრებულებთან ახორციელებს ასევე სატელეფონო კომუნიკაციასაც დასაქმების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და საჭიროებისას შემთხვევაში ვაკანსიის შეთავაზების მიზნით.

   ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით - ამ მხრივ აკადემიაში მონაცემთა შეგროვების და ანალიზის მიზნით ტარდება კვლევა სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, რისთვისაც ხდება მონაცემთა შეგროვება, რომელიც მოიცავს სტუდენტთა, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა კვლევას და იძლევა კურსდამთავრებულთა დასაქმების, მათი სპეციალობით დასაქმების, დამსაქმებლის კმაყოფილების, სამუშაო პროცესთან თავსებადი კომპეტენციების მიმართულებით მონაცემების ანალიზის შესაძლებლობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იქნა კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელიც ეხებოდა ერთი მხრივ, სწავლის დასრულების შემდეგ სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივას და პროგრამის/კურსის შეფასებას, ხოლო მეორე მხრივ, რამდენმა კურსდამთავრებულმა შეძლო შეძენილი პროფესიით დასაქმება და დასაქმებით კმაყოფილების კვლევა. მიღებული მონაცემების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (82%) დასაქმდა თეგეტა ჰოლდინგში შემავალ კომპანიებში. მიუხედავად იმისა, რომ პსდ უშუალოდ ჰოლდინგში დასაქმებას სთავაზობს სტუდენტებსა თუ კურსდამთავრებულებს, ასევე აძლევს შესაძლებლობას გაეცნონ სხვა დამსაქმებლებს და მათ ვაკანსიებს, რომლის გაცნობასა და შეთავაზებაზე პასუხისმგებელია კარიერის მართვის მენეჯერი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დადგინდა, რომ პსდ ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლისა და დასაქმების ბაზრის კვლევას და შედეგების ანალიზს იყენებს არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. რასაც ასევე ადასტურებენ თეგეტა მოტორსში დასაქმებული კურსდამთავრებულები.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

4. პსდ-ს კვლევის მიზანს, წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის და მომსახურების გაუმჯობესება. პსდ-ში დანერგილი პრაქტიკით კვლევის კითხვარების ანალიზი და მის საფუძველზე პროცესების გაუმჯობესების ღონისძიებების გეგმის შემუშავება. ხარისხის მენეჯერთან გასაუბრებით დგინდება, რომ მის მიერ შესწავლილ იქნა სამიზნე ჯგუფის გამოკითხვის შედეგები, რის საფუძველზეც დაიგეგმა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების რეკომენდაციები. პსდ-ს პერსონალი ჩართულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გადამუშავების პროცესში, გამოკითხვის შედეგებით მიღებული ინფორმაცია/რეკომენდაციები გაზიარდა სტანდარტის სამუშაო ჯგუფთან.

წარმოდგენილი დოკუმენტების, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 2023 წლის 30 მარტის №438[1] ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებულია „პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პოლიტიკის“ დოკუმენტი;
2. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროფესიულ სტუდენტთა კვლევის კითხვარების ანალიზი;
4. პსდ-ს ვებ და სოციალური გვერდები
5. პსდ-ს პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. **ადამიანური რესურსები**

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.პსდ-ს მიერ, საგანმანათლებლო მიზნებისა და ფუნქციების შესრულებისა და კოორდინაციის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულია ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია მმართველობითი რგოლით, სტრუქტურული ერთეულებით/სამსახურებით და მათი შესაბამისი პოზიციებით. განსაზღვრულია მათი იერარქია და ფუნქციური კავშირი, მ.შ. რეგიონული სტრუქტურებისთვის და პოზიციებისთვის. სტრუქტურაზე განსაზღვრული ერთეულები/პოზიციები უზრუნველყოფს დაწესებულების დებულებით და სტრატეგიული დოკუმენტებით დასახული მიზნების მიღწევას. პსდ-ს სტრუქტურა, ერთეულების, სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქციები/მოვალეობები აღწერილია დებულებასა და პერსონალის სამუშაო აღწერილობის დოკუმენტებში. <u>დოკუმენტით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობები არ დუბლირდება სხვადასხვა პოზიციის/იერარქიის პირებზე და უზრუნველყოფს პსდ-ს მიერ დასახული მისიის, ხედვისა და სტრატეგიული ამოცანების/მიზნების შესრულებას.</u>

წარმოდგენილ პერსონალის სამუშაო აღწერილობებს არ აქვს დოკუმენტთან გაცნობის დამადასტურებელი ხელმოწერები, თუმცა ხელშეკრულების პუნქტები მოიცავს დათქმას, რომ სამუშაო აღწერილობები მისი განუყოფელი ნაწილია. პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ იცნობენ დოკუმენტით განსაზღვრულ და დაკისრებულ მოვალეობებს. *<u>სასურველია, პსდ-მ გაითვალისწინოს და დანერგოს</u>*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გავრცელებული პრაქტიკა, სამუშაო აღწერილობის დოკუმენტზე უზრუნველყოს პერსონალის გაცნობა, რაც დადასტურებული იქნება ხელმოწერით. ამასთან უზრუნველყოფილი იქნეს 2 ეგზემპლარის გაფორმება, თითო ეგზემპლარი მხარეებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

- სასურველია, პსდ-მ გაითვალისწინოს და დანერგოს გავრცელებული პრაქტიკა, სამუშაო აღწერილობებზე უზრუნველყოს პერსონალის გაცნობა, რაც დადასტურებული იქნება ხელმოწერით. ამასთან უზრუნველყოფილი იქნეს 2 ეგზემპლარის გაფორმება, თითო ეგზემპლარი მხარეებისთვის.

2. პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია მმართველობითი რგოლით (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი), სტრუქტურული ერთეულებით/სამსახურებით: საოპერაციო სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, საქმისწარმოების სამსახური, ტექნიკური ტრენინგების განვითრების სამსახური, რეგიონული განვითრების სამსახური, ბიზნეს ტრენინგების განვითრების სამსახური, კომერციული პროექტების სამსახური და მათი შესაბამისი პოზიციებით. განსაზღვრულია მათი იერარქია და ფუნქციური კავშირი, მ.შ. რეგიონული სტრუქტურული ერთეულებისა და პოზიციებისთვის. პსდ-ს სტრუქტურა ორიენტირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე, მოიცავს ძირითადი პროცესის მართვისთვის აუცილებელ ყველა დამხმარე პროცესზე პასუხისმგებელ პირებს/პოზიციებს ან სტრუქტურულ ერთეულებს. მიმდინარე ეტაპისთვის, პსდ-ს საქმიანობის განხორციელებისთვის, პროფესიული მასწავლებლების გარდა, შერჩეული ჰყავს 19 პირი.

სტრუქტურული სქემა, საჭიროებს გარკვეულ კორექტირებას, რაც დაკავშირებულია შემდეგ ერთეულებთან: „საქმისწარმოების სამსახური“ და კომერციული პროექტების სამსახური“, რომლებიც თავის თავში მოიცავენ მხოლოდ ერთ საშტატო ერთეულს/პოზიციას, საქმისწარმოების სპეციალისტი და კომერციული პროექტების მენეჯერი, რის გამოც ვერ იქნება განხილული როგორც სტრუქტურულ ერთეულები. *სასურველია, დაემატოს სტრუქტურებისთვის განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე პოზიციები ან სტრუქტურით განისაზღვროს მხოლოდ პოზიციები (კომერციული პროექტების მენეჯერი, საქმისწარმოების სპეციალისტი/მენეჯერი).*

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

სასურველია, დაემატოს სტრუქტურებისთვის განსაზღვრული ფუნქციებიდან გამომდინარე პოზიციები ან სტრუქტურით განისაზღვროს მხოლოდ პოზიციები (კომერციული პროექტების მენეჯერი, საქმისწარმოების სპეციალისტი/მენეჯერი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც წარმოდგენილია მმართველობით რგოლში, რომლის ფუნქცია-მოვალეობები მოიცავს დაწესებულების ფუნდამენტური პროცესების მართვასა და კონტროლს. ძირითად მოვალეობებს წარმოადგენს: პსდ-ში ავტორიზაციის და თვითშეფასების, მათ შორის, შეფასების ვერიფიკაციის პროცესების ორგანიზება-ხელმძღვანელობა, სწავლა–სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწა-განვითარებაზე ზრუნვა, ასევე ხარისხის გარე და შიდა შემოწმების ეფექტური მექანიზმების დანერგვა-სრულყოფა, დაინტერესებული მხარეების კვლევა. ჩართულია პერსონალთან ერთად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესებში და უზრუნველყოფს მათი შესრულების მონიტორინგსა და ანგარიშების მომზადებას.

   ვიზიტის დროს განხორციელდა პერსონალთან გასაუბრება, რის საფუძველზე ირკვევა, რომ პსდ-ს პროცესების მართვისას, ხარისხის მართვის მენეჯერისა და სხვა პოზიციების/პროცესების პასუხისმგებელი პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. შპს თეგეტა აკადემიის დებულება
2. შპს თეგეტა აკადემიის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სამუშაო აღწერილობები
3. პსდ-ს პერსონალის პირადი საქმეები
4. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას
1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. პსდ-ში პერსონალის მართვის უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია პერსონალის მართვის პოლიტიკის, პერსონალისა და პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესის, შინაგანაწესის დოკუმენტები. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს როგორც დაწესებულების ადამიანური რესურსებისა მართვის ძირითად პრინციპებს, ისე პერსონალის მოზიდვა-შერჩევის, დაწესებულებაში ინტეგრაციის, შეფასების, პროფესიული განვითრების, დატვირთვისა და ქცევის სტანდარტების შესახებ ნორმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს მიერ ასევე წარმოდგენილია „შრომისა და სასწავლო შინაგანაწესი“, რომელიც მოიცავს ორ ნაწილს - პირველი ეთმობა შრომით ურთიერთობებსა, შრომის შინაგანაწესს, ხოლო მეორე - სტუდენტთა შინაგანაწესს, ქცევის წესებს. პსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრული შრომითი ურთიერთობების შესახებ დებულებები, შესაბამისია საკანონმდებლო მოთხოვნების და ასევე არაა წინააღმდეგობაში შრომითი ხელშეკრულების შინაარსთან. შინაგანაწესი არეგულირებს შრომითი ურთიერთობის (სამსახურში მიღება, გათავისუფლება, შრომითი ურთიერთობების შეჩერების, შრომისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების, დასვენებისა და შვებულების, შრომის უსაფრთხოების, შრომითი დავების საკითხებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია ასევე პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უფლება-მოვალეობები, წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხები. მათ შორის, შინაგანაწესი მოიცავს დისკრიმინაციის გამორიცხვის შესახებ დებულებებს.

პერსონალთან გასაუბრებით და პირადი საქმეებით დასტურდება, რომ ადამიანური რესურსის მართვასთან დაკავშირებული საკითხები წარმოებს შინაგანაწესის თანახმად და პერსონალი იცნობს დოკუმენტით დადგენილ მოთხოვნებს. ხელშეკრულების თანახმად, შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენლ ნაწილს წარმოადგენს და დასაქმებული შინაგანაწესის გაცნობას ადასტურებს ხელშეკრულებაზე ხელმოწერით.

პერსონალის მართვასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია (შინაგანაწესი, არმ-ის მართვის პოლიტიკა, პროფესიული მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესი) ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, განთავსებული პსდ-ს ვებგვერდზე. პსდ-ს მიერ ასევე წარმოდგენილია პერსონალთან დოკუმენტების გაცნობის დამდასტურებელი ფურცლები, რომლებიც განთავსებულია პერსონალის პირად საქმეებში.

ექსპერტთა მიერ, ვიზიტის დროს გაიცა რეკომენდაციები შინაგანაწესის გარკვეულ პუნქტებთან დაკავშირებით შესაბამისობაში მოსულიყო შრომის კოდექსის მოთხოვებთან. მაგ. ზეგანაკვეთური ანაზღაურების შესახებ დებულებებთან დაკავშირებით (მუხლი 14), კერძოდ შინაგანაწესის კონკრეტული მუხლი მოიცავს განმარტებას ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ, რომ ზეგანაკვეთურ სამუშაოდ ითვლება, როცა სამუშაო დრო აღემატება სრულწლოვანისთვის კვირაში 40 საათს, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისთვის - კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისთვის - კვირაში 24 საათს (პ.14.2.), ხოლო ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულს მიეცემა დამატებითი დასვენების დრო (პ.14.4.). რაც არ მოიცავს შრომის ორგანული კანონის 27-ე მუხლის მოთხოვნებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს კვირაში დასაშვები საათების ნორმირების შესახებ. კონკრეტული მუხლის თანახმად: „არასრულწლოვანის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულების დროის ხანგრძლივობა სამუშაო დღის განმავლობაში ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს, ხოლო სამუშაო კვირის განმავლობაში ჯამურად – 4 საათს“.

პსდ-ს შინაგანაწესით განსაზღვრულია ზეგანაკვეთურის სანაცვლოდ დღემაგიერის მიცემა, მაგრამ არაა მითითებული მისი ანაზღაურების დრო/პერიოდი. პსდ-მ უნდა განსაზღვროს კოდექსის 27.3. პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად დამატებითი დასვენების დროის მიცემის პერიოდი (საქართველოს ორგანული კანონი, შრომის კოდექსი, მუხლი 27, პ.3. „მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ დასაქმებულისთვის ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ პროპორციული დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე. დასაქმებულს დამატებითი დასვენების დრო უნდა მიეცეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებიდან არაუგვიანეს 4 კვირისა, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული).
კორექტირებას საჭიროებს ასევე პუნქტი 14.3. „დასაქმებულისთვის, რომლის შრომითი პროცესი აკადემიის სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის გამო მოითხოვს 8 (რვა) საათზე მეტი ხანგრძლივობის უწყვეტ რეჟიმს და სამუშაო დაკავშირებულია სამუშაო/საწარმოო პროცესის უწყვეტობასთან, ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება კვირაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

48 საათს“ - საქართველოს მთავრობის №597დადგენილების „სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის მქონე დარგების ჩამონათვალის დამტკიცების შესახებ“ (26.12.2022) თანახმად, პსდ-ს საქმიანობები, არ შედის ჩამონათვალში, შესაბამისად, აღნიშნული პუნქტის არსებობა დოკუმენტში, არა რელევანტურია.

ექსპერტების მიერ გაიცა ასევე რეკომენდაცია, დოკუმენტის მე-15 მუხლთან მიმართებით, რომელიც ეხება პერსონალის გათავისუფლების პროცედურას, სადაც პუნქტის 15.3 თანახმად „თანამშრომელთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას, საბოლოო ანგარიშსწორების დროს, იმ შემთხვევაში თუ სამსახურიდან გათავისუფლებისას დასაქმებულს მიღებული აქვს საშვებულებო ანაზღაურება, სამუშაო წლის გამომუშავებული საშვებულებო დღეებისათვის, დამსაქმებელი უფლებამოსილია დაქვითოს დასაქმებულს სამუშაო წლის გამოუმუშავებელი დღეების პროპორციული საშვებულებო ანაზღაურება თვეზე - 2 (ორი) დღის გაანგარიშებით“. თუ პსდ უფლებამოსილია აღნიშნული პუნქტის მოთხოვნები გაატაროს, რაც არ მოდის წინააღმდეგობაში მოქმედ კანონმდებლობასთან, დასაქმებულის უფლებების დაცვის მიზნით, დამსაქმებელი ვალდებულია ანალოგიური მიდგომა გამოიყენოს, გათავისუფლებისას პერსონალის მიერ გამოუყენებელი შვებულების დღეების პროპორციულად, საბოლოო ანაზღაურებისას, გასცეს ამ დღეების მაგიერი დანამატის სახით.

დაწესებულების მიერ, ვიზიტის დროს იქნა წარმოდგენილი დოკუმენტში ცვლილებების პროექტი. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოდგენილი დამტკიცებული დოკუმენტები (25.12.2025 წ. ბრძანება №612 „შპს „თეგეტა აკადემიის“ შრომისა და სასწავლო შინაგანაწესის ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე“). ქსპერტთა მიერ გაზიარებული იქნა, შესაბამისად, კონკრეტულ ინდიკატორთან რეკომენდაციები გაქუმებული იქნა.

დოკუმენტაციისა და პსდ-ის პროცესების შეფასებით, ასევე ფაქტობრივი გარემოებით, დასტურდება* ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან *- პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

პსდ-ს მიერ შემუშავებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომლითაც განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვს ინსტიტუციური პრინციპები, როგორიცაა ეთიკის დაცვა, თანაბარი შესაძლებლობები, კომპეტენტურობა, სამართლიანობა, პროფესიული განვითარება. დოკუმენტის მიზანია, მაღალკვალიფიციური კადრის მოზიდვა შერჩევა-შენარჩუნება, პერსონალის მოტივაციის, თვითრეალიზების, თვითგანვითარების უზრუნველყოფა - გაძლიერება.

პერსონალის მოზიდვა, შერჩევა (თავი II), გულისხმობს, როგორც გარე რესურსის მოზიდვასა და ვაკანსიის გამოცხადებას, ისე თეგეტა ჰოლდინგის ან აკადემიის არსებული საკადრო რესურსიდან მოძიება. პსდ-ს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციებით განსაზღვრული პერსონალის შერჩევის/მიღებისა და გათავისუფლების პუნქტები უზრუნველყოფს ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, გამჭვირვალობის და თანაბარი შესაძლებლობების პრინციპების დაცვას. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და შიდა პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შერჩეულ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომელშიც ასახულია საკანონმდებლო სავალდებულო მოთხოვნები და მოიცავს დასაქმებულისთვის სამუშაო მოვალეობების შესასრულებლად სრულყოფილ ინფორმაციას. პერსონალთან დაკავშირებული ინფორმაცია განთავსებულია პირად საქმეებში. ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ყველა პირადი საქმე (ადმინისტრაციული პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები). ყველა მათგანი დაკომპლექტებულია სრულყოფილად, დაწესებულების საქმისწარმოებისა და შინაგანაწესის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პირად საქმეში განთავსებულია, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობები.

წარმოდგენილი პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურების, პერსონალთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

3. პსდ-ს მიერ შემუშავებულია ყველა პოზიციისთვის პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ადეკვატურია შესასრულებელი სამუშაოების და არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების. დოკუმენტით, თითოეული პოზიციისთვის ასევე განსაზღვრულია უცხოური ენის (ინგლისური ან/და რუსული) ცოდნა, თუმცა არაა განსაზღვრული მისი ფლობის დონე. პერსონალთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ძირითადი მოთხოვნაა B2 დონე, ხოლო პერსონალის კომპეტენცია ფასდება შერჩევის პროცესში, გასაუბრებით ან/და ტესტირებით. გასაუბრებას/ტესტირებას ატარებს თეგეტა ჰოლდინგის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, მ.შ. ინგლისური ენის ფლობის დონის შემოწმებასაც. თუმცა გასაუბრების/ტესტირების შედეგების შესახებ მტკიცებულება პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი არაა.

   ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა პსდ-ს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების პირადი საქმეები. პერსონალის პირადი საქმეებით დასტურდება პერსონალის კომპეტენტურობა და დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა. პირადი საქმეები დაკომპლექტებულია დაწესებულების მიერ საქმისწარმოების ერთიანი წესით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - ***პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.***

   განმავითარებელი რეკომენდაცია:

   -სასურველია, პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტით, უცხოური ენის ფლობის მოთხოვნის განსაზღვრის შემთხვევაში, მიეთითოს ფლობის დონე. ამასთან, პერსონალის პირად საქმეებში განთავსდეს ენის ფლობის დონის დამადასტურებელი/შეფასების შესაბამისი მტკიცებულება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის ამოცანები, ხელს უწყობს ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბება-გაძლიერებას, პერსონალის საერთო მიზნის გარშემო გაერთიანებას. პსდ-ის მენეჯმენტი ფუნდამენტურად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრისთვის ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რასაც მოწმობს პსდ-ის ბრძანებები, სამუშაო ჯგუფების შეხვედრის ოქმები, მასალები, რომლებიც ასახავენ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების, დოკუმენტების, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო რესურსის შემუშავების, მ.შ. სიმუალციური სასწავლო პლატფორმის ქართულ ენაზე თარგმნა, შეფასების ინსტრუმენტების ვერიფიკაციისა და პსდ-ის თვითშეფასების პროცესების, სხვადასხვა პროექტების დაგეგმვა-განხორციელება და ა.შ. **გუნდური/კოლეგიალური გადაწყვეტილების მიღების მიზნით პსდ-ს რეგულაციები ითვალისწინებს სხვადასხვა ტიპის კომისიების** (შუალედური შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა,) **მუშაობას.**

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება №585 შპს „თეგეტა აკადემიის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ 19/07/2024
2. 13/01/2022 ბრძანება №351 შპს „თეგეტა აკადემიის“ შრომისა და სასწავლო შინაგანაწესის ახალი რედაქციის დამტკიცების თაობაზე
3. პერსონალის პირადი საქმეები
4. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

   პერსონალის და პროფესიულ მასწავლებელთა შეფასება წარმოადგენს პსდ-ს საკადრო პოლიტიკის შემდგენელ ნაწილს (ნაწილი 2), რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს აკადემიის თითოეულ თანამშრომელს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში. ერთი მხრივ, ის საშუალებას აძლევს აკადემიის პერსონალს, შეიმუშაოს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები. მეორე მხრივ კი, უზრუნველყოფს დაწესებულების ხელმძღვანელობის მიერ თანამშრომლების საქმიანობის რეგულარულ შეფასებას. დაწესებულების შეფასების პროცესი ციკლური პროცესია და მოიცავს როგორც პროფესიული მასწავლებლების, ასევე პერსონალის საქმიანობის შეფასებას. პსდ-სა და თეგეტა ჰოლდინგს შორის გაფორმებული გენერალური მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში, აკადემიის პერსონალის შეფასებას ახორციელებს ჰოლდინგის ადამიანური რესურსის მართვის დეპარტამენტი, რომელიც KPI სისტემის გამოყენებით ახორციელებს თითოეული თანამშრომლის საქმიანობის მონიტორინგსა და შეფასებას. პერსონალის საქმიანობის შეფასების ძირითადი მიზანია მათი მიღწევებისა და წარუმატებლობების გამოვლენა, შემდგომი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა და საქმიანობის, დასახული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა, რისთვისაც შემდგომ განსაზღვრავს პერსონალის განვითარების საჭირო ღონისძიებებს.

   პერსონალის გამოკითხვა ხორციელდება ასევე პსდ-ს ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. წარმოდგენილია კვლევის დოკუმენტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 13 პირმა. გამოკითხვა ძირითადად ორიენტირებულია პერსონალის კმაყოფილებისა და საჭიროებების გამოვლენაზე, მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: ანაზღაურების, სამუშაო გარემოს კომფორტულობის, მოტივაციის, პროფესიული განვითარების მნიშვნელობის/საჭიროების შეფასებას, რაც დადებითად არის პერსონალის მიერ.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას.

2. პერსონალის საქმიანობის შეფასება ხორციელდება თითოეული პოზიციისთვის შემუშავებული მოვალეობების/განხორციელებული პროექტების შესაბამისად, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებელთა შეფასება დამატებით ხორციელდება სპეციალური ანკეტა-კითხვარებითა და პროფესიული სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე (პერსონალის შეფასებისა და საჭიროებების გამოვლენის შესახებ იხ. ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.1. (1) ინდიკატორის აღწერა). პერსონალის განვითარებას ითვალისწინებს პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა (მიზანი 4. ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა, ამოცანა 4.1. პროფესიულ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა პროფესიული განვითარება/ტრენინგი) , აღნიშნულ ამოცანას მოიცავს ასევე 2024 წლის სამოქმედო გეგმაც. პერსონალისთვის ტრენინგები იგეგმება და ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების შედეგების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

3. პსდ-ის ადმინისტრაცია ზრუნავს როგორც ადმინისტრაციული, ისე პროგრამის განმახორციელებელი პირებისთვის დარგობრივი კომპეტენციების გაძლიერებასა და სფეროს სიახლეების გაცნობის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით პერსონალის (ადმინისტრაციული, პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი) სასწავლო ვიზიტებისა და ტრენინგებზე მივლინების შესახებ ბრძანებები (2023-2024 წწ). წარმოდგენილი ბრძანებების საფუძველზე ირკვევა, რომ 2023 წელს პსდ-ს პერსონალი დაესწრო შემდეგ ღონისძიებებს/ტრენინგებს:

- კვალიფიკაციის ამაღლების კურსი „Spare Parts Training Program“ (დუბაი) - 1 პირი
- მანის ავტობუსების ტრენინგი (ქ. ერევანი) - 2 პირი
- კვალიფიკაციის ამაღლების კურსი MAN TG3 ELECTRICAL (დუბაი) – 1 პირი
- კვალიფიკაციის ამაღლების კურსი „ექსელი“- 1 პირი
- კვალიფიკაციის ამაღლების კურსი „MARKSTRAT“ (პარიზი) - 1 პირი
- კვალიფიკაციის ამაღლების კურსი „ტიპმატიკის ტრენინგს“ (თურქეთი, მანის აკადემია) - 1 პირი
- Electude Launch Event - 2 პირი
- ZF -ის ტრენინგი (დუბაი) - 1 პირი
- MAN-ის ტრენინგი მექანიკოსებისთვის (პოლონეთი) - 1 პირი
- Yokohama (ფრანკფურტი)- 1 პირი

2024 წლის განმავლობაში:

- MAN-ის საერთაშორისო ტრენინგი (მიუნხენ) – 1 პირი
- ტრენერთა ტრენერის (TOT) - 7 პირი
- სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების კოლეჯში KONING WILLEM I COLLEGE და ELECTUDE-WORLDSKILLS საერთაშორისო ღონისძიებაზე - 5 პირი;

პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია ასევე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ განხორცილებულ ტრენინგებში მონაწილეობის დამდასტურებელი სერტიფიკატები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

განმავითარებელი რეკომენდაცია:
პსდ-მ სასურველია უზრუნველყოს პერსონალის განვითარების შესახებ სტატისტიკის წარმოება, რომლიც მოიცავს ჩატარებული ტრენინგ/საათები, პერსონალის საერთო რაოდენობის, მიმართულებების, მათ შორის შიდა/გარე რესურსის ჭრილში და განვითარებაზე გაწეული რესურსების მაჩვენებლებს/ანალიზს.

4. **პსდ**-ს, სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლების ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომლის თანახმად, პერსონალის ინტეგრაციის პროცესში ჩართულია დაწესებულების ნებისმიერი პირი, მ.შ. დირექტორი. ინტეგრაციისა და სამუშაო გარემოსთან ადაპტირების მიზნით, დირექტორი წარუდგენს პერსონალს ახალ თანამშრომელს, აცნობს დაწესებულების მისიას, ხედვას და ღირებულებებს, პერსონალის მართვის ერთიან პოლიტიკას. ახალი პერსონალის ინტეგრაციის პროცესი მოიცავს ასევე: დაწესებულების შიდა, გარე მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას, სამუშაო ადგილის ორგანიზებას, სამუშაო პროცესისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტების, საჭირო ინვენტარის/ნივთების გადაცემას (მუხლი 9).

   პსდ-ს ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით, პროცედურის შემუშავების შემდეგ, მსგავსი გარემოება დაწესებულებაში არ დამდგარა. შესაბამისად, ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა მხოლოდ შიდა რეგულაცია. პერსონალთან გასაუბრებისა და შემუშავებული პროცედურის თანახმად, ფაქტობრივი გარემოების დადგომის შემთხვევაში, პსდ უზრუნველყოფს სამუშაო გარემოსთან ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას.

   წარმოდგენილი დოკუმენტის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან.

5. **პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**
   პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. პსდ-ში პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცედურები ითვალისწინებს პერსონალის შეფასებას, საჭიროებების, კმაყოფილების კვლევას, რაც მოიაზრებს, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. გამოკითხვის/პერსონალის ინიციატივის საფუძველზე პსდ გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, კონსულტაციებს, ტრენინგებს. გამოვლენილ საჭიროებებზე გამოიყოფა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

   პსდ-ს ადმინისტრაცია მხარს უჭერს პერსონალის ინიციატივას განვითარების შესახებ. ამის აშკარა დემონსტრირებაა 2024 წელს სასწავლო პორტალის „Electude „ შესწავლასა და დანერგვასთან განხორციელებული ღონისძიებები.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და ტრენინგებზე მივლინების შესახებ პსდ-ს დირექტორის ბრძანებები: 10.08.2023 №473/2; 14.11.2023 №500/1; 10.04.2024 №536; 02.07.2024 №568[1] ; 13.03.3034 №522; 07.11.2023 №498-1; 24.10.2023 №491-1; 18.10.2023 №490-1; 03.10.2023 №486-3; 22.09.2023 №485/1; 01.09.2023 №479/1; 30.06.2023 №0464; 09.01.2023 №420;
2. ფინანსური დოკუმენტები და გაანგარიშებები პერსონალის მივლინების ხარჯების შესახებ;
3. ბრძანება №585 შპს „თეგეტა აკადემიის“ პერსონალის მართვის პოლიტიკის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, 19/07/2024
4. ბრძანება №566 შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ, 02/07/2024
5. ბრძანება №584 შპს "თეგეტა აკადემიაში" პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობის პოლიტიკის განსაზღვრის შესახებ 19/07/2024
6. პსდ-ს ვებ და სოციალურ ქსელში განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ფოტო მასალა
7. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მფლობელობაშია შპს „თეგეტა მოტორსი“-ს (ს/კ 02177205) მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129, უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.72.14.073.4422) საერთო ფართიდან (7328.3 კვ.მ.) 284.00 კვ.მ და 148.00 კვ.მ. ფართი (იჯარის ხელშეკრულება 17.07.2018, *<u>მოქმედების ვადა 31.12.2030</u>*) საგანმანათლებლო და ეკონომიკური საქმიანობისთვის. ხელშეკრულება რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

   წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, თეგეტა აკადემიისთვის გამოყოფილი სივრცე მდებარეობს შენობის მე-3 სართულზე და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის გამოყოფილია შემდეგი სივრცეები:
   - A გარემო (40კვ.მ.) - აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, პროექტორით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, ლეპტოპი);
   - A/C გარემო (51.2კვ.მ.) - აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, ლეპტოპი), პროგრამების შესაბამისი ტექნიკური რესურსით, თვალსაჩინოებებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი მატერიალური რესურსით, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ყუთით, მონიტორით (prestigio multiboard 70);
   - B გარემო (26.6კვ.მ.) - აღჭურვილია 15 პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, დაფით, პროექტორით, მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა, სკამი, ლეპტოპი);
   - C გარემო (148კვ.მ.) შენობის 0 სართულზე. აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ტექნიკური მოწყობილობებით, ხელსაწყოებით, ინსტრუმენტებით, მონიტორით, ლეპტოპით, პლანშეტებით, პირველადი დახმარების სამედიცინო ყუთით. მეცადინეობის თემატიკის საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროფესიული კვოტის შესაბამისად განთავსდეს სკამები (სკამები აღჭურვილია საწერი დაფებით). ამავე სართულზე დამატებით გამოყოფილია ფართი (2 ოთახი), სადაც განთავსებულია მძიმე ტექნიკის სიმულატორი, მაგიდები, სკამები, დაფა, სადემონსტრაციო დეტალები და ძრავები.
   - ბიბლიოთეკა, აღჭურვილია ლეპტოპებით (10 ც.), ბეჭდვისა და ასლის გადამღები მოწყობილობით, მაგიდ-სკამებით, სტელაჟებით წიგნებისათვის.
   - ადმინისტრაციული სივრცე-ღია ტიპის საოფისე სივრცე - 10 სამუშაო ადგილით, 2 ბეჭდვისა და ასლგადამღები აპარატი. თითოეული სამუშაო ადგილი აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერით/ლეპტოპით და შესაბამისი საკანცელარიო ნივთებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პერსონალისა და პროფესიული სტუდენტებისათვის გამოყოფილია სამზარეულო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯითა და ტექნიკით (მაგიდები, სკამები, კარადა, მაცივარი, მიკრო ტალღური ღუმელი და ა.შ.);
- პსდ-ს სივრცეში მოწყობილია 2 სველი წერტილი, მ.შ. 1 ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

პსდ-ს სივრცეში მოწყობილია პერსონალისა და სტუდენტებისთვის რეკრეაციული სივრცეები. ამ მიზნით, პსდ-ს პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ კომპანიის შიდა ტერიტორიასა და შენობასთან არსებული ღია სივრცეები.

პსდ-ს მიერ წარმოდგენილია დოკუმენტები: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მატერიალურ-ტექნიკური რესურსის შესყიდვის აქტები, ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტები, უძრავი და მოძრავი ქონების ინვენტარიზაციის მასალები, რითაც დასტურდება უძრავი და მოძრავი ქონების ფლობა. ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ფაქტობრივი არსებობა და მდგომარეობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2. დაწესებულების პსდ-ს მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსის, ინფრასტრუქტურის ეფექტური და მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია "მატერიალური რესურსების გამოყენების წესი" (ბრძანება №567 02.07.2024), ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობისა (ბრძანება №553, 05.06.2024) და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების წესები (ბრძანება №582, 18.07.2024), რომელთა თანახმად, პერსონალი და პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია გამოიყენოს პსდ-ს რესურსი და ინფრასტრუქტურა. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული განათლების მასწავლებლის ზედამხედველობით გამოიყენოს პსდ-ს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა/აღჭურვილობა, მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. პსდ-ს შიდა რეგულაციებით, დაწესებულების კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობა პერსონალისა და სტუდენტებისთვის შესაძლებელია სამუშაო დღის 09:30 - 18:30 საათებში. მატერიალური რესურსის გამოყენების უფლების შესახებ შესაბამის პუნქტებს მოიცავს პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებაც.

   სასწავლო პროცესის დროს, მატერიალურ რესურსსა და ინფრასტრუქტურაზე დაუბრკოლებელ წვდომას ადასტურებენ პსდ-ს კურსდამთავრებულებიც (ვიზიტის პერიოდისთვის დაწესებულებას აქტიური სტუდენტების არ ყავდა).

წარმოდგენილი დოკუმენტების, პსდ-ს პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3. დაწესებულების დასუფთავება და სან-ჰიგიენურ მდგომარეობა უზრუნველყოფილია შპს „თეგეტა მოტორსა" და შპს „თეგეტა აკადემიას" შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

№0198, 30.01. 2019 წ. დანართი 1.8). სამუშაოების შესრულებაზე პასუხიმგებელია ქვეკონტრაქტორი კომპანია შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტ“-ს (ს/კ 204558362) შორის ხელშეკრულება პსდ-ს დასუფთავების შესახებ. ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულია დასუფთავების სახე (მ.შ. გენერალური დასუფთავება), გრაფიკი, ჯერადობა. პსდ-ში სათანადო ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა დასტურდება ვიზუალური დათვალიერებითა და ფაქტობრივი მდგომარეობით.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. პსდ-ს მფლობელობაში არსებული სივრცე უზრუნველყოფილია ცენტრალური გაგრილება-გათბობის სისტემით, ოთახები აღჭურვილია ასევე ტემპერატურის კონტროლის მოწყობილობით. გაგრილება-გათბობის სისტემა და მისი ფუნქციონირება დასტურდება როგორც ფაქტობრივი გარემოებით, ისე კომუნალური გადახდის ქვითრებით.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5. პსდ-ში შრომის უსაფრთხოების მართვა ხორციელდება შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ. დანართი 1.8). უსაფრთხოების მართვაზე პასუხისმგებელია თეგეტა მოტორსის/ჰოლდინგის უსაფრთხოების დეპარტამენტი. ხელშეკრულება მოიცავს:
   - სამუშაო სივრცეში უბედური შემთხვევების/პროფესიული დაავადებების აღრიცხვა, მოკვლევა, ანგარიშგებას;
   - საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შეფასებისა და საკონტროლო/პრევენციული ღონისძიებების დოკუმენტირებას და განხორციელებას;
   - საგანგებო სიტუაციებისთვის სამოქმედო გეგმების, ინსტრუქციების და შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებას;
   - გარემოსდაცვითი აუდიტს;
   - ნარჩენების ინვენტარიზაციას, ნარჩენების სეპარაციას და მართვას
   - ტრენინგების გეგმის შედგენას, სწავლებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას.

პსდ-ს მიერ, საკანონმდებლო მოთხოვნების თანახმად, წარმოდგენილი იქნა დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების მართვის მტკიცებულებები (რისკების მართვის გეგმები, პერსონალის/მსმენელების ინსტრუქტირებისა და სწავლების ფურცლები, პროცედურები, პსდ-ში ფიზიკური ფაქტორების კვლევის შედეგები და სხვა დოკუმენტები). პსდ-ში კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით, ხორციელდება შესაძლო საფრთხეებისა და რისკების იდენტიფიცირება, იგეგმება მათი პრევენციის და მართვის ღონისძიებები, ასევე ფიზიკური ფაქტორების (ტემპერატურა, ტენიანობა, განათება) კვლევა. ტარდება ინსტრუქტაჟი და ტრენინგები შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. აკადემიის ყველა სივრცეში (ადმინისტრაციული, თეორიული და პრაქტიკული სწავლების სივრცეები) განთავსებულია გამაფრთხილებელი და უსაფრთხოების ნიშნები. პერსონალი და პროფესიული სტუდენტები უზრუნველყოფილია ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (2024 წელს შესყიდულია 1809 ლარის იდს, ხოლო პირველადი დახმარების საშუალებებზე გახარჯულია 134 ლარი, ჯამში: 1943 ₾).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს შემუშავებული აქვს სტანდარტული ოპერაციების პროცედურები (SOP), რომლებიც უზრუნველყოფენ ნებისმიერ ინციდენტზე ან/და სხვა მასშტაბურ ავარიულ სიტუაციაზე სათანადო რეაგირებასა და ეფექტურად მართვას. ამისთვის პსდ-ს შემუშავებული აქვს შემდეგი პროცედურები:

(2) საგანგებო-კრიზისული/ავარიული სიტუაციების მართვის გეგმა;
(3) მონიტორიან მოწყობილობასთან უსაფრთხოდ მუშაობის ინსტრუქცია
(4) პირველადი სამედიცინო დახმარება
(5) შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გეგმა
(6) დიასახლისის შრომის უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქცია
(7) საოფისე საქმიანობის შრომის უსაფრთხოების წესები
(8) სახანძრო უსაფრთხოების წესები

შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები ასევე გათვალისწინებულია კონტრაქტორ კომპანიებთან (№4309 ხელშეკრულება დასუფთავების სამუშაოების შესახებ 11.10.2028). შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის გეგმა მოიცავს ასევე პსდ-ს საგანმანათლებლო საქმიანობის საკითხებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6. პსდ-ს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენებისა და უტილიზაციის წესი“ (ბრძანება №432[1] 20.03.2023), რომლის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის, გარდა დუალურისა, პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით, ხორციელდება საჭირო რესურსებს შეძენა სასწავლო პროცესის დაწყებამდე (მუხლი1). პერსონალის განმარტებით შესყიდვა ხორციელდება ასევე საჭიროების იდენტიფიცირებისას.

   შესყიდვის პროცედურისთვის, შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულება №0198, 30.01.2019 წ. დანართი 1.2.) ტექნიკური დავალების დაზუსტებას, ბაზრის კვლევას და მომწოდებლის მოძიებას, ასევე ხელშეკრულების მომზადებას და შესყიდვის პროცედურის შესრულებას, ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების ჩათვლით, ახორციელებს თეგეტა ჰოლდინგის შესყიდვების დეპარტამენტი. შესყიდვის პროცესს ზედამხედველობას უწევს აკადემიის დირექტორი.

   პსდ-ს მიერ მუდმივად ხდება საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის მატერიალური რესურსის შესყიდვა, გაუმჯობესება. პსდ-ს მიერ წარმოდგენილია 2023-2024 წლებში მატერიალური რესურსის განახლება-გაუმჯობესებისთვის გაწეული ხარჯები. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პსდ-ს მიერ 2024 წელს, მატერიალური რესურსის გაუმჯობესების მიზნით, საერთო ჯამში გაწეული აქვს 163 615 (ას სამოცდასამი ათას ექვსას თხუთმეტი) ლარი. შეძენილია სადიაგნოსტიკო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები (43 196 ₾), IT ტექნიკა (ლეპტოპები, პლანშეტები, 52 419 ₾), პროგრამული უზრუნველყოფა (68 000 ₾). ხოლო 2023 წელს აკადემიის მიერ შეძენილი იქნა მძიმე ტექნიკის სასწავლო სიმულატორი (28.02.2023 შეთანხმება შპს „Mevea“-სთან, გაწეული ხარჯი 140 000 ევრო).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას (იხ. ასევე მე-6 ინდიკატორის აღწერა). პსდ-ს პროცედურის „ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მართვა. პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის ანკეტები მოიცავს ასევე კითხვებს რესურსების შეფასების შესახებ, რომელთა გამოყენებით პსდ ახორციელებს სტუდენტების/მსმენელების სისტემატურ გამოკითხვას. მატერიალური რესურსის შემოწმება-შეფასება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს, რისთვისაც გამოყოფილია მატერიალურ რესურსზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას აწვდის პსდ-ს ადმინისტრაციას. ამასთან, შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულება №0198, 30.01.2019 წ. დანართი 1.6.), პსდ, თეგეტა მოტორსის აუდიტის დეპარტამენტთან ერთად ახორციელებს რესურსების რეგულარულ ინვენტარიზაციასა და შეფასებას. აკადემიის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაცია ტარდება წელიწადში 2-ჯერ. პსდ-ს ადმინისტრაცია, შეფასებების შედეგების შესაბამისად, გეგმავს შემდგომ ქმედებებს. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყო ინვენტარიზაციის მასალები, ასევე შეფასების შედეგად გამოვლენილი დაზიანებული კომპიუტერული ტექნიკის ჩამოწერის შესახებ მოთხოვნის წერილი და ჩამოწერის აქტები.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია 2 სანიტარული კვანძი. მათ შორის ერთი ადაპტირებულია შშმ პირისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას, მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება, ვენტილაცია და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის;

სანიტარული კვანძები სათანადოდ მოწესრიგებულია. პსდ-ს დასუფთავება და სან-ჰიგიენურ მდგომარეობა უზრუნველყოფილია შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.). სამუშაოების შესრულებაზე პასუხიმგებელია ქვეკონტრაქტორი კომპანია შპს „დრ. როდგერ სერვის მენეჯმენტ“-ს (ს/კ 204558362) შორის ხელშეკრულება პსდ-ს დასუფთავების შესახებ. ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულია დასუფთავების სახე (მ.შ. გენერალური დასუფთავება), გრაფიკი, ჯერადობა. ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს ობიექტზე ჰიგიენური საშუალებების არსებობის კონტროლს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია დასუფთავებაზე პასუხისმგებელი პერსონალის რაოდენობა (1 პირი), სამუშაოს შესრულების ხარისხის კონტროლი. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 1 წელი (პ.5.1.), მისი პერმანენტულად გაგრძელების დათქმით, იმავე ვადითა და პირობებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9. დაწესებულების შენობის ფასადის ყველა გვერდი არის ფაქტობრივად მთლიანად შემინული, შესაბამისად, შენობის თითქმის ყველა სივრცეს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ პსდ-ს ყველა აუდიტორიას და ბიბლიოთეკას, მ.შ. ადმინისტრაციულ სივრცეს და ჰოლს, აქვს როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10. პსდ-ს სივრცე ისეა დაგეგმილი, რომ საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესი შეუფერხებლად ხორციელდება. დაწესებულებაში არაა ერთმანეთში გამავალი ოთახები. სამუშაო და სასწავლო ოთახები, ბიბლიოთეკა განლაგებულია ერთმანეთისგან იზოლირებულად და ყველა სივრცე გამოდის ჰოლში.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სათავსოების და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

11. პსდ-ს ბიბლიოთეკის საქმიანობის რეგულირებისთვის შემუშავებული აქვს „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“, რომლის თანახმად, ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით: 09:30-დან 18:30 საათამდე (კვირაში 5 დღე 40 საათი). ბიბლიოთეკაში მკითხველისა და ბიბლიოთეკარისთვის განთავსებულია მაგიდა, სკამები, კომპიუტერები და პრინტერი ასლის გადაღების ფუნქციით.) წიგნადი ფონდი (314 ერთეული) აღრიცხულია და დამუშავებულია საბიბლიოთეკო სტანდარტების შესაბამისად. არსებობს აღრიცხვის როგორც მატერიალური ისე ელექტრონული კატალოგები, პერსონალსა და სტუდენტებზე/მსმენელებზე გაცემული წიგნის/წიგნების რეესტრი. ელექტრონული სასწავლო რესურსები ჩატვირთულია ბიბლიოთეკაში არსებულ კომპიუტერში. ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ელ კატალოგი და რესურსი განთავსებულია პსდ-ის ვებ-გვერდზე, ბიბლიოთეკისთვის გამოყოფილ სივრცეში (https://tegetaacademy.edu.ge/ka/library), რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მომხმარებლისთვის. ვებ-გვერდზე განთავსებულია ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. წესები გამოკრულია თვალსაჩინოდ საბიბლიოთეკო სივრცეშიც.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. შპს თეგეტა აკადემიის მფლობელობაში არსებული ფართის აზომვითი ნახაზი;
3. შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანება №567 შპს "თეგეტა აკადემიაში" მატერიალური რესურსის გამოყენების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ (02.07.2024);
4. შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანება № 432[1] „სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალისა და ნედლეულის შენახვის, გამოყენებისა და უტილიზაციის წესი“ (20.03.2023);
5. ბრძანება №0455 შპს „თეგეტა-აკადემიის“ უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ (15.06.2023);
6. შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.);
7. შპს თეგეტა აკადემიის რისკების მართვის ღონისძიებების გეგმა;
8. შპს თეგეტა აკადემიაში ფიზიკური ფაქტორების კვლევის შედეგები (21.02.2024; 25.07.2024);
9. ნასყიდობის ხელშეკრულება (16.03. 2018), მიღება ჩაბარების აქტი (17.03.2023);
10. მატერიალური რესურსის შესყიდვის დამადასტურებელი ანგარიშფაქტურები და სასაქონლო ზედნადებები;
11. ინვენტარიზაციის დოკუმენტი;
12. შპს „თეგეტა აკადემიის დირექტორის ბრძანება №582“კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტით სარგებლობის წესი“ (18.07.2024);
13. შპს „Mevea“-სთან მძიმე ტექნიკის სიმულატორის მიწოდების, ინსტალაციისა და პერსონალის ტრენინგის შესახებ შეთანხმება (28.02.2023);
14. ხელშეკრულება დასუფთავების მომსახურების შეახებ (№4309 01.08.2017) და შეთანხმება (11.10.2018);
15. სანიტარული კვანძების დასუფთავების/კონტროლის ფურცლები;
16. მიმოწერა „თეგეტა მოტორსთან“ კომპიუტერული ტექნიკის ჩამოწერის შესახებ (კორესპონდენციის თარიღი: 11.06.2024);
17. შპს „თეგეტა აკადემიის „ დირექტორის ბრძანება №547 (15.05.2024) „ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“;
18. შპს „თეგეტა აკადემიის „ დირექტორის ბრძანება №553 (05.06.2024) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესისა და ბიბლიოთეკის დებულების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“;
19. შპს თეგეტა აკადემიის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის სარეგისტრაციო ჟურნალები/კატალოგები;
20. შპს თეგეტა აკადემიის პერსონალსა და სტუდენტებზე/მსმენელებზე გაცემული წიგნის/წიგნების რეესტრი;
21. პსდ-ს ვებ-გვერდი https://tegetaacademy.edu.ge
22. პსდ-ს პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, შპს „ბალავერი“-ს მიერ გაცემული დასკვნა შენობის ტექნიკური მდგრადობის ინსპექტირების შედეგების შესახებ, რომლის თანახმად, შენობა-ნაგებობა აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო წესების და ნორმატივების მოთხოვნებს. ექსპერტთა დასკვნის თანახმად, შენობა უსაფრთხოდ აღიარებულია 50 წლიანი ექსპლოატაციის პერიოდით (დასკვნის გაცემის თარიღი: 15.06.2021 წ.).
   პსდ-მ ასევე წარმოადგინა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო და საქვეუწყებო დაწესებულების საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, პსდ-ში განხორციელებული სახანძრო უსაფრთხოების აუდიტის დასკვნა და მიწერილობა (22.10.2022, MIA 4 20 02501702;), რომლის თანახმად უწყება ადასტურებს, რომ ობიექტის მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მოქმედ სტანდარტების მოთხოვნებს. ამასთან, დაწესებულების მიერ სახანძრო და შრომის პირობების უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.).

   „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად აკადემიის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სახანძრო უსაფრთხოების შესახებ სწავლება ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი (ბოლო ინსტრუქტაჟის/სწავლების თარიღი 24.04.2024). დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულების მთელ პერიმეტრზე განთავსებულია ვარგისი ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებები, მათ შორის დარგობრივ კაბინეტებში. ასევე კვამლის აღმომჩენი დეტექტორები. უზრუნველყოფილია დაწესებულების როგორც შიდა, ისე გარე სივრცეების ვიდეო კონტროლი.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. ამ მიზნით, შემუშავებულია პროცედურა „პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის წესი“ (ბრძანება №545, 15.05.2024 წ.) და პირველადი დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია (SOP-05, 15.06.2023). შპს „თეგეტა მოტორსის“ და პსდ-ს შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საფუძველზე, თეგეტა მოტორსი პასუხისმგებელია კვალიფიციური პირის გამოყოფასა და პირველადი დახმარების აღმოჩენაზე (№0198, 30.01. 2019, დანართი 1.8). კვალიფიციური პირი (კომპეტენტურობა დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტებით) უფლებამოსილია თავად აღმოუჩინოს მას პირველადი სამედიცინო დახმარება, საჭიროებისას გამოიძახოს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბრიგადა (112), ფაქტის შესახებ აცნობოს აკადემიის პერსონალს, რათა შემდგომ მოხდეს დაზარალებულის (პერსონალის/პროფესიული სტუდენტის) ოჯახის წევრის ინფორმირება. ასევე ხდება პსდ-ს პერსონალის გადამზადება, სწავლება პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებზე (სწავლებისა და ინსტრუქტაჟის გავლის დამდასტურებელი ფურცლები 05.09.2023; 01.12.2023).

პსდ-ში ადმინისტრაციულ-სასწავლო და პრაქტიკის განხორციელების სივრცეში განთავსებულია პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთები, რომლებიც დაკომპლექტებულია ყველა საჭირო პირველადი დახმარების საშუალებებით. პირველადი დახმარების საშუალებები ვადიანია, ჰიგიენური მდგომარება - კარგი. პსდ ზრუნვას და აკონტროლებს პირველადი დახმარების საშუალებების განახლებაზე, წარმოდგენილია მათი შეძენის დამდასტურებელი დოკუმენტები (მიმდინარე წლისთვის პირველადი დახმარების საშუალებებზე გახარჯულია 134 ₾). ყველგან, როგორც აკადემიის სივრცეში, ისე მის მიმდებარე ტერიტორიაზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი (112).

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3. დაწესებულებაში შემუშავებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომლის მიზანია ტექნოგენურ სიტუაციებში ეფექტური რეაგირებისა და ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა და აკადემიის პერსონალის დაცვა. პსდ-ში განსაზღვრულია: სახანძრო-სამაშველო, საევაკუაციო ჯგუფებისა და საგანგებო შტაბის შემადგენლობა. დოკუმენტით შეფასებულია საფრთხეები და რისკები, აღწერილია შესაბამისი სცენარები და მათი მართვის ღონისძიებები, მ.შ. შშმ პირებთან მიმართებით. დოკუმენტი შეთანხმებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებასთან, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან (შეთანხმების წერილი MIA 6 23 03749913, 20.12.2023).

პსდ-ს პერსონალს გავლილი აქვს სპეციალური სწავლება. წარმოდგენილია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების ინსტრუქტაჟის და სიმულაციური სწავლების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ობიექტი დაკომპლექტებულია შესაბამისი რაოდენობის პირველადი ხანძრის ჩაქრობის, სახანძრო-სამაშველო და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით ხორციელდება მათი ვარგისიანობის კონტროლი. დამონტაჟებულია კვამლზე მორეაგირე დეტექტორები, სახანძრო სიგნალიზაცია, რომელიც მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშაა. მთელ სივრცეში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები, ავტონომიური კვების მქონე საევაკუაციო გზის მიმმართველები, გზებზე გამოკრულია საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ტელეფონი 112.

შპს „თეგეტა მოტორსის“ და პსდ-ს შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე, თეგეტა მოტორსის უსაფრთხოების დეპარტამენტი პასუხისმგებელია პსდ-ს სახანძრო, შრომისა და გარემოსდაცვითი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე (№0198, 30.01.2019, დანართი 1.8). დანიშნულია სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4. დაწესებულებას საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ პერიმეტრზე წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, შპს „თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული აქვს საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება. ხელშეკრულების საფუძველზე, აკადემიის მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი, კომპანიის მიერ აყვანილია ცენტრალიზებული დაცვის სისტემაზე და კონტროლი ხორციელდება 24 საათის განმავლობაში. კომპანიის/აკადემიის ტერიტორიაზე უცხო პირთა დაშვება შეზღუდულია. დაცვისა და უსაფრთხოების კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით პსდ-ს შიდა და მიმდებარე პერიმეტრი უზრუნველყოფილია ვიდეო კონტროლის სისტემით. პსდ-ს შიდა რეგულაციებით გაწერილია საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით ვიდეო კონტროლის განხორციელება, გამოყოფილია კონტროლსა და ვიდეო ჩანაწერებთან წვდომაზე პასუხისმგებელი პირები.

   დაწესებულებაში წესრიგის დაცვის კონტროლი ხორციელდება ასევე ცოცხალი ძალის გამოყენებით, გამოყოფილია პასუხისმგებელი პირები, რომელთა მოვალეობაა არ დაუშვას დაცვის ობიექტზე აშკარა ალკოჰოლური, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ზემოქმედების ნიშნების მქონე და შეიარაღებულ პირთა შესვლა/ყოფნა დაწესებულების ტერიტორიაზე; აღკვეთოს აკადემიის ტერიტორიაზე ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების მიღება, ასევე, თამბაქოს მოხმარება კანონმდებლობით აკრძალულ ადგილებში. წესრიგის დამრღვევ პირებს დაუყოვნებლივ დაატოვებინოს აკადემიის ტერიტორია; წესრიგის დარღვევისას, პასუხისმგებელი პირები უფლებამოსილები არიან გამოიყენონ კანონმდებლობით დადგენილი ყველა ღონისძიება, ასევე მიმართონ საპატრულო პოლიციას (112).

   წესრიგის დაცვის მექანიზმები გაწერილია პსდ-ს შიდა რეგულაციებში: „წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“ (მუხლი 3), ასევე პსდ „შრომისა და სასწავლო შინაგანაწესში“. შინაგანაწესი ითვალისწინებს ასევე დისკრიმინაციის დაუშვებლობის შესახებ პუნქტებს (მუხლი 16).

   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კორესპონდენციები (MIA 4 20 02501702, 22.10.2020 და MIA 6 23 03749913, 20.12.2023);
2. სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი №90 (22.10.2020);
3. შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანება №0168 „შპს „თეგეტა აკადემიის“ ქ. თბილისის მისამართზე მდებარე შენობაში საგანგებო სიტუაციის ევაკუაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ (12.01.2020);
4. შპს „თეგეტა აკადემიაში საოფისე საქმისნობის შრომის უსაფრთოების წესები (დანართი 2, 14.07.2020);
5. შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის ბრძანება №0232 „შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 2019 წლის 24 ივლისის №0103 ბრძანებაში „შპს თეგეტა აკადემიაში“ პერსონალისა და პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესის დამტკიცების შესახებ „ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ (14.07.2020);
6. შპს „თეგეტა აკადემიის“ პერსონალის ინსტრუქტაჟისა და სწავლების დამდასტურებელი ფურცლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პირველადი დახმარების საშუალებების შესყიდვის ანგარიშფაქტურა
8. (ბრძანება №480[1] „შპს „თეგეტა აკადემიის“ საგანგებო მართვის ღონისძიებების დროულად და მაღალ დონეზე განხორციელების მიზნით, საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ (05.09.2023);
9. შპს „თეგეტა აკადემიის“ პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის წესი (ბრძანება №545 14.05.2024);
10. შპს „თეგეტა აკადემიის „შრომისა და სასწავლო შინაგანაწესი“ (13.01.2022)
11. ბრძანება №0455 შპს „თეგეტა-აკადემიის“ უსაფრთხოების ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ (15.06.2023);
12. შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.);
13. შპს თეგეტა აკადემიის რისკების მართვის ღონისძიებების გეგმა;
14. შპს „თეგეტა აკადემიის“ პერსონალთან გასაუბრებისა და ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ აღჭურვილია ახალი, სათანადო პარამეტრების შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით (კომპიუტერები, ლეპტოპები, პლანშეტები, მაგნიტური დაფა, პრინტერები ასლის გადაღების ფუნქციით და სხვა პერიფერიული მოწყობილობები). აკადემიის შენობაში ხელმისაწვდომია უკაბელო ინტერნეტი, ასევე მხარდაჭერილია ინტერნეტის მიწოდება სადენით. კომპიუტერული ტექნიკის პარამეტრები და პროგრამული უზრუნველყოფა სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესების შესაბამისია. IT ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც პერსონალისთვის, ისე პროფესიული სტუდენტებისთვის.

თეგეტა მოტორსსა და აკადემიას შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების თანახმად აკადემია სხვადასხვა მიმართულებით იღებს მომსახურებას, მათ შორისაა IT&SAP მომსახურება (№0198, 30.01. 2019 წ. დანართი 1.7.), რომელშიც შედის ინტერნეტით უზრუნველყოფა, IT და პროგრამული მხარდაჭერა, პროცესების მართვის სიტემა, სმს პლატფორმის, მონაცემთა ბაზებისა და კორპორატიული საიტის მართვა. ხელშეკრულების ფარგლებში ასევე საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა (პროგრამა ORIS). სასწავლო მიზნებისთვის ასევე იყენებს სიმულაციურ სასწავლო პლატფორმას „ელექტუდი“, რომლის ოფიციალური წარმომადგენელია ამიერკავკასიის რეგიონში.

აკადემიას უწყვეტად მიეწოდება IT მხარდაჭერა, ნებისმიერ დროს როგორც თანამშრომელს, ისე სტუდენტს შესაძლებლობა აქვს დაუკავშირდეს IT სპეციალისტს და მიიღოს შესაბამისი დახმარება.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2. პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია IT რისკები და ბიზნესუწყვეტობის უზრუნველყოფის ღონისძიებები (მუხლი 5). ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის მიზნით, არსებული რისკების გათვალისწინებით პსდ-ში დანერგილი და გატარებულია შემდეგი ღონისძიებები:
   - ორი სხვადასხვა ინტერნეტ პროვაიდერის ოპტიკურ-ბოჭკოვანი მომსახურება.
   - აპარატურა აღჭურვილია უწყვეტი კვების წყაროთი და სარეზერვო გენერატორით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სერვერის აპარატურის და ქსელური მოწყობილობების დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოფილია სარეზერვო მოწყობილობები;
- ახალი პროგრამული უზრუნველყოფის/სისტემების დანერგვა-გამოყენებამდე ხდება მათი დეტალური შემოწმება და პერსონალის შესაბამისი სწავლება-ტრენინგი;
- ხორციელდება აკადემიის ინფორმაციული სისტემების მონაცემების პერიოდული სარეზერვო ასლების შექმნა და მასალების უსაფრთხოდ შენახვა-არქივაცია;

გარდა ამისა, პსდ-ში დანერგილია პერსონალური მოხმარების მოწყობილობებთან ავტორიზებული წვდომისა და პაროლის გამოყენების სისტემა. შპს "თეგეტა მოტორსთან" გაფორმებული ხელშეკრულების (№0198, 30.01. 2019 წ. დანართი 1.7.) საფუძველზე, პსდ-ს ინფორმაციული სისტემების ადმინისტრირებასა და მხარდაჭერას ახორციელებს თეგეტა მოტორსის IT დეპარტამენტი.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3. პსდ-ში მოქმედებს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი (ბრძანება №568, 02.07.2024), შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი, რომლითაც იდენტიფიცირებულია საქმიანობისას დასამუშავებელი მონაცემები, დამუშავების მიზნები, პრინციპები, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები, მათი პასუხისმგებლობის სფეროები, მონაცემების დაცვისა და შენახვის წესები და სხვა. დოკუმენტით დადგენილი წესები შესაბამისია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველო კანონის მოთხოვნებთან.

   კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, აკადემიის დირექტორის 2024 წლის 15 ოქტომბრის №605 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცერი. ინფორმაცია განთავსებულია პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის პორტალზე (https://pdps.ge/ka/content/1012/5461/Sps-Tegeta-akademia). კანონმდებლობის მოთხოვნების უზრუნველყოფის მიზნით, პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან, პსდ-ს მიერ გაფორმებულია შეთანხმების აქტები, პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;

4. პსდ მუდმივად ცდილობს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების, მ.შ. სასწავლო პროცესში ციფრული სერვისების დანერგვასა და შემდგომში მათ ეფექტიან მართვასა და შეფასებას. ინფორმაციული ინფრასტუქტურის და პროცესების მართვა. მ.შ. შეფასება უზრუნველყოფილია, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა „თეგეტა მოტორსთან" გაფორმებული ხელშეკრულებით (№0198, 30.01.2019 წ. დანართი 1.7.), რომლის ფარგლებში, კომპანიის IT ოპერაციების დეპარტამენტის ინფორმაციული უსაფრთხოებს ოფიცერი ახორციელებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და პროცესების შეფასებას, მ.შ. ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ მონიტორინგს, ინციდენტების შეგროვებას და რეაგირებს გამოვლენილი ინციდენტების/რისკების შესაბამისად.

   წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, როგორც სასწავლო აუდიტორიებში, ისე ბიბლიოთეკაში. აღნიშნული საკითი რეგულირდება ასევე შიდა ნორმატიული დოკუმენტებით (მატერიალური რესურსის გამოყენების წესი, შინაგანაწესი, ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა, ბიბლიოთეკის დებულება). აღნიშნული საკითხები აქცენტირებულია ასვე პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებში. რეგულაციების თანახმად პერსონალსა და პროფესიულ სტუდენტებს უფლება აქვთ აკადემიის კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით ისარგებლონ სამუშაო დღის საათებში, შეუზღუდავად. ინფორმაციული უსაფრთხოების ოფიცრისაგან მიიღონ სხვადასხვა სახის კონსულტაცია ტექნიკისა ან/და ინტერნეტით მომსახურების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6. პსდ-ს დომენით შექმნილია ელ-ფოსტის მისამართები (კორპორატიული მეილები) პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. აკადემიის თანამშრომლებს შორის ელექტრონული ფოსტით გამარტივების მიზნით, პერსონალის კომპიუტერებზე გამოიყენება Outlook სისტემა, სადაც შექმნილი პერსონალის ელ-მისამართების რეესტრი.

პსდ-ს შიდა რეგულაციით იდენტიფიცირებული აქვს საკომუნკაციო არხები/სისტემები, რომელთა მეშვეობითაც ახდენს დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციას. ესენია: Mc Teams'; Zoom; Google Meet; Gmail; Facebook; e-Flow, სოციალური ქსელები. სტუდენტებთან კომუნიკაციისას უფრო აქტიურად იყენებს Facebook Messenger-ს, რომლის მეშვეობითაც, ნაკადებისთვის ინდივიდუალურად შექმნილ ჯგუფებში, ხდება ინფორმაციის და მასალების მიწოდება (აღნიშნულ გარემოებას ადასტურებენ კურსდამთავრებულები). აღნიშნულ ჯგუფებში გაწევრიანებული არიან როგორც სტუდენტები, ასევე განმახორციელებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს თეგეტა აკადემიის ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა (10.07.2020);
2. შპს თეგეტა აკადემიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი (02.07.2024);
3. შპს თეგეტა აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი (02.07.2024);
4. შპს „თეგეტა მოტორსა" და შპს „თეგეტა აკადემიას" შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.);
5. შპს "თეგეტა აკადემიაში" მატერიალური რესურსის გამოყენების წესი"(02.07.2024);
6. ინფორმაციული რისკების გამოვლენისა და მართვის მეთოდოლოგია (03.04.2024 ვერსია 1);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პერსონალური მონაცემების დაცვის სამსახურის პორტალი https://pdps.ge/ka/content/1012/5461/Sps-Tegeta-akademia
8. შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის ბრძანება №605 პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ (15.10.2024).
9. პსდ-ს პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს დოკუმენტბრუნვის ეფექტურად მართვის უზრუნველყოფის მიზნით, შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძანება №579, 16.07.2024, მე-4 რედაქცია). დოკუმენტით განსაზღვრულია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული დოკუმენტბრუნვის წარმოების წესები. პსდ-ს დოკუმენტით დადგენილი საქმისწარმოების/დოკუმენტბრუნვის შიდა რეგულაციები კანონმდებლობასთან შესაბამისია.

დაწესებულების დოკუმენტბრუნვის მართვაზე პასუხისმგებელია საქმისწარმოების სამსახური/საქმისწარმოების სპეციალისტი, რომელიც კოორდინირებას უწევს პსდ-ს საქმისწარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესების დაცვას, ინფორმაციის გაცემას, დოკუმენტების დამუშავებას, არქივის წარმოებას და სხვა მასთან დაკავშირებულ საქმიანობას. საქმისწარმოების წესის დანართით განსაზღვრულია დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტების აღრიცხვის ჟურნალების წარმოების წესები. ექსპერტების მიერ შემოწმდა სამსახურის მიერ წარმოებული საქმეები, რეგისტრაციის ჟურნალები (შემოსული/გასული კორესპონდენცია, ბრძანებები, ოქმები, მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის (დიპლომის) გაცემა). აღნიშნული დოკუმენტების აღრიცხვას დაწესებულება ახორციელებს მატერიალური ფორმით. აღრიცხვის ჟურნალები წარმოებს საქმისწარმოების ერთიანი წესების მოთხოვნების შესაბამისად - ჟურნალები ნორმატიული აქტის მოთხოვნების შესაბამისადაა აკინძული, დალუქული და დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ.

ვიზიტის დროს, რეესტრების გარდა შემოწმდა როგორც ადმინისტრაციული, ისე საკადრო საქმისწარმოების დოკუმენტები. პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების რიგ პირად საქმეებში წარმოდგენილი განცხადებები არ მოიცავდა რეგისტრაციის რეკვიზიტებს. ნებისმიერი წყაროდან შემოსული დოკუმენტი, იქნება მატერიალურად, თუ ელექტრონულად წარმოდგენილი, ექვემდებარება რეგისტრაციას, მ.შ. განცხადებები. ამასთან მატერიალურად შემოსული კორესპონდენციის ციფრული ვერსიები, აიტვირთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, პსდ საქმისწარმოების პროცედურის შემოსული კორესპონდენციის სისტემაში აღრიცხვის წესის თანახმად. რაც უზრუნველყოფს ასევე მატერიალურად შემოსული დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციასა და აღრიცხვის სანდოობას. აღნიშნული ასევე შეამცირებს, რეესტრების მატერიალური ფორმით წარმოების რუტინას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმისწარმოების წესის თანახმად, ასევე განსაზღვრულია უწყისების რეგისტრაციის წესი (საქმისწარმოების წესი, დანართი №1, *პ.7) რაც საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობაა. წესის თანხმად, „უწყისით გაფორმებული შეფასება ძალაში შედის საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირისთვის ჩაბარების და მის მიერ უწყისის რეგისტრაციაში გატარების მომენტიდან (პ.3)“ და „შეფასების მტკიცებულებები და ინსტრუმენტები ინახება პროფესიული სტუდენტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, ხოლო უწყისები ინახება უვადოდ (პ.6), რაც არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა აღნიშნული საკითხი რეგულირდება ასევე პსდ-ს დირექტორის 2024 წლის 2 ივლისის №565 ბრძანებით დამტკიცებული შპს "თეგეტა აკადემიის" პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებისა და შეფასების წესის“ ახალი რედაქციის დანართით 1.3. „უწყისის შევსების და რეგისტრაციის წესი“, სადაც მე-4 პუნქტი, შეფასების ძალაში შესვლის შესახებ, იდენტური შინაარსისა საქმისწარმოების დანართის მე-3 პუნქტის, ხოლო **მტკიცებულებების შენახვის შესახებ განსაზღვრული ვადები ამ უკანასკნელში ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისია, კერძოდ: „პ.6 შეფასების მტკიცებულებები და შეფასების ინსტრუმენტები ინახება 3 წლის ვადით, ხოლო უწყისები ინახება უვადოდ“ (პ.6.), რისი პრაქტიკაც რეალურად აქვს პსდ-ს. შესაბამისად, ექსპერტებმა იხელმძღვანელეს პსდ-ში არსებული რეალური პრაქტიკითა და ბოლო თარიღით გამოცემული დოკუმენტით**. რაც შეეხება შეფასების ძალაში შესვლას, უწყისის რეგისტრაცია ან რეგისტრაციაში არ გატარება ვერ შეცვლის სტუდენტის შეფასების შედეგს, ამასთან, უწყისების რეგისტრაცია გავრცელებული პრაქტიკით ხდება მისი შემფასებელ პირზე გადაცემამდე და არა შეფასების პროცესის დასრულების შემდეგ. გარდა ამისა, წარმოდგენილ შეფასების უწყისებში იყო ასევე განმეორებითი შეფასების უწყისები, რომლებსაც ძირითადი უწყისების იდენტური ნომრები ჰქონდა (მაგ. შეფასების უწყისი* №*004, მოდული „ტრანსმისიის კლასიფიკაცია - 0711908“ განხორციელების პერიოდი:27.12.2022-18.01.2023). მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, მაშინ როდესაც მოდულის/სწავლის შედეგის განმეორებითი დადასტურებისთვის გაიცემა ახალი დოკუმენტი, განმეორებითი გამოცდის უწყისი, რეგისტრაციისას სასურველია მათთვის ინდივიდუალურად უნიკალური ნომრების მინიჭება და დოკუმენტების რეგისტრაცია, მათი გაცემისას, შემფასებელ პირზე გადაცემამდე. ამასთან სასურველია, პსდ-მ ასევე უზრუნველყოს დოკუმენტებში შეფასების ძალში შესვლის პუნქტის შინაარსის ცვლილება.*

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი.

განმავითარებელი რეკომენდაცია:

(9) სასურველის პასდ-მ უზრუნველყოს ნებისმიერი წყაროდან შემოსული დოკუმენტის (მატერიალურად ან ელექტრონულად წარმოდგენილი), რეგისტრაცია ან/და მატერიალურად შემოსული კორესპონდენციის ციფრული ვერსიები, ატვირთოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, რაც უზრუნველყოფს მატერიალურად შემოსული დოკუმენტების ელექტრონულ რეგისტრაციასა და აღრიცხვის სანდოობას, ასევე შეამცირებს რეესტრების მატერიალური ფორმით წარმოების რუტინას.

(10) პსდ-მ უწყისების (ძირითადი, განმეორებითი შეფასების) რეგისტრაცია განახორციელოს მათ გაცემამდე, ხოლო მიკვლევადობის უზრუნველყოფის მიზნით, უწყისებს რეგისტრაციისას ინდივიდუალურად მიენიჭოს უნიკალური ნომრები.

2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. პსდ-ს ყველა პერსონალი უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიებით (კომპიუტერი, ბეჭდვის, ასლის გადაღების საშუალებები და სხვ). პსდ-ს მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფილია ვიდეო მონიტორინგის სისტემა, საქმიანობისას იყენებს საბუღალტრო პროგრამულ უზრუნველყოფას, შიდა საკომუნიკაციო ქსელს, აქტიურად იყენებს ასევე სოციალურ ქსელებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ოფიციალურ ვებ-გვერდს. საქმისწარმოებისათვის, მატერიალური ფორმის დოკუმენტბრუნვასთან ერთად, იყენებს ელექტრონულ სისტემა e-flow, ხოლო ადმინისტრაციული და სხვა ტიპის შეხვედრებისა და თათბირებისთვის იყენებს Google-ს, Zoom-ის, Mc Teams' სერვისებს.

წარმოდგენილი დოკუმენტების და *ფაქტობრივი გარემოებების* საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;

3. ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დაწესებულების გვერდი. დაწესებულების მატერიალური-ტექნიკური ბაზის, პერსონალის (ადმინისტრაციული, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირები), პროფესიული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია სრულყოფილადაა შეყვანილი. ამომწურავი ინფორმაციაა ასევე კურსდამთავრებულების შესახებ, მათ შორის შეტანილია გაცემული დიპლომების და დანართების ელექტრონული ასლები.

ექსპერტების მიერ შემოწმებული იქნა, პროფესიული სტუდენტების სტატუსთან (შეჩერება/შეწყვეტა) კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ინფორმაციის/რეკვიზიტებისა და შესაბამისი დოკუმენტების სიზუსტე, ინფორმაციის ბაზაში ასახვის ვადების დაცვა და სისრულე. პსდ-ს მიერ ბაზაში ასახული სრულყოფილი ინფორმაცია, შესაბამისი ვადების დაცვით. დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერი, პერიოდულად ახდენს პორტალზე ასახული ინფორმაციის სისრულის შემოწმებას და შეფასების შედეგების შესაბამისად რეაგირებს (განათლებს მართვის საინფორმაციო სისტემის მონიტორინგის ანგარიში 17.05.2024).

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების დაცვით შეტანას.

4. საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ეფექტური კომუნიკაციისა და დროული ანგარიშგების მიზნით პსდ-ს მიერ დირექტორის 2024 წლის 19 ივლისის №583 ბრძანებით განსაზღვრულია მაკონტროლებელ უწყებებთან კომუნიკაციასა და ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირები: აკადემიის დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი და კომპეტენციის ფარგლებში საქმისწარმოების სპეციალისტი. სხვადასხვა უწყებასთან კომუნიკაცია ხორციელდება ოფიციალური მიმოწერის (შემოსული და გასული კორესპონდენცია) ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, პსდ-ს ოფიციალური ელფოსტის info@tegetaacademy.ge ან/და საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის e-Flow მეშვეობით.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა პსდ-ს მიერ მაკონტროლებელ უწყებასთან განხორციელებული უკუკავშირის შესახებ მტკიცებულებები. დაწესებულების მიერ ბოლო კორესპონდენცია, რომელიც სსიპ განათლების ხარისხის განვითრების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებშია გადაგზავნილი. კორესპონდენცია ეხება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევის პროცესთან დაკავშირებით გამოთხოვილი დოკუმენტაციის მიწოდებას (№035, 17.05.2024) და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამებზე მასწავლებელთა ცვლილებების და დამატების შესახებ (№051, 19.09.2024) ინფორმირებას. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრებით, ირკვევა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს დროულ რეაგირებასა და უკუკავშირს შემოსულ კორესპონდენციაზე, მუდმივად მზადაა თანამშრომლობისთვის საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ბრძანება №583 შპს "თეგეტა აკადემიაში" საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან თანამშრომლობისა და ანგარიშგების რეგულაციის წესის დამტკიცების შესახებ (19/07/2024)
2. ბრძანება №579 შპს "თეგეტა აკადემიის" საქმისწარმოების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ (16/07/2024)
3. ელექტრონული საქმისწარმოების სისტემით (e-flow) სარგებლობის შესახებ ხელშეკრულება და მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტები;
4. პსდ მიერ მაკონტროლებელ ორგანოებთან გაგზავნილი კორესპონდენცია;
5. პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა https://evet.emis.ge
6. განათლებს მართვის საინფორმაციო სისტემის მონიტორინგის ანგარიში 17.05.2024
7. პსდ-ს მიერ წარმოებული დოკუმენტების და კორესპონდენციის (შემოსული, გასული), ოქმების, ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალები
8. მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის (დიპლომის) გაცემის რეგისტრაციის ჟურნალი
9. ბრძანება №565 შპს "თეგეტა აკადემიის" პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგებისა და შეფასების წესის ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ“ (02/07/2024)
10. ბრძანება №0255 „ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-flow-ს დანერგვასთან დაკავშირებით შპს „თეგეტა აკადემიის“ ახალი საქმისწარმოების წესის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის გამოყოფის შესახებ (12.10.2020)
11. პსდ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის ვიზუალური დათვალიერება

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის შიდა სტანდარტები, რომელიც გაწერილია შიდა პროცედურაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

"საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესში" (ბრძანება №568, 02.07.2024). დოკუმენტით განსაზღვრულია კომუნიკაციის შიდა სტანდარტები, რომელიც მოიცავს: კეთილგანწყობას, დროულობას, უწყვეტობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას და ა.შ. დოკუმენტის მე-6 მუხლით განსაზღვრულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხები:

- ვებ გვერდი http://tegetaacademy.edu.ge
- ელექტრონული ფოსტა info@tegetaacademy.ge
- „ფეისბუქ"- გვერდი https://www.facebook.com/tegetaacademy
- „ინსტაგრამ"- გვერდი https://www.instagram.com/tegeta_academy/?utm_medium=copy_link
- „ლინქდინის" გვერდი https://www.linkedin.com/company/tegeta academy
- „იუთუბ" გვერდი https://www.youtube.com/channel/UCMCJLbQ32NyOQ4Z7KTN0lpQ

პსდ-ს ვებ-გვერდზე განთავსებულია დაინტერესებული მხარეებისთვის ყველა აუცილებელი ინფორმაცია: მისია, ხედვა ღირებულებები, სტრუქტურა, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, წლიური ანგარიშები, მარეგულირებელი აქტები, აპლიკანტთა შერჩევის რეგულაციები და შესარჩევი ტესტური დავალებების ნიმუშები, დიპლომისა და მისი დანართის ნიმუშები პროფესიული და მომზადების/გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია როგორც სპეციალურ რუბრიკებში, ისე კატალოგში. საგანმანათლებლო პროგრამებისთვის მითითებულია მათი განხორციელების ადგილები. ვებ-გვერდი მოიცავს ინფორმაციას დაწესებულების ფილიალების (ფოთი, ბათუმი) შესახებ. ასევე გამოყოფილია ცალკე გვერდი/რუბრიკა ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსისთვის, განთავსებულია ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. საგანმანათლებლო რესურსზე წვდომა არაა შეზღუდული.

ვებ-გვერდზე განთავსებულია სიახლეების რუბრიკა, სადაც გონივრული ვადების დაცვით ხდება ინფორმაციის გავრცელება. ბოლო ინფორმაციები განთავსებული იყო 22.10.2024 (პსდ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დანიშვნის შესახებ) და 03.10.2024 (დიპლომების გადაცემისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ) თარიღებით.

პსდ-ს ვებ გვერდი წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმას. განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, მისამართი), შესაძლებელია ტექსტური შეტყობინების/წერილის გაგზავნა.

ვებ და სოციალური ქსელების გვერდების მართვაზე პასუხისმგებელია მარკეტინგის მენეჯერი, რომელიც კომპეტენტურ სამსახურს უთანხმებს გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სიზუსტეს. პსდ ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდებზე სიახლეების/ანონსების/ფოტო და ვიდეო მასალების განთავსებისას იცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონს.

თეგეტა მოტორსსა და თეგეტა აკადემიას შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების (№0198, 30.01. 2019 წ.) დანართის 1.3. თანახმად პსდ-ს შესაძლებლობა აქვს მიიღოს სრული მარკეტინგული და PR მომსახურება, მათ შორისაა კორპორატიული ვებ გვერდისა და სოციალური მედიის მართვა, პრესასთან ურთიერთობა, მედია მონიტორინგი და სხვა. მომსახურებას უზრუნველყოფს თეგეტა ჰოლდინგის მარკეტინგის დეპარტამენტი, ხოლო უშუალოდ პსდ-ს პერსონალიდან, საზოგადებასთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელია ქ. თბილისში კარიერის მართვის მენეჯერი, ხოლო რეგიონში (ფოთი, ბათუმი) რეგიონული მენეჯერი. ჰოლდინგის მარკეტინგის მენეჯერი,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპეტენტურ სამსახურს/პასუხისმგებელ პირს უთანხმებს გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის სიზუსტეს. პსდ ვებგვერდსა და სოციალური ქსელის გვერდებზე სიახლეების/ანონსების/ფოტო და ვიდეო მასალების განთავსებისას იცავს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს.

წარმოდგენილი დოკუმენტების, ვებ და სოციალური გვერდების დათვალიერების საფუძველზე დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2. „დაწესებულებას, რომლის მისიაში განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას“ - აღნიშნული ინდიკატორი არ ვრცელდება პსდ-ს საქმიანობაზე, რადგან არ ახორციელებს უცხოენოვან პროგრამებს, თუმცა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-თან. თანამშრომლობს ასევე დარგში უცხოურ სხვადასხვა ლიდერ კომპანიასთან. აქედან გამომდინარე, პსდ-ს ადმინისტრაციას მიზანშეწონილად მიაჩნია ვებ გვერდის უცხოენოვანი თარგმანი, შესაბამისად ვებგვერდს აქვს ავტომატურად თარგმნის ფუნქცია ინგლისურ და რუსულ ენებზე, რაც უზრუნველყოფს ამ ენებზე დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას.

ფაქტობრივი გარემოებები არ ეწინააღმდეგება ავტორიზაციის სტანდარტებს, შესაბამისად ინდიკატორი დასტურდება - პსდ-ს აქვს უცხოენოვანი (ინგლისურ და რუსულ ენებზე) ვებ-გვერდი.

3. დაწესებულების შიდა რეგულაციის მოთხოვნების თანახმად (საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი), ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება საზოგადოებას, გადის შემუშავება-შეთანხმების ეტაპებს. კორპორატიული ვებ გვერდისა და სოციალური მედიაში ინფორმაციის გამოქვეყნებამდე საკითხზე/პროცესზე პასუხისმგებელი პირები ვალდებულები არიან გასაჯაროებამდე შეამოწმონ და საჭიროებისას შეასწორონ ინფორმაცია. გარდა ამისა, ვებ და სოციალური გვერდების შინაარსის მონიტორინგს, დადგენილი პერიოდულობით აკონტროლებს პსდ-ს ხარისხის მენეჯერი. პროცესის/ინფორმაციის კონტროლის პსდ-ში დადგენილ მექანიზმებს მინიმუმამდე დაჰყავს არასწორი ინფორმაციის გავრცელება, დაწესებულებისა და მისი საქმიანობის შესახებ. ექსპერტების მიერ, პსდ-ს ვებ და სოციალური ქსელების შემოწმებით, დასტურდება განთავსებული ინფორმაციის სანდოობა და უტყუარობა.

წარმოდგენილი დოკუმენტების და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე და მოიცავს დაწესებულების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციას - მისიას, ხედვას, ღირებულებებს. შეტანილია ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და ყველა საჭირო ინფორმაცია (პროგრამის დონე, კრედიტები, კვალიფიკაცია, მისაღწევი სწავლის შედეგები და შეფასების მეთოდები, სწავლის ხანგრძლივობა, დასაქმების შესაძლებლობები), მ.შ. პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების შესახებ. კატალოგი მოიცავს არაფორმალური განათლებისა აღიარების შესაძლებლობებისა და დაწესებულების ბათუმისა და ფოთის ფილიალების შესახებ ინფორმაციას. კატალოგი ილუსტრირებულია სასწავლო-საგანმანათლებლო სივრცისა და ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალით. საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას აკადემიის საგანმანათლებლო აქტივობების და მიღწევების შესახებ.

წარმოდგენილი დოკუმენტების და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;

5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, პსდ-ს ვებ-გვერდზე წარმოდგენილია 2023 და 2024 წლების კატალოგები (https://tegetaacademy.edu.ge/ka/documents). დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამების განახლებას ახორციელებს პროგრამების ცვლილებების ან საქმიანობის არსებითი ცვლილებებიდან გამომდინარე. 2024 წლის კატალოგში ასახულია პსდ-ს მისიასა და ხედვაში განხორციელებული ცვლილებები, ასევე დაწესებულებს ახალი პროფესიული მომზადების/გადამზადების პროექტები.
წარმოდგენილი დოკუმენტების და ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;

6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად - ამ მიზნით შემუშავებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი. როგორც აღინიშნა დოკუმენტით განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხები/სოციალური ქსელები (Facebook; Iinkd in, *Instagram*). ყველა საკომუნიკაციო არხის დანიშნულებაა აკადემიის პროექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და პოპულარიზაცია, ასევე გამოკითხვისთვის პლატფორმის შექმნა. ამავე დოკუმენტით განსაზღვრულია საკომუნიკაციო არხებიდან შემოსული ინფორმაციაზე გონივრულ ვადებში უკუკავშირი პსდ-ს პერსონალის მხრიდან და ამ ინფორმაციის საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოყენება (პ. 3.5 და 3.6).

პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აქტიურად იყენებენ სოციალური ქსელის გვერდიდან ან კომუნიკაციის სხვა არხებიდან შემოსულ ინფორმაციას. პსდ-ს ასევე იყენებს შიდა სხვადასხვა შინაარსის კითხვარს, რომელზე დაყრდნობითაც იღებს ინფორმაციას დაინტერესებული მხარეების კმაყოფილების შესახებ ინფორმაციას ან ინიციატივებს საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტის, პერსონალთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი (01.07.2024);
2. პსდ-ს სოციალური ქსელები
3. პსდ-ს ვებ გვერდი https://tegetaacademy.edu.ge/ka
4. პსდ-ს მიერ დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგების ანალიზი/ანგარიშები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ)
6. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი გეგმების (სტრატეგიული, სამოქმედო), წლიური ანგარიშებისა და ფინანსური ბიუჯეტის ანალიზის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმებისთვის სრულად არაა გაწერილი ფინანსური რესურსი, შესაძლებელია დადასტურება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმების შესრულება. ამის დასტურია ასევე ყოველწლიური ანგარიშები, შესრულებული აქტივობების რაოდენობა და წარმოდგენილი 2019-2024 წლების ფინანსური შემოსავლების პოზიტიური დინამიკა. 2024 წელს წინა წელთან შედარებით შემოსავლების ფაქტობრივად 50%-იანი ზრდაა. რაც დაწესებულების მენეჯმენტის განმარტებით განპირობებულია საგრანტო პროექტითა და მის ფარგლებში შემუშავებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების შემუშავებითა და მათი წარმატებით განხორციელებით, როგორც თბილისში, ისე რეგიონში - ფოთსა და ბათუმში.

   წარმოდგენილი დოკუმენტის, პერსონალთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;

2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით -თეგეტა მოტორსსა და თეგეტა აკადემიას შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების (№0198, 30.01. 2019 წ.) დანართების 1.5 და 1.6. თანახმად, პსდ-ს შესაძლებლობა აქვს მიიღოს სრული ფინანსური მიმართულებით საკონსულტაციო და აუდიტის მომსახურება. მომსახურება ასევე მოიცავს საოპერაციო რისკების მართვას. პსდ-ს შემუშავებული აქვს ასევე ანტიკრიზისული გეგმა. დოკუმენტის შემუშავება ერთი მხრივ განპირობებული იყო პანდემიით (COVID -19) გამოწვეული როგორც გლობალური, ისე ლოკალური გარემოებებით, თუმცა მისი მიზანია თეგეტა აკადემიის მდგრადობის ხელშეწყობა ცვალებად გარემო პირობებში და წარმოადგენს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სავარაუდო კრიზისის/რისკ-ფაქტორების ანალიზს (დოკუმენტით იდენტიფიცირებულია: 1.ფინანსური/ეკონომიკური კრიზისი 2. პიროვნული/თანამშრომლების კრიზისი 3. ორგანიზაციული კრიზისი 4. ტექნოლოგიური კრიზისი 5. ბუნებრივი მოვლენით გამოწვეული კრიზისი). დაწესებულების მიერ შემუშავებულია ასევე ძირითადი სტრატეგიები, რაც ამ ტიპის კრიზისის დადგომის შემთხვევაში იქნება განხილული აკადემიასა და თეგეტა ჰოლდინგის მიერ.

საოპერაციო ხარჯების ფინანსურ უზრუნველყოფას, პსდ-ს მენეჯმენტის განმარტებით, ასევე განაპიროებებს უკვე დივერსიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა (3 პროფესიული პროგრამა (მ.შ. 1 დულაური), 20 პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა), რომლებზეც მოთხოვნა მზარდია, მ.შ. პროფესიული პროგრამები და 5 მომზადების/გადამზადების პროგრამა ხორციელდება სახელმწიფო დაფინანსებით.

ამასთან, თეგეტა ჰოლდინგში გაერთიანებულია 20 შვილობილი კომპანია, რომელთა პერსონალის სისტემატიური გადამზადება ხდება აკადემიის მიერ. პსდ-ს ჰყავს ასევე დამკვეთი გარე კომპანიებიც. როგორც თეგეტასგან, ისე პარტნიორი კომპანიებისგან დაკვეთები ტრენინგებსა და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და მომზადება-გადამზადებაზე სტაბილურია, როგორც თბილისში, ისე რეგიონებში არსებულ ფილიალებში. ამას მოწმობს პსდ-ს ვებ-გვერდსა და სოციალურ ქსელებში განთავსებული ინფორმაციაც.

წარმოდგენილი დოკუმენტის, პერსონალთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3. დაწესებულებასა და თეგეტა მოტორსს შორის გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების (№0198, 30.01. 2019 წ.) დანართების 1.5 და 1.6. თანახმად, პსდ-ს შესაძლებლობა აქვს მიიღოს სრული ფინანსური მიმართულებით საკონსულტაციო და აუდიტის მომსახურება, რაც გულისხმობს ჰოლდინგში არსებული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებას. ხელშეკრულება მოიცავს ასევე როგორც ფინანსური და საგადასახადო დოკუმენტების ისე ფინანსური რესურსების აუდიტს და რეკომენდაცია-კონსულტაციებს. ხელშეკრულებით განსაზღვრულია ფინანსური ანალიზისა და ანგარიშგების სისტემის ჩამოყალიბება. რაც მენეჯმენტის განმარტებით ხორციელდება ყოველი პროექტის დასრულებისას, ყოველთვიურად და ყოველ 6 თვეში ერთხელ. ასევე აწარმოებს დაფინანსების დინამიკის ანალიზს, რის საფუძველზეც ახდენს მომდევნო წლების ფინანსური გეგმების კორექტირებასა და სამოქმედო გეგმების ფორმირებას. ანგარიშის შედეგებს განიხილავს თეგეტა ჰოლდინგის ბორდი.
დაწესებულების სამოქმედო გეგმების ანგარიშები განთავსებულია პსდ-ს ვებ-გვერდზე. პსდ-ს მიერ ასევე ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე ანგარიშების განთავსებას, რაზე კონტროლიც ასევე გათვალისწინებულია თეგეტა ჰოლდინგის ფინანსური და აუდიტის დეპარტამენტების მიერ, ჰოლდინგთან გაფორმებული გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში.

წარმოდგენილი დოკუმენტის, პერსონალთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, რისთვისაც ახორციელებს ყოველწლიურ ანგარიშგებას, რის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება როგორც დამფუძნებლებს, ისე პერსონალს. პსდ-ს მენეჯმენტი ასევე აწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტების (საპროგნოზო, განხორციელების) ანალიზს, რომლის საფუძველზეც, ბიუჯეტების დაგეგმვისას, საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის კორექტირებას.

სამოქმედო გეგმების შესრულების შესახებ ანგარიშები, დაინტერესებული მხარეებისთვის, გამოქვეყნებულია ვებგვერდზე. პსდ უზრუნველყოფს ფინანსური მაჩვენებლების სტატისტიკას და ფინანსური მონაცემების/დაფინანსების დინამიკის ანალიზს წლების მიხედვით.

ექსპერტთა მიერ განხილული იყო, პსდ მიმდინარე და წინა წლების ხარჯებისა და შემოსავლების დინამიკა, წყაროები როგორც წლიური, ისე საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტებისა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ამ ეტაპისთვის, მცირე კვოტიდან გამომდინარე, ფინანსურად მომგებიანი არაა, თუმცა, დაწესებულება ტრენინგებიდან შემოსული ფინანსური რესურსით ახდენს ამ დეფიციტის შევსებას. არსებული ფაქტობრივი გარემოებებით დადგინდა, რომ დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტის, პერსონალთან გასაუბრებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში (ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ).
2. პსდ-ს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები
3. პსდ-ს სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები
4. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ბიუჯეტები
5. პსდ ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზის დოკუმენტები
6. პსდ-ს 2024 წლის ბიუჯეტები
7. პსდ-ს ანტიკრიზისული გეგმა
8. პსდ-ს ვებ გვერდი

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის ბრძ. № 025, 05.09.2018; ცვლილების შესახებ ბრძ. № 479[4]; 02.09.2023
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	დუალური
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას - პსდ-მ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, განხორციელების უფლება მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №4 გადაწყვეტილების საფუძველზე. დაწესებულება, ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს დუალური მიდგომით შპს „თეგეტა მოტორს“-თან პარტნიორობით, მისამართზე ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი №129.

   პსდ-ს მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების ცხრილი, ასევე დაწესებულების მიერ განხორციელებული „ჰიბრიდული ან/და ელექტრო მობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებათა კვლევა“ და პსდ-ს მიერ სატრანსპორტო სფეროს შრომის ბაზრისა და არსებული დამსაქმებლების მოთხოვნების კვლევა. კვლევებით იკვეთება აღნიშნული მიმართულებით სპეციალისტების საჭიროება. ამას ადასტურებს ასევე საქსტატის მონაცემები, პარტნიორი ორგანიზაციის მოთხოვნა შესაბამის კვალიფიციურ კადრზე და პროგრამის განხორციელების ფარგლებში შიდა სტატისტიკური მონაცემები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ *შესაბამისობაშია პსდ-ს მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან,* რომელთა ძირითადი ორიენტირებია საავტომობილო მიმართულებით კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება. სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მიზანია (მიზანი 2) საავტომობილო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება და განვითარება. პსდ მუდმივად ზრუნავს დასახული მიზნების მიღწევისთვის, შესაბამისად პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებით, დაწესებულება ინარჩუნებს და უზრუნველყოფს პროგრამათა სპექტრს, საავტომობილო მიმართულებით.

დაწესებულების მიერ ჩატარებულ ბაზრის კვლევით დასტურდება, რომ **პსდ-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.** კვლევაში მკაფიოდაა გამოკვეთილი საჭიროება ელექტრო და ელექტრონული სისტემების შემკეთებელზე. კვლევებით მოთხოვნა ფიქსირდება, როგორც დამსაქმებელთა, ისე სწავლის მსურველთა მხრიდან, რასაც ასევე ადასტურებს საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო ჯამში რეგისტრირებულ აპლიკანტთა რაოდენობა;

დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება - პსდ-ს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დამსაქმებლები უპირატესობას ანიჭებენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს, რადგან დამსაქმებლის ნდობა მაღალია პროფესიული სასწავლებლის მიმართ. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია პარტნიორი ორგანიზაციის „თეგეტა მოტორსის“ მუდმივი მოთხოვნა პროფესიული კადრის მ.შ. ელექტრული და ელექტრონული სისტემების შეკეთება“. გამომდინარე იქედან რომ, გაფორმებული თანამშრომლობის ხელშეკრულების საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამის დამატებას, ნებისმიერი სახის ცვლილებას, პროფესიულ სტუდენტთა მიღებას, პრაქტიკას და კურსდამთავრებულთა დასაქმებას, პსდ და შპს თეგეტა მოტორსი ერთობლივად ახორციელებენ - დაწესებულების გადაწყვეტილება ეფუძნება დამსაქმებლის მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ მორგებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და დამსაქმებელთა საჭიროებებზე. პროგრამა კურსდამთავრებულს აძლევს იმ უნარებს რაც ხელს უწყობს შრომის ბაზარზე წარმატების მიღწევაში.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის შრომის ბაზრის ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით - დასაქმების პლატფორმის HR.ge-ის ანალიზით, ავტოსატრანსპორტო საშუალებები, ელექტრო და ელექტრონული სისტემის შემკეთებელი, მექანიკოსებისა და შემკეთებლების მიმართულებით ვაკანსიების განთავსების მაჩვენებელი ბაზრის წილის- 68%-ია (მიმართულების შესაბამისად). აქვე კვლევის ანალიზში ნახსენებია, რომ აღნიშნულ სფეროში დამსაქმებლები ძირითადად პირადი კონტაქტებით იძიებენ თანამშრომლებს, რაც ქმნის იმის ალბათობას, რომ მაჩვენებელი გაცილებით მაღალია (იხ, ასევე ზემოთ პსდ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა).

საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიც, თუმცა შპს „თეგეტა აკადემია“ იყო პირველი ვინც ავტოინდუსტრიის მიმართულებით, პირველმა განახორციელა პროგრამა დუალური მიდგომით. პროგრამა ხორციელდება პარტნიორ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპანიასთან ერთად, რომელიც ერთი წლის მანძილზე რეალურ სამუშაო გარემოში სრულიად უსასყიდლოდ, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს სწავლებას. პარალელურად კომპანია პროფესიულ სტუდენტებს უხდის ანაზღაურებას (ზრდის პერსპექტივით). პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს აქვს შესაძლებლობა დასაქმდეს კომპანიაში, რაზეც პასუხისმგებლობას იღებს პარტნიორი ორგანიზაცია. პსდ-ს კვლევის შედეგებმა აჩვენა, ასევე რომ თეგეტა აკადემიის კურსდამთავრებულებზე მოთოვნა ბაზარზე მაღალია.

პსდ ასევე სასწავლო პროცესში იყენებს ინოვაციურ ინსტრუმენტებს/მიდგომებს. დაწესებულება არის ოფიციალური წარმომადგენელი სასწავლო-სიმულაციური პლატფორმის „ელექტუდი“, რომლის მოდულების თარგმანიც უზრუნველყო დაწესებულებამ და ამ ეტაპისთვის, მისი ანალოგი არც ერთ კოლეჯში არაა. პროგრამის პროფესიული სტუდენტისთვის კომფორტია, ასევე ერთსა და იმავე მისამართზე, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ სივრცეში შეიძინოს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები.

საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელება უზრუნველყოფილია სათანადო რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე პერსონალით - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 9 დარგობრივი მოდულების, რომელთა ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების.

ავტორიზაციის პერიოდში, საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, მიღებისა და კურსდამთავრებულთა საერთო მაჩვენებლები ასეთია: პროგრამაზე მიღება გამოცხადდა ორჯერ, პირველი ნაკადის (2019 წ.) ფარგლებში პროგრამა წამატებით დაასრულა 11-მა კურსდამთავრებულმა, აქედან 9 დასაქმდა თეგეტა ჰოლდინგში, 2020 წელს მიღება არ განხორციელებულა, პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე (პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი) დაწესებულებას არ ჰქონდა თავისუფალი ადგილები. 2022 წელს მიღება განხორციელდა განახლებული წესით, vet.emis.ge-ზე რეგისტრაციის გზით. მეორე მიღების ფარგლებში ჯამში დარეგისტრირდა 116 აპლიკანტი, საიდანაც 88 აპლიკანტს პირველ ადგილზე ჰქონდა მონიშნული თეგეტა აკადემია, შერჩევის შედეგად ჩაირიცხა 15 სტუდენტი. სწავლა დაასრულა 13 სტუდენტმა. ბოლო კვლევის შედეგად, საკუთარი პროფესიით დასაქმებულია 11 კურსდამთავრებული. აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს სპეციალისტების მოთხოვნას შრომის ბაზარზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება დასაბუთებას, შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - საგანმანათლებლო პროგრამაზე „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც იდენტურია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პირობასთან.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, ხორციელდება დუალური მიდგომით და შესაბამისად სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემოში. გამომდინარე აქედან, დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, აპლიკანტთა შერჩევისთვის განსაზღვრულია ორ ეტაპიანი შეფასების სისტემა: ტესტირება და გასაუბრება. **შიდა ტესტირება** მოიცავს უცხო ენასა (ინგლისური ან რუსული) და უნარებში (ვერბალური და მათემატიკური ნაწილი) აპლიკანტთა შეფასებას. ტესტირების თითოეული კომპონენტი თავის მხრივ მოიცავს 20 საკითხს. პსდ-ს მიერ განსაზღვრულია ტესტირების დრო - 1 საათი და 30 წუთი, ასევე შეფასების მაქსიმალური ქულა - 60 და მინიმალური ზღვარი - 15 ქულა. პსდ ტესტირებისთვის იყენებს სხვადასხვა ვარიანტებს (პსდ-ს მონაცემებით, 2022 წლის მიღებაზე რეგისტრირებული იყო 116 აპლიკანტი, ტესტირებაზე გამოცხადდა 62).

შერჩევის მეორე ეტაპი - მოტივაციური გასაუბრება - რომელიც თითოეულ აპლიკანტთან ტარდება ინდივიდუალურად და ეთმობა 20 წუთი. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე შერჩევისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - ჯამური შეფასების 25%. შერჩევის პროცედურა ხორციელდება პსდ-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებელი, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენელი.
ტესტირების და გასაუბრების ქულები კომისიის წევრების მიერ ისახება პროფესიული განათლების ელექტრონულ სისტემაში (vet.emis.ge). საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული ჩარიცხვის წესის თანახმად, რეიტინგული სიების საფუძველზე განხორციელდა აპლიკანტებისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით** - რისთვისაც შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი (ბრძანება #557, 25.06.2024). კვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს სასწავლო გარემოს, მათ ტიპებს, ფართის მაჩვენებლებს, სამუშაო ადგილების რაოდენობასა და საჭირო კომპეტენციის მქონე ადამიანურ რესურსს.

პსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელება წარმოებს დუალური მიდგომით, რაც თავისთავად მოითხოვს პსდ-ს საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას, ასევე პარტნიორი ორგანიზაციის მზაობას გამოყოს შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორები, შენობა-ნაგებობები და აღჭურვილობა პროფესიული სტუდენტების კვოტის ფარგლებში. პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართული პარტნიორი ორგანიზაცია წარმოდგენილია პროგრამაზე მისაღები სტუდენტების ზღვრულ ოდენობაზე გაცილებით მეტი სამუშაო ადგილით და შესაბამისი აღჭურვილობით. პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილია 10 ინსტრუქტორი.

აკადემიის ბაზაზე წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლება, რისთვისაც დაწესებულების საკუთრებაში არსებობს ზღვრული ოდენობის შესაბამისი A გარემო (საწავლო აუდიტორია/training room – ფართი 40 კვ.მ.), B გარემო (computer lab ფართი 26. 6 კვ.მ) და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე-technical lab, ფართი 51.23 კვ.მ), რომლებიც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. თითოეული გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (15 სამუშაო ადგილი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - პსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განსახორციელებლად აუცილებელი რესურსების ნუსხა, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის აკადემიის საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის თანამედროვე ლიტერატურით, მ.შ. სიმულაციური სასწავლო პლატფორმით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე მატერიალური რესურსის, მ.შ. სასწავლო რესურსის შემოწმების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან -საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება'' წარმოდგენილია არჩევითი მოდულების გარეშე.

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - შპს ,,თეგეტა აკადემია“-ს დირექტორის 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების , დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ 2022 წლის 14 სექტემბრის № 394 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება განხორციელებულია ასევე პსდ-ს დირექტორის 2023 წლის 18 მაისის № 446 ბრძანების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროგრამის სახელწოდება ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ანალოგიურია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი კონცენტრაციის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“, რაც ძალზე ზოგადი შინაარსისა. სახელწოდებით არ ხდება ავტომობილების ელექტრონული სისტემების იდენტიფიცირება. დაწესებულებამ, აღნიშნული სახელწოდებით, პროგრამის ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს. მას შემდეგ სახელწოდება არ შეცვლილა. შპს ,,თეგეტა აკადემიის“ და მისი დამფუძნებელი კომპანიის შპს ,,თეგეტა მოტორსი“-ს საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე, ლოგიკურად ხდება ბმა, რომ აღნიშნული პროგრამა საავტომობილო სფეროს ეხება.

<u>ვინაიდან პროგრამა სწავლის შედეგების შინაარსით ეხება კონკრეტულად მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთებას, ხოლო პროგრამის ამჟამინდელი დასახელება ზოგადია, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ კორექტირდეს და ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ან ,,ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.</u>

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

განმავითარებელი რეკომენდაცია - კორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ კორექტირდეს და ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ან ,,ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი“ (07119-პ) საფუძველზე და მის ერთ-ერთ კონცენტრაციას წარმოადგენს. პსდ-ს პროგრამით განსაზღვრულია:
   - პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები.
   - საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პროგრამა ხორციელდება დუალურად, შესაბამისად, სასწავლო გეგმასა და მოდულებში მითითებულია სწავლის შედეგების განაწილება, რომელიც წარმოადგენს პროფესიული მოდულების საერთო რაოდენობის 50%, ასევე, წარმოდგენილია დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ (ბრძანება № 025; 05.09.2018. პროგრამაში, ბოლო ცვლილების დოკუმენტი - ბრძანება № 479[4]; 02.09.2023);
2. პსდ-ს 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“
3. პსდ-ს კვლევა ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებათა შესახებ
4. პსდ-ს კვლევა სატრანსპორტო სფეროს შრომის ბაზრისა და არსებული დამსაქმებლების მოთხოვნების შესახებ
5. პსდ-ს მიერ შევსებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რეავტორიზაციის/ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა“ 2024 წ.
6. პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026
7. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ 01/07/2024,
8. შპს „თეგეტა აკადემიის“ სტრუქტურული ერთეულების დებულება;
9. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შპს ,,თეგეტა აკადემია“-ს გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. დაწესებულების საკუთრებაშია სრულფასოვნად აღჭურვილი A გარემო (სასწავლო აუდიტორია/training room – ფართი 40 კვ.მ.), B გარემო (computer lab ფართი 26. 6 კვ.მ) და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე-technical lab, ფართი 51.23 კვ.მ). მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ხორციელდება დუალური მიდგომით და არ საჭიროებს C გარემოს. პსდ მის არსებობას მაინც უდიდესი მნიშვნელობას ანიჭებს პროფესიული სტუდენტისთვის უშუალოდ პრაქტიკული საქმიანობის გაცნობისა და მასთან შეგუებისთვის საწარმოში სწავლების/მუშაობის დაწყებამდე. რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განსახორციელებლად საჭირო რესურსს, დაწესებულებას ამ მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ (01/07/2024 წ), რომელიც ითვალისწინებს სასწავლო საწარმოს მიერ განსახორციელებელი სწავლის შედეგების მიღწევას რეალურ სამუშაო გარემოში. ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსის არსებობა და შესაბამისობა მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. შედეგად დგინდება, რომ პსდ-ს მიერ მოთხოვნილი 15 პროფესიული სტუდენტისთვის შპს ,,თეგეტა აკადემია“-სა და მისი პარტნიორი ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოცემულ პროგრამაზე დუალური მიდგომით სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და მაღალი ხარისხით განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ადამიანური რესურსით უზრუნველყოფილია განხორციელების მიდგომის შესაბამისად, კერძოდ პროგრამის ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების სწავლება მიმდინარეობს აკადემიის ბაზაზე შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლების მიერ, ხოლო კონცენტრაციის მოდულების სწავლება ხორციელდება შპს ,,თეგეტა მოტორსის“- ს ბაზაზე შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორების მიერ. პროგრამის ზოგადი, საერთო პროფესიული და პროფესიული მოდულების განხორციელებაში ჩართულია 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დარგობრივი 9. რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის მოდულებს, მათ განსახორციელებლად პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილია 10 ინსტრუქტორი, რაც სრულად საკმარისია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროფესიული მოდულის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები" სწავლებას წარმართავს ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს მოდულის განმახორციელებელი მეორე პირის შერჩევა.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სასწავლო გეგმა, ცხრილები, პერსონალის დატვირთვის ფურცლები და მათი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. პირადი საქმეები დაკომპლექტებულია სრულად და მოიცავს კანონმდებლობით და პსდ-ს მიერ საქმისწარმოების წესით დადგენილ ყველა დოკუმენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია აკადემიამ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებელი პირი საერთო პროფესიული მოდულისთვის ,,ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები".

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ამასთან დაკავშირებით პსდ-ში ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია აკადემიაში მოქმედ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და პერსონალის მართვის პროცედურებთან (16.10.2024 ბრძანება №606). შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას, რასაც ადასტურებს ერთი მხრივ პირად საქმეებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია: დიპლომები და სერტიფიკატები, დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები; ხოლო მეორე მხრივ თავად განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განხორციელებისათვის საჭირო ინსტრუქტორების კვალიფიკაციას, პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორები არიან მოქმედი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შემკეთებლები, რომელთაც აქვთ სწავლების გამოცდილება და მოტივაცია დუალური მიდგომით განახორციელონ პრაქტიკული კომპონენტი. ინსტრუქტორებს გავლილი აქვთ ინსტრუქტორების მომზადების ტრენინგი, რომელიც ორგანიზებული იყო საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ.

პსდ და პარტნიორი ორგანიზაცია მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე (იხ. ასევე 4.2.1 (3) ინდიკატორის აღწერა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება პირადი საქმის მასალებით, დარგში მუშაობის გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტით, კერძოდ შპს ,,თეგეტა აკადემია“-ს დებულებით. პროგრამის ხელმძღვანელთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, მონაწილეობას იღებდა პროგრამის განხორციელებაში, ამ ეტაპზე აქტიურადაა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 05 ივნისის №553 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“-თ, განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, ელექტრონული სახელმძღვანელოები განთავსებულია ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ვიზიტის პერიოდში შემოწმდა პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ადგილზე არსებობა, დადასტურდა. კონცენტრაციის მოდულების განსახორციელებლად ბიბლიოთეკაში, ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილია ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები ინგლისურ და რუსულ ენებზე. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მოდულებში ასევე დატოვებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული რესურსი, რაც არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსს. დამკვიდრებული პრაქტიკით, მოდულებში არ მიეთითება ძირითადი და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა/რესურსი, შესაბამისად, დარგობრივი ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაცია, პსდ-ს მიერ გადაიხედოს მითითებული ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს პსდ-ს საკუთრებაში არსებულ საგანმანათლებლო რესურსთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული იყოს პსდ-ს საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - აღნიშნული საკითხის რეგულირების მიზნით, პსდ-ს შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი“ (14.06.2023 წ. ბრძანება N428[1]). დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების გარემოებები, ესენია: გარე ან შიდა მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება-აღდგენის, სსმ/შშმ პირის სტატუსის არსებობისა და ისგ საჭიროების აუცილებლობის შემთხვევები.

   პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, რეგულაციის გადამოწმებით ჩანს საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

   წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის დოკუმენტს თან ერთვის პროგრამის ბიუჯეტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება'' ფინანსურად მდგრადია. პროგრამის ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლების წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი. პსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტით და პერსონალის განმარტებით, პსდ-ს პროგრამები ამ ეტაპისთვის ფინანსურად მომგებიანი არაა, თუმცა კომპანიისა და დაწესებულებისთვის პროგრამების განხორციელება პრიორიტეტს წარმოადგენს, წარმოშობილ ფინანსურ დეფიციტს, პსდ-ს ავსებს და ტრენინგ-კურსების განხორციელებით მიღებული რესურსით. ბიუჯეტში მითითებული პსდ-ს დამატებითი ფინანსური რესურსი სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს (იხ. ასევე 5.3 ქვესტანდარტის აღწერა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ (ბრძანება № 025; 05.09.2018. პროგრამაში, ბოლო ცვლილების დოკუმენტი - ბრძანება № 479[4]; 02.09.2023);
2. პსდ-ს 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“
3. პსდ-ს მიერ შევსებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რეავტორიზაციის/ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა“ 2024 წ;
4. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ (01.07.2024);
5. პსდ-ს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობები (16.10.2024 წ. ბრძანება №606);
6. ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (05.06.2024 წ. ბრძანება №553);
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
8. შპს ,,თეგეტა მოტორსის“ აღმასრულებელი დირექტორის მინდობილი პირის ბრძანებები ინსტრუქტორების გამოყოფის შესახებ (№01.07.2024; №20, 01.07.2024 წ.);
9. ,,შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესი“ (02.07.2024 წ. ბრძანება №566)
10. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ში პროგრამის შეფასება ციკლური პროცესია, რაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით ხორციელდება. პროგრამის განვითარებისთვის შეფასებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ დამსაქმებლებმა, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა, პროფესიულმა მასწავლებლებმა). ინფორმაციის შეგროვება ხდება სპეციალური კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ცვლილება პროგრამასა ან/და მოდულებში. მოქმედი პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტებისა და მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების გამოკითხვების საშუალებით, გაკეთდა პროგრამის განხორციელების შუალედური ანალიზი, თუმცა პროგრამაში დამატებითი ცვლილების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

პროგრამის განვითარებისა და უცხოური პრაქტიკის გაზიარების მიზნით, პსდ-ს პერსონალმა განახორციელა სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების წამყვან კოლეჯში, რომელიც საავტომობილო მიმართულების პროგრამებს ახორციელებს. უცხოური გამოცდილება გაზიარებული იქნა პსდ-ს სხვა თანამშრომლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. კოლეჯის დამფუძნებელი და პარტნიორი ორგანიზაცია - შპს თეგეტა მოტორსი“, როგორც ქვეყანაში შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებელი, ასევე დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და სხვა სასწავლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისა და განვითარების პროცესებში. რაც უზრუნველყოფს საგანმანთლებლო პროგრამისა და მიწოდებული მასალების აქტუალობას.

ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო პსდ-ს კონტინგენტის 90%-მა. გამოკითხულთა 85% კმაყოფილია კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებით და მომსახურებით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა, ასევე სამოქმედო გეგმა და დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოები. ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც.

პსდ-ს დაგეგმილი აქვს პროგრამის გადახედვა, პსდ-ს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და უკუკავშირის, ასევე დარგის ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით ცვლილებების განხორციელება. რასაც ასევე განაპირობებს საგანმანათლებლო სტანდარტებში მიმდინარე განახლების პროცესი, სადაც ასევე არიან ჩართულები დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელი პირები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან – პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პსდ-ს არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე. პროგრამების განხორციელების ხარისხთან და განვითარებასთან დაკავშირებული პროცესებიც ხორციელდება და იგეგმება აღნიშნული ციკლის შესაბამისად. დაწესებულებას შიდა პროცედურების დაცვით განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაში რიგი ცვლილებები (მაგ. ცვლილებები ეხებოდა, სასწავლო გეგმას, მე-2 დანართს). პსდ-ს წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ მართულ ჩარჩო დოკუმენტის განახლების პროცესში ჩართულია დაწესებულების პერსონალი, შესაბამისად მათი მხრიდან უზრუნველყოფილია დაგროვილი გამოცდილების გაზიარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო ჯგუფთან, ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების/განახლების შემდეგ, პსდ გეგმავს ასევე საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის გადახედვა/განახლებასა და გაუმჯობესებას დარგში განვითარებული სიახლეების გათვალიწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პსდ-ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა (15.05.2024 ბრძანება №547);
2. პსდ-ს დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დამტკიცების შესახებ დირექტორის (ბრძანება № 025; 05.09.2018);
3. პსდ-ს დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელებული ცვლილების შესახებ (ბრძანება № 479[4]; 02.09.2023; ბრძანება № 446, 18.05.2023).
4. ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებების კვლევა
5. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანკეტები და შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
6. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

„ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება (სასწავლო ცხრილები იქმნება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად). გეგმის თანახმად პროგრამაზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა - 77 სასწავლო კვირა. გემაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულით გათვალისწინებული საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედგებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა და მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულის გადაბარების საჭიროების დადგომისას.

სასწავლო პროცესის სასწავლო გეგმასთან/მოდულებთან თავსებადობის დადგენის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იქნა კალენდარული გეგმა (მოდული „ტრანსმისიის კლასიფიკაცია“-711908). კალენდარული გეგმის თავფურცელი მოიცავს მოდულისა და პროგრამის შესახებ აუცილებელ რეკვიზიტებს, ინფორმაციას განმახორციელებელი პირის შესახებ. გეგმაში, პირდაპირ არის მოდულის სწავლის შედეგი/შესრულების ინდიკატორი გადმოტანილი მოდულის განხორციელების/სასწავლო ცხრილის შესაბამისად. მწირია კალენდარულ გეგმაში მითითებული სწავლების მეთოდები (განსაზღვრულია მხოლოდ ინტერაქციული ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა (მოდული თეორიულია, მოცულობა - 2 კრედიტი). კალენდარული გეგმით ვერ დგინდება რა თემატიკის/რა ტიპის დავალებები სრულდება მეცადინეობაზე, რაც ვერ იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს მითითებული საათების საკმარისობა კონკრეტული მეცადინეობისთვის. კალენდარულ გეგმაში მითითებულია საათები (მაგ. ს.შ. 1 – 10 საათი, ს.შ. 2- 3 საათი, ს.შ.5 -5 საათი), მაგრამ არაა განსაზღვრული რა ტიპის დამოუკიდებელი სამუშაოა კონკრეტული თემატიკისთვის, რაში გამოიყენება აღნიშნული საათები, რაც არ იძლევა სრულყოფილად შეფასების შესაძლებლობას, რამდენად რაციონალურად არის განაწილებული სწავლის ან დამოუკიდებელი სამუშაოსთვის საათები.

განმახორციელებელ პირთან გასაუბრებით, დადგინდა რომ სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი გამოიყენება, როგორიცაა შემთხვევის ანალიზი, დისკუსია, მოდულის სწავლებაში ჩართულია სიმულაციური პლატფორმის გამოყენებით პრაქტიკული დავალებების შესრულება, სხვადასხვა თვალსაჩინოებების, რგოლების, ნახაზების დემონსტრირება და ა.შ. რასაც ასევე ადასტურებენ კურსდამთავრებულებიც. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, პსდ-მ სასურველია შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო და დანერგოს სტანდარტული მოთხოვნები, რა უნდა გაითვალისწინოს პროფესიული განათლების მასწავლებელმა და რას უნდა მოიცავდეს დოკუმენტი, რაც ასევე ერთი მხრივ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო მეორე მხრივ, შეიქმნება დამატებითი ინსტრუმენტი, მასწავლებლის შეფასებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

განმავითარებელი რეკომენდაცია - სასურველია პსდ-მ შეიმუშაოს კალენდარული გეგმების შემუშავების სახელმძღვანელო, დანერგოს სტანდარტული მოთხოვნები, რა უნდა გაითვალისწინოს პროფესიული განათლების მასწავლებელმა და რას უნდა მოიცავდეს დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - კერძოდ, დაწესებულების პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის დაწყების წინ ხორციელდება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრა, სასწავლო განრიგის გაცნობა. სტუდენტთა ობიექტური საჭიროებებიდან გათვალისწინებით, ხდება ცვლილებების განხორციელება. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პსდ-ს ადმინისტრაცია ყოველთვის გამოხატავდა მზაობას და ითვალისწინებდა სტუდენტების საჭიროებებს. რაც შეეხება საწარმოს - სარგებლობენ კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით დადგენილ ფარგლებში არსებული უფლებებითა და შეღავათებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. პსდ-ს ბაზაზე წარმოდგენილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ტექნოლოგიები თანამედროვეა და სრულად უზრუნველყოფს შესასწავლი თემატიკის პროფესიული სტუდენტისათვის მიწოდების/აღქმის სიმარტივეს, გარდა ამისა სტუდენტებს აქვთ საშუალება ავტომობილის აღწერილობითი მოდულების სწავლებისას დეტალურად გაეცნონ თანამედროვე ავტომობილის სისტემებისა და კვანძების მოწყობილობას, მუშაობის პრინციპებსა და თავისებურებებს, რაც შესაძლებელს ხდის პრაქტიკული მოდულების დუალური მიდგომით შესწავლისას სტუდენტს გააჩნდეს საწყისი უნარ-ჩვევები. პრაქტიკული მოდულების განხორციელების პროცესში სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ავტომობილის ელექტრული და ელექტრონული სისტემების დიაგნოსტიკისა და შეკეთებისათვის აუცილებელ საინფორმაციო ბაზებთან, რასაც პარტნიორი ორგანიზაცია იყენებს, შესაბამისად მოცემული პროგრამის განხორციელების პროცესში აკადემია სრულად იყენებს სწავლებისა და სფეროს უახლეს მიღწევებს.

პსდ-ს სასწავლო სიმულაციური პლატფორმა, ასევე იძლევა შესაძლებლობას პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევები გამოიმუშაონ ვირტუალურად მოდელირებულ სიტუაციებში, დაეუფლონ ხელსაწყოების/ინსტრუმენტების გამოყენების წესებს, საჭირო წარმოებასა და სხვა პროფესიული ამოცანებს შესრულებას. გაეცნონ სხვადასხვა ავტომობილის სისტემებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - პსდ ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება, მაგ. სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, შიდა/გარე მობილობა, დამატებითი შეფასების საჭიროება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. შიდა რეგულაციების თანახმად, ასეთი საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას. ამასთან, ასეთი გარემოების დადგომისას, რეგულაციის თანახმად, პსდ აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, მსგავსი პრაქტიკის გამოყენების საჭიროება პსდ-ში არ დამდგარა. შესწავლილი რეგულაციისა და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან -განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პსდ-ს გაფორმებული ჰქონდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ (05/09/2018), ჰოლდინგში არსებული ცვლილებების გამო, თეგეტა მოტორსმა გარკვეული უფლებამოსილებები გადასცა თეგეტა რითეილს, რომლის ერთ-ერთი მიმართულება, სწორედ პროგრამის განხორციელებაა, აღნიშნულის საფუძველზე გაფორმდა სამმხრივი შეთანხმება თეგეტა აკადემიას, თეგეტა მოტორსსა და თეგეტა რითეილს შორის. ხელშეკრულების ცვლილების საფუძველზე აკადემიის პარტნიორ ორგანიზაციას თეგეტა მოტორსის ნაცვლად წარმოადგენს შპს ,,თეგეტა რითეილი“, რომელიც პსდ-თან ერთად არის საგანმანათლებლო პროგრამის შემმუშავებელი ორგანიზაცია. პსდ-ს მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა სპს თეგეტა მოტორსთან 2024 წლის 1 ივლისის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ საგანმანათლებლო პროგრამის ერთობლივი განხორციელების შესახებ. ხელშეკრულების ვადაა 6 წელი. ხელშეკრულება შესაბამისობაშია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მე-8 მუხლის მოთხოვნებთან. თან ახლავს ყველა სავალდებულო დანართი.

ხელშეკრულების შესაბამისად პარტნიორი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის დუალური მიდგომით განხორციელებას, კერძოდ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის და შესაბამისი კვალიფიკაციის ინსტრუქტორების გამოყოფას. ექსპერტთა მხრიდან განხორციელდა პსდ-სა და შპს „თეგეტა მოტორს“ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების განხორციელების პრაქტიკის გადამოწმება. დაწესებულებამ წარმოადგინა მიმოწერები, პრაქტიკის მიმდინარეობის ამსახველი მასალები, მათ შორის პარტნიორის მიერ ინსტრუქტორების გამოყოფის შესახებ ბრძანება, პროფესიულ სტუდენტის საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები, პროფესიულ სტუდენტთათვის ხელფასის განსაზღვრის შესახებ ბრძანება.

პსდ-მ ასევე წარმოადგინა, სასწავლო საწარმოს შერჩევისა და მასთან თანამშრომლობის წესი (ბრძანება #610, 24.10.2024), რომელიც ეყრდნობა პსდ-სა და საწარმოს თანამშრომლობის პრაქტიკას და ითვალისწინებს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან – პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - პსდ-ს სასწავლო/სამუშაო გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს ყველა საჭირო რეგულაცია და ინსტრუქცია. უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია შპს „თეგეტა მოტორი“, პსდ-თან გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში. შესაბამისად, კომპანიის მიერ შერჩეულია შესაბამისი პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. პსდ-ში კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ხორციელდება ინსტრუქტაჟი, მ.შ. პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების სივრცეებში, ხორციელდება გარემო ფაქტორების მონიტორინგი/კვლევა კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით. ორივე სივრცეში, თვალსაჩინოდ განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები, შესაბამისი კომპლექტაციითა და ნიშანდებით.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში განთავსებული აქვს პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დამუხტული ცეცხლმაქრები. ძაბვის ქვეშ მყოფი, წნევისა და დატვირთვით მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარების მიზნით მოწყობილობებზე დატანილია შესაბამისი პიქტოგრამები და გამაფრთხილებელი წარწერები. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებით, ინსტრუქტორის მეთვალყურეობის ქვეშ, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად წარმოდგენილი გარემო აღჭურვილია იძულებითი ვენტილაციის ინდივიდუალური საშუალებებით, რაც ხელს უშლის გარემოში ჰაერის დაბინძურებას, სამუშაო პროცესში გამოიყენება ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

საწარმოს მიერ უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების დაზღვევა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან – სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ (01.07.2024);
2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ დანართებითურთ;
4. მოდულის „ტრანსმისიის კლასიფიკაცია“-711908 კალენდარული გეგმა
5. შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.;
6. შპს თეგეტა აკადემიაში ფიზიკური ფაქტორების კვლევის შედეგები (21.02.2024; 25.07.2024);
7. ვიზუალური დათვალიერების, პსდ-ს პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი (ბრძანება #565, 02.07.2024) და მისი ადმინისტრირების მექანიზმები, რომლებიც ემყარება შეფასების აღიარებულ პრინციპებს. წესი მოიცავს

განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ადმინისიტრირების საკითხებს, მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ. პროცედურა ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 აგვისტოს №416 დადგენილების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს.

დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და შეფასების პირობები. კერძდ: საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება 2 ნაწილისაგან თეორიული გამოცდა (40 ქულა, ბარიერი მაქსიმალური ქულის 60% გადალახვა) და პრაქტიკული გამოცდა (60 ქულა ბარიერი მაქსიმალური ქულის 75% გადალახვა). თეორიული გამოცდა შედგება 40 ტესტისგან (დახურული, ღია) , ხოლო პრაქტიკული გამოცდა/დავალების შესრულების კრიტერიუმები დაყოფილია სამ ნაწილად: სამუშაოს დაგეგმვა (ჯამში 8 ქულა), სამუშაოს შესრულების ხარისხი (ჯამში 40 ქულა)და შესრულებული სამუშაოს კონტროლი და ხარვეზების გამოსწორება (ჯამში 12 ქულა). თითოეული კრიტერიუმი ჩაშლილია ქვეკრიტერიუმებად და მინიჭებული აქვს თანაბარი წონის ქულები, გარდა შესრულებული სამუშაოს კონტროლისა და ხარვეზების გამოსწორებისა, რომელიც მოიცავს 2 ქვეკრიტერიუმს და შემდეგნაირად ფასდება: „დავალების შემდეგ წესების დაცვით დაასუფთავა სამუშაო სივრცე, შეინახა ინსტრუმენტები“ - 4 ქულა, „აღმოფხვა აღმოჩენილი უწესივრობები“- 8 ქულა; ამ უკანასკნელი კრიტერიუმის შემთხვევაში, სასურველია, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისა და შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, ჩაიშალოს/კორექტირდეს შემდეგი შინაარსის კრიტერიუმებად მაგ.: „აღმოაჩინა ხარვეზები“ , „აღმოფხვრა ხარვეზები“ და მოხდეს შეფასების შესაბამისი სკალის განსაზღვრა – „სრულად“, „ნაწილობრივ“, „ვერ აღმოაჩინა“.

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ, ასევე ექსპერტთა კითხვების საფუძველზე, დეტალურად აღწერეს პროცესი, როგორ ხდებოდა და ხდებოდა თუ არა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ აწვდიდნენ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას და სხვა. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები შეფასების განხორციელებამდე აწვდიდნენ ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ, ხოლო მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია ინდივიდუალურად მიეწოდებოდათ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის დღიურები, რომლებშიც შეტანილი იყო ინფორმაცია, პრაქტიკის პერიოდში განხორციელებული აქტივობების და გამოყენებული რესურსების შესახებ. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები შიდა რეგულაციის დადგენილი სტრუქტურის შესაბამისია, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე. წარმოდგენილი შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არაობიექტური შეფასების ფაქტი. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით ხორციელდებოდა და შეფასებისას დაცული იყო მათი ინტერესები.

განხორციელებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პსდ-ს მიერ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისა და შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, გადაიხედოს საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სკალა/ქულები.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - რაც პსდ- გაწერილი აქვს შიდა ნორმატიულ დოკუმენტებში: პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების და შეფასების წესი (მუხლი 8) და პსდ-ს ხარისხის მექანიზმები, დანართი 12. პსდ-ს შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. წესისა და განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ადგენს სასწავლო წლის განმავლობაში ვერიფიკაციის გეგმას. ხარისხის მენეჯერის ფუნქციას წარმოადგენს ვერიფიკატორების შერჩევა-ინსტრუქტაჟი და ინსტრუმენტების შერჩევა. მასვე ევალება ვერიფიკაციის ანგარიშის პროექტის მომზადება-განხილვის ორგანიზება და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, ზეპირი განკარგულების საფუძველზე, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, შექმნა ჯგუფი. აღნიშნული საკითხის შესახებ არ ყოფილა ბრძანება გამოცემული. ვერიფიკატორებისა და მათი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია არაა ასახული ანგარიშის დოკუმენტშიც. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანების გამოცემა, სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობას.

ვიზიტს ფარგლებში შესწავლილი იქნა პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტები და ანგარიში. ვერიფიკაცია განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ფარგლებში და მოიცვა ყველა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოდულის ყველა შეფასების ინსტრუმენტი (15 პროფესიული მოდული, 13 პროფესიული სტუდენტი). ანგარიშის დოკუმენტში ასახულია გამოვლენილი უზუსტობები/შეუსაბამობები და რეკომენდაციები, მაგ.:

- მოდული „მეწარმეობა“ - შეფასების ინსტრუმენტით არ იყო მითითებული დავალების/პროექტის წარდგენის ფორმა (წერილობითი, ზეპირი, პრეზენტაცია);
- მოდული „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ - განსაზღვრული იყო შეფასების საერთო დრო, ხოლო დავალებებისთვის ინდივიდუალურად არა. ასევე არ იყო მითითებული სასწავლო გარემო, რომელსაც საჭიროებდა დავალების შესრულება. არ იყო განსაზღვრული შეცდომების დასაშვები რაოდენობა. ამავე მოდულში, ჯგუფური დავალების/პრეზენტაციის/პროექტის შეფასების შემთხვევაში შეფასების სქემა არ ასახავდა თითოეული სტუდენტის შეფასებას. გაიცა რეკომენდაცია, რომ შეფასების სქემაში ჩანდეს თითოეული სტუდენტის წვლილი/კომპეტენცია შესრულებულ ჯგუფურ სამუშაოში, ან დავალებათა განაწილება მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს თანაბრად მოახდინონ ცოდნის/უნარების დემონსტრირება. ანალოგიური რეკომენდაცია გაიცა მეწარმეობის მოდულისთვისაც. აღსანიშნავია ისიც, რომ, ვიზიტის დროს შესაძლებელი იყო აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. მათ აღნიშნეს, რომ იციან ვერიფიკაციის შედეგების შესახებ და მუშაობენ შეფასების ინსტრუმენტის გაუმჯობესებაზე და ჯგუფური სამუშაოს შეფასების სქემაზე.
- დარგობრივი მოდულების თეორიული კომპონენტის შეფასების პროცესთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები, რომ წერითი შეფასებისას შემუშავებულიყო მრავალფეროვანი დავალებები, მათ შორის ნახაზების/სქემების წაკითხვა. ხოლო ზეპირი გამოკითხვისას (მოდული „ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია), შეფასების ფურცელთან ერთად წარმოდგენილი ყოფილიყო კითხვები/ბილეთები. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები, რათა დადგენილიყო თუ რა თემატიკას/კითხვებს მოიცავდა ჩატარებული შეფასების პროცესი. დარგობრივი მოდულების პრაქტიკული შინაარსის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებში გამოვლინდა, რომ დავალების შესრულებისთვის საჭირო ხელსაწყოები/რესურსი არ იყო მითითებული (მოდული „ზოგადი ელექტრონიკის საფუძვლები“).

გაცემული რეკომენდაციები გამოვლენილი შეუსაბამობების რელევანტურია. გამოვლენილი უზუსტობები/შეუსაბამობები, უფრო მიუთითებს ვალიდაციის პროცესის არაეფექტურობაზე. შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

წარმოდგენილი ვერიფიკაციის /საქმე არ მოიცავს მტკიცებულებებს, შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშებს. ასევე ვერიფიკატორთა მიერ შევსებული დოკუმენტები ხელმოწერილია, მაგრამ არაა დათარიღებული. ვერიფიკატორების მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები, რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ყველა ინსტრუმენტი შემოწმდა მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატრის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.

პსდ-ს გეგმით, ვერიფიკაციის შემდეგი პროცესი დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- პსდ-ს ვერიფიკატორთა ჯგუფის შექმნა იყოს დოკუმენტურად უზრუნველყოფილი (გამოიცეს ბრძანება გამოცემა), სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობას.
- ვერიფიკატორის მიერ შევსებულ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები, რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატრის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - დაწესებულების საქმისწარმოების წესისა და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების წესის თანახმად გაწერილი აქვს უწყისებისა და შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების მართვის წესები. პსდ-ში არსებული წესისა და პრაქტიკის თანახმად მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მისი დადგენილი წესის შესაბამისად განკარგვა. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა საქმისწარმოების სპეციალისტს და ინახება უვადოდ.

დაწესებულებას ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებული უწყისების აღრიცხვას. უწყისები აღირიცხება მატერიალურ ჟურნალში, რომელიც გაფორმებულია საქმისწარმოების წესების მოთხოვნების თანახმად (იხ. ასევე 5.2.2.(1) ინდიკატორის აღწერა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - პროფესიულ სტუდენტს სწავლის პერიოდში განმავითარებელი შეფასების ფორმატში შეუძლია მიიღოს უკუკავშირი მასწავლებლისგან შემდგომი წინსვლისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებისთვის. ამას ხელს უწყობს ასევე, სასწავლო-სიმულაციური პლატფორმა, სადაც სტუდენტს თავად შეუძლია აკონტროლოს საკუთარი მიწევების პროგრესი. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, მანამ, სანამ განხორციელდება განმავითარებელი შეფასება, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიაროს დამატებითი კონსულტაცია, მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რჩევები და მოემზადოს შეფასების პროცესისთვის.

პსდ-ში ასევე ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან ერთად პერიოდულად ხორციელდება პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად იღებს უკუკავშირს, შესაბამის რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების და შეფასების წესი (ბრძანება 565, 02.07.2024)
2. პსდ-ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა (15.05.2024 ბრძანება №547);
3. 2022-2023 წლის ვერიფიკაციის ანგარიში
4. კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტები
5. შეფასების ინსტრუმენტები
6. პსდ-ს პერსონალთა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ძრავის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის ბრძ. № 025; 05.09.2018; ცვლილება ბრძ. № 479[4]; 02.09.2023
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	58
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	73

III. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ძრავის შეკეთება“ განხორციელების უფლება მოიპოვა 2019 წლის 17 იანვრის პროფესიული საგანმაანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N4 გადაწყვეტილებით. *საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან . პსდ-ს საქმიანობა* ფოკუსირებულია, მუდმივად პასუხობდეს საავტომობილო ინდუსტრიის განვითარებად საჭიროებებს და ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენებით ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო სექტორის განვითარებას. ასევე მისიის თანახმად, პსდ-ს მიზანია *„შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, საავტომობილო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე კონკურენტუნარიანი პროფესიონალების ჩამოყალიბება, მათი კარიერული და პიროვნული ზრდის უზრუნველყოფა სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და კერძო სექტორთან თანამშრომლობით“.* გამომდინარე იქედან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის „ძრავის შეკეთება“ მიზანია, სატრანსპორტო სფეროსთვის მოამზადოს ძრავის შემკეთებელი, რომელსაც შეეძლება ძრავის დიაგნოსტირებისა და შეკეთების პროცესების პროფესიონალურ დონეზე წარმართვა, ამავდროულად, ჰქონდეს უნარი საკუთარი სახელოსნოს დაფუძნებისა და შეძენილი ცოდნის საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და განვითარებაში გამოყენება, უშუალოდ პასუხობს დაწესებულების მისიას, რომელიც ასევე გულისხმობს პროფესიული კადრების მომზადებას და მათთვის სასწავლო-სამეწარმეო სისტემის მხარდაჭერას.
ამასთან პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმაში (2020-2026) სტრატეგიული მიზანი N2. უშალოდ ეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელიც ხაზს უსვამს პსდ-ს ვალდებულებას მუდმივად და განავითაროს საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც აკმაყოფილებს ავტო ინდუსტრიის სტანდარტებს და ბაზრის მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - საავტომობილო ინდუსტრიაში დასაქმებულმა, აუცილებელია იცოდეს შრომის უსაფრთხოების და გარემოს დაცვის მოთხოვნები, როგორც პირადი და გარშემომყოფთა უსაფრთხოების, ისე სამუშაო გარემოს დაცვის უზრუნველყოფისთვის. თავის მხრივ ეს ასევე უზრუნველყოფს, კომპანიის მდგრად განვითარებასა და წარმატებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამა „ ძრავის შეკეთება" მოიცავს ისეთი მოდულებს, როგორიცაა „შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა". მისიისა და ზოგადად, პროფესიული განათლების მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მეწარმეობის უნარი, რამაც შეიძლება სტუდენტები აღჭურვოს ისეთი უნარ-ჩვევებით და აზროვნებით, რაც აუცილებელია ინოვაციების შესაქმნელად, ბიზნესის წარმართვისა და ეკონომიკური წინსვლისთვის. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს „მეწარმეობის" მოდულს, რომლის დახმარებით კურსდამთავრებულის კარიერული და მეწარმის შესაძლებლობების უფრო მეტად ზრდის. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, პირს შეეძლება დააფუძნოს საკუთარი სახელოსნო, რომელიც მოემსახურება დიზელიანი საგზაო და მოტორიანი ტრანსპორტს (ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების აირის და საწვავის სისტემის ტექნიკოსის მიმართულებით).

დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება. პსდ-ს კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებელი პარტნიორი კომპანიაა, რომელსაც მუდმივად აქვს კადრების საჭიროება. აკადემიის დაარსების ერთ-ერთი მიზანი, სწორედ კვალიფიციური კადრების მომზადება იყო, რომელსაც ჰოლდინგი დაასაქმებდა. მათი უკუკავშირის შესაბამისად კომპანია საჭიროებს კადრს, ამასთან ექნება გარანტია, რომელსაც კომპანიის რეპუტაციას მიანდობს ბაზარზე.

პსდ-ს მიერ განხორციელდა, ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებათა კვლევა, რომელიც ჩატარდა 2019 წლის დეკემბერსა და 2020 წლის იანვარში. კვლევაში მონაწილეობისთვის შეირჩა საქართველოს ოთხი რეგიონის, კერძოდ თბილისში, ბათუმში, ზუგდიდსა და ქუთაისში მდებარე საავტომობილო სერვისცენტრები. სამიზნე ჯგუფებში ჩატარდა შერეული ტიპის კვლევა, რომელიც მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივი მეთოდებს/კვლევას. კვლევისას გამოიკვეთა, რომ ძრავის მექანიკოსის მიმართულება აქტუალურია საავტომობილო სერვისებში. რესპონდენტების მიერ დასახელა საავტომობილო სერვისების ყველა მიმართულებით ხელოსნების ნაკლებობა („ელექტრომობილების მექანიკოსი", „ჰიბრიდების მექანიკოსი", „ძრავის მექანიკოსი", „სავალი ნაწილის მექანიკოსი").

დაწესებულების დაკვეთით, შრომის ბაზრისა და სატრანსპორტო სფეროში არსებული დამსაქმებლების მოთხოვნათა შესახებ, კვლევა განხორციელდა ასევე შპს „ინთერნეშნალ სეილს ინსტიტუტი"-ს მიერ. კვლევის მიზანი იყო შრომის ბაზრისა და სატრანსპორტო სფეროში არსებული დამსაქმებლების მოთხოვნათა და საავტომობილო სფეროში პროფესიული განათლების მართებულობის დადგენა, ასევე კონკრეტული მიმართულების, პროფესიული პროგრამების საჭიროება იდენტიფიცირება. ჩატარებული კვლევის მიხედვით, სატრანსპორტო სფეროში დასაქმების თვალსაზრისით, დამსაქმებლებისა და დასაქმებულების მიერ დასახელებული პრიორიტეტული პროგრამებიდან ერთ-ერთია „ძრავის ხელოსანი". კვლევის შედეგად, დარგში დეფიციტური და მოთხოვნადი პროფესიები რიგითობის მიხედვით შემდეგი პრიორიტეტულობით დასახელდა: 1. ელექტრიკოსი, 2. ძრავის ხელოსანი, 3. სავალი ნაწილის ხელოსანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთების მიმართულებით, კვალიფიციური კადრების საჭიროება არსებობს.

პსდ-სჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 15 დარგობრივი მოდულების, რომელთა ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების.

საგანმანათლებლო პროგრამას „ძრავის შეკეთება" ახორციელებს სხვა დაწესებულებიც, შესაბამისად, პსდ-სთვის მნიშვნელოვანია, პროგრამა/პსდ სარგებლობდეს უპირატესობით ბაზარზე, რაზეც მუდმივად ზრუნავს. უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებისთვის ინოვაციური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიებისა და მიდგომების დანერგვას. პსდ არის სიმულაციური სასწავლო პლატფორმის „ელექტუდის“ ოფიციალური წარმომადგენელი. დაწესებულებამ პლატფორმის სასწავლო მოდულები თარგმნა, რათა მეტად ხელმისაწვდომი გაეხადა სტუდენტებისთვის. პსდ-ს სასწავლო რესურსი აერთიანებს საავტომობილო ტექნოლოგიების უახლეს მიღწევებს. მნიშვნელოვანი ფაქტორია საავტომობილო ბაზარზე წამყავნ კომპანიებთან თანამშრომლობა. რაც უზრუნველყოფს, რომ პსდ-ს კურსდამთავრებულები მოთხოვნადი კადრია და აკმაყოფილებენ ავტოინდუსტრიის დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების სტატისტიკა ასეთია: 2023 წელს საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ მიღებაზე დარეგისტრირდა 76 აპლიკანტი, შერჩევის შედეგად ჩაირიცხა 15 სტუდენტი. სწავლა დაასრულა 8 სტუდენტმა, სტატუსი შეუწყდა 7 სტუდენტს. პროფესიულ სტუდენტთა განთესვის/სტატუსის შეწყვეტის საფუძვლად პსდ-ს დირექტორის მიერ გამოცემულ ბრძანებებში მითითებულია განმეორებით გამოცდაზე გამოუცხადებლობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება დასაბუთებას, შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე „ძრავის შეკეთება“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც იდენტურია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პირობასთან.

საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება პსდ-ს „შიდა რეგულაციის თანახმად, ორ ეტაპად: ტესტირება და მოტივაციური გასაუბრება. ტესტი შედგება სამი ნაწილისგან: უცხო ენა(ინგლისური), ზოგადი უნარების ვერბალური და მათემატიკური ნაწილი. თითოეულ ბლოკი შედგება 20 კითხვისგან, შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო მინიმალური გადასალახი ზღვარი - 15 ქულა. ტესტირების დრო- 1 საათი და 30 წთ.

მოტივაციური გასაუბრება ხორციელდება წინასწარ სტრუქტურირებული, პროგრამის შესაბამისი კითხვებით, რომელიც შედგება 6 ბლოკისგან. დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე შერჩევისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - ჯამური შეფასების 25%. შერჩევის პროცედურა ხორციელდება პსდ-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან: პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული მასწავლებელი, პოტენციური დამსაქმებელი.

ტესტირების და გასაუბრების ქულები კომისიის წევრების მიერ ისახება პროფესიული განათლების ელექტრონულ სისტემაში (vet.emis.ge). საკანონმდებლო აქტით განსაზღვრული ჩარიცხვის წესის თანახმად, რეიტინგული სიების საფუძველზე განხორციელდა აპლიკანტებისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - რისთვისაც შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი (ბრძანება #557, 25.06.2024). კვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს სასწავლო გარემოს, მათ ტიპებს, ფართის მაჩვენებლებს, სამუშაო ადგილების რაოდენობასა და საჭირო კომპეტენციის მქონე ადამიანურ რესურსს.

პსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, რაც თავისთავად მოითხოვს პსდ-ს საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. პროგრამის განხორციელებისთვის პსდ-ს გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: A გარემო (სასწავლო აუდიტორია/training room – ფართი 40 კვ.მ.), B გარემო (computer lab ფართი 26. 6 კვ.მ) და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე-technical lab, ფართი 51.23 კვ.მ), C გარემო (ფართი 148 კვ.მ.), რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. თითოეული გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (15 სამუშაო ადგილი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - პსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ძრავის შეკეთება“ განსახორციელებლად აუცილებელი რესურსების ნუსხა, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის აკადემიის საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის თანამედროვე ლიტერატურით, მ.შ. სიმულაციური სასწავლო პლატფორმით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე მატერიალური რესურსის, მ.შ. სასწავლო რესურსის შემოწმების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან -საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - საგანმანათლებლო პროგრამას წარმოდგენილია არჩევითი მოდულების გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების , დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი"-ს თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი. წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის მიერ 2018 წლის 05 სექტემბრის №025 ბრძანებით. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილება განხორციელებულია ასევე პსდ-ს დირექტორის 2023 წლის 2 სექტემბერის N 479[4] ბრძანების საფუძველზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროგრამის სახელწოდება ,,ძრავის შეკეთება" ანალოგიურია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი კონცენტრაციის, რაც ძალზე ზოგადი შინაარსისა. დაწესებულებამ, აღნიშნული სახელწოდებით, პროგრამის ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს. მას შემდეგ სახელწოდება არ შეცვლილა. შპს ,,თეგეტა აკადემიის" და მისი დამფუძნებელი კომპანიის შპს ,,თეგეტა მოტორსი"-ს საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე, ლოგიკურად ხდება ბმა, რომ აღნიშნული პროგრამა საავტომობილო სფეროს ეხება.

<u>ვინაიდან პროგრამის სწავლის შედეგები მოიცავს მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთებას, ხოლო პროგრამის ამჟამინდელი დასახელება ზოგადია, მიზანშეწონილია პროგრამის დასახელება ,,ძრავის შეკეთება" დაკორექტირდეს შემდეგნაირად - ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავას შეკეთება"/,,ავტომობილის ძრავას შეკეთება".</u>

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

განმავითარებელი რეკომენდაცია - კორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ,,ძრავას შეკეთება" კორექტირდეს და ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება" ან ,,ავტომობილის ძრავას შეკეთება".

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს - პსდ-ს მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ძრავის შეკეთება" შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-პ საფუძველზე და მისი ერთ-ერთი კონცენტრაციაა. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც). პროგრამის პაკეტს თან ახლავს ინფორმაცია განმახორციელებელი პირების შესახებ, მატერიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსები და ადაპტირებული მოდულები. შესაბამისად პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ძრავის შეკეთება“ (ბრძანება № 025; 05.09.2018. პროგრამაში, ბოლო ცვლილების დოკუმენტი - ბრძანება № 479[4]; 02.09.2023);
2. 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების , დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“
3. „ძრავის შეკეთების“ პროგრამაზე შერჩევის პროცედურები (08.09.2023 ბრძანება 0481)
4. პსდ-ს კვლევა ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებათა შესახებ
5. პსდ-ს კვლევა სატრანსპორტო სფეროს შრომის ბაზრისა და არსებული დამსაქმებლების მოთხოვნების შესახებ
6. პსდ-ს მიერ შევსებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რეავტორიზაციის/ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა“ 2024 წ.
7. პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026
8. შპს „თეგეტა აკადემიის“ სტრუქტურული ერთეულების დებულება;
9. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შპს ,,თეგეტა აკადემია"-ს გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. დაწესებულების საკუთრებაშია სრულფასოვნად აღჭურვილი A გარემო (საწავლო აუდიტორია/training room – ფართი 40 კვ.მ.), B გარემო (computer lab ფართი 26. 6 კვ.მ) და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე-technical lab, ფართი 51.23 კვ.მ). C გარემო (ფართი 148 კვ.მ.).

   C გარემოში განთავსებულია აკადემიის საკუთრებაში არსებული სასწავლო ავტოსატრანსპორტო საშუალება, რამდენიმე სახეობის ძრავა, ძრავას ამოსაღები და განსათავსებელი მოწყობილობები და შესაბამისი იარაღების კომპლექტის რამდენიმე ერთეული, გარემო აღჭურვილია უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებებით.

   ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსის არსებობა და შესაბამისობა მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. შედეგად დგინდება, რომ პსდ-ს მიერ მოთხოვნილი 15 პროფესიული სტუდენტისთვის დაწესებულების საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოცემულ პროგრამაზე იმიტირებულ გარემოში სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და მაღალი ხარისხით განხორციელებას.

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

   პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების სწავლება მიმდინარეობს აკადემიის ბაზაზე შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლების მიერ. მოდულების განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი 9. რაც სრულად საკმარისია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. თუმცა აღსანიშნავია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომ პროფესიული მოდულების ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები“ და „ზოგადი ელექტრონიკის საფუძლები“ სწავლებას წარმართავს ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. პდს-ს მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო 04.09.2024 წელს განმახორციელებელ პირთან (ბ.ქ.) დამატებით გაფორმებული შეთანხმება. შესაბამისად ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა პსდ-ს პოზიცია და კორექტირდა რეკომენდაცია,

2. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს მოდულის განმახორციელებელი მეორე პირის შერჩევა.

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სასწავლო გეგმა, ცხრილები, პერსონალის დატვირთვის ფურცლები და მათი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. პირადი საქმეები დაკომპლექტებულია სრულად და მოიცავს კანონმდებლობით და პსდ-ს მიერ საქმისწარმოების წესით დადგენილ ყველა დოკუმენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია პსდ-მ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებელი პირი მოდულისთვის ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები“.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ამასთან დაკავშირებით პსდ-ში ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია აკადემიაში მოქმედ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პერსონალის მართვის პროცედურების მოთხოვნებთან. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას, რასაც ადასტურებს ერთი მხრივ პირად საქმეებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია: დიპლომები და სერტიფიკატები, დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები; ხოლო მეორე მხრივ თავად განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი“, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები. პსდ მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე (იხ. ასევე 4.2.1 (3) ინდიკატორის აღწერა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ,,ძრავის შეკეთება“ ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება პირადი საქმის მასალებით, დარგში მუშაობის გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტით, კერძოდ შპს ,,თეგეტა აკადემია"-ს დებულებით. პროგრამის ხელმძღვანელთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, მონაწილეობას იღებდა პროგრამის განხორციელებაში, ამ ეტაპზე აქტიურადაა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 05 ივნისის №553 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის" ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი"-თ, განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, ელექტრონული სახელმძღვანელოები განთავსებულია ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ვიზიტის პერიოდში შემოწმდა პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ადგილზე არსებობა, დადასტურდა. კონცენტრაციის მოდულების განსახორციელებლად ბიბლიოთეკაში ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილია ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები ინგლისურ და რუსულ ენებზე. დაწესებულებას გარდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსისა, საკუთრებაში აქვს პერსონალის მიერ შემუშავებული სხვადასხვა სახის სალექციო მასალა ე.წ. ,,რიდერების" სახით, რიგ შემთხვევებში მოდულების შინაარსის/სწავლის შედეგების შესაბამისი საპრეზენტაციო და საკითხავი მასალა, რაც სრულად მოდის შესაბამისობაში პროგრამით განსაზღვრული მოდულების თემატიკასთან, შესაბამისად მნიშვნელოვანია დაწესებულებამ აღნიშნული სასწავლო რესურსის ასახვა მოახდინოს პროგრამის მოდულებში.

შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მოდულებში ასევე დატოვებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული რესურსი, რაც არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსს. დამკვიდრებული პრაქტიკით, მოდულებში არ მიეთითება ძირითადი და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა/რესურსი, შესაბამისად, დარგობრივი ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაცია, პსდ-ს მიერ გადაიხედოს მითითებული ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს პსდ-ს საკუთრებაში არსებულ საგანმანათლებლო რესურსთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული იყოს პსდ-ს საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - აღნიშნული საკითხის რეგულირების მიზნით, პსდ-ს შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი" (14.06.2023 წ. ბრძანება N428[1]). დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების გარემოებები, ესენია: გარე ან შიდა მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება-აღდგენის, სსმ/შშმ პირის სტატუსის არსებობისა და ისგ საჭიროების აუცილებლობის შემთხვევები.

   პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, რეგულაციის გადამოწმებით ჩანს საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

   წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის დოკუმენტს თან ერთვის პროგრამის ბიუჯეტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად მდგრადია. პროგრამის ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლების წყაროა სწავლის საფასური/ვაუჩერი. პსდ-ს თვითშეფასების დოკუმენტით და პერსონალის განმარტებით, პსდ-ს პროგრამები ამ ეტაპისთვის ფინანსურად მომგებიანი არაა, თუმცა კომპანიისა და დაწესებულებისთვის პროგრამების განხორციელება პრიორიტეტს წარმოადგენს, წარმოშობილ ფინანსურ დეფიციტს, პსდ-ს ავსებს და ტრენინგ-კურსების განხორციელებით მიღებული რესურსით. ბიუჯეტში მითითებული პსდ-ს დამატებითი ფინანსური რესურსი სრულად აკმაყოფილებს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს (იხ. ასევე 5.3 ქვესტანდარტის აღწერა).

   წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ძრავის შეკეთება" (ბრძანება № 025; 05.09.2018);
2. პსდ-ს მიერ შევსებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რეავტორიზაციის/ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა" 2024 წ;
3. პსდ-ს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობები (16.10.2024 წ. ბრძანება №606);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“;
5. ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (05.06.2024 წ. ბრძანება №553);
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
7. ,,შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესი“ (02.07.2024 წ. ბრძანება №566)
8. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. - შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2024 წლის 15 მისის N547 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცედურის თანახმად პროგრამის შეფასება ციკლური პროცესია, რაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით ხორციელდება. პროგრამის განვითარებისთვის შეფასებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ დამსაქმებლებმა, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა, პროფესიულმა მასწავლებლებმა). ინფორმაციის შეგროვება ხდება სპეციალური კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ცვლილება პროგრამასა ან/და მოდულებში. მოქმედი პროგრამის ფარგლებში, პროფესიული სტუდენტებისა და მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების გამოკითხვების საშუალებით, გაკეთდა პროგრამის განხორციელების შუალედური ანალიზი, თუმცა პროგრამაში დამატებითი ცვლილების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

   პროგრამის განვითარებისა და უცხოური პრაქტიკის გაზიარების მიზნით, პსდ-ს პერსონალმა განახორციელა სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების წამყვან კოლეჯში, რომელიც საავტომობილო მიმართულების პროგრამებს ახორციელებს. უცხოური გამოცდილება გაზიარებული იქნა პსდ-ს სხვა თანამშრომლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. კოლეჯის დამფუძნებელი და პარტნიორი ორგანიზაცია - შპს თეგეტა მოტორსი“,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც ქვეყანაში შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებელი, ასევე დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და სხვა სასწავლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისა და განვითარების პროცესებში. რაც უზრუნველყოფს საგანმანთლებლო პროგრამისა და მიწოდებული მასალების აქტუალობას.

ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო პსდ-ს კონტინგენტის 90%-მა. გამოკითხულთა 85% კმაყოფილია კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებით და მომსახურებით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ასევე სამოქმედო გეგმა და დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოები. ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც.

პსდ-ს დაგეგმილი აქვს პროგრამის გადახედვა, პსდ-ს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და უკუკავშირის, ასევე დარგის ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით ცვლილებების განხორციელება. რასაც ასევე განაპირობებს საგანმანათლებლო სტანდარტებში მიმდინარე განახლების პროცესი, სადაც ასევე არიან ჩართულები დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელი პირები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან – პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პსდ-ს არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე. პროგრამების განხორციელების ხარისხთან და განვითარებასთან დაკავშირებული პროცესებიც ხორციელდება და იგეგმება აღნიშნული ციკლის შესაბამისად. დაწესებულებას შიდა პროცედურების დაცვით განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაში რიგი ცვლილებები (მაგ. ცვლილებები ეხებოდა, სასწავლო გეგმას, მე-2 დანართს). პსდ-ს წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩარჩო დოკუმენტის განახლების პროცესში ჩართულია დაწესებულების პერსონალი, შესაბამისად მათი მხრიდან უზრუნველყოფილია დაგროვილი გამოცდილების გაზიარება სამუშაო ჯგუფთან, ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების/განახლების შემდეგ, პსდ გეგმავს ასევე საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის გადახედვა/განახლებასა და გაუმჯობესებას დარგში განვითარებული სიახლეების გათვალიწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან – პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა (15.05.2024 წ. ბრძანება N547) ;
2. პსდ-ს დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ დირექტორის (ბრძანება № 025; 05.09.2018);
3. ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებების კვლევა
4. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანკეტები და შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
5. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

„ძრავის შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება (სასწავლო ცხრილები იქმნება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად). გეგმის თანახმად პროგრამაზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა - 46 სასწავლო კვირა. გემაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულით გათვალისწინებული საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა და მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა არეგულაციებით დადგენილი ვადები მოდულის გადაბარების საჭიროების დადგომისას. სასწავლო ცხრილები დგება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - კერძოდ, დაწესებულების პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის დაწყების წინ ხორციელდება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრა, სასწავლო განრიგის გაცნობა. სტუდენტთა ობიექტური საჭიროებებიდან გათვალისწინებით, ხდება ცვლილებების განხორციელება. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პსდ-ს ადმინისტრაცია ყოველთვის გამოხატავდა მზაობას და ითვალისწინებდა სტუდენტების საჭიროებებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - „ძრავის შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. სწავლების მეთოდები აღწერილია მოდულებში. აკადემიის ბაზაზე წარმოდგენილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ტექნოლოგიები თანამედროვეა და სრულად უზრუნველყოფს შესასწავლი მასალის სტუდენტისათვის მიწოდების სიმარტივეს. პრაქტიკული მოდულების განხორციელების პროცესში სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ ავტომობილის ძრავის მექანიზმებისა და სისტემების დიაგნოსტიკისა და შეკეთებისათვის აუცილებელ საინფორმაციო ბაზებთან, შესაბამისად მოცემული პროგრამის განხორციელების პროცესში აკადემია სრულად იყენებს სწავლებისა და სფეროს უახლეს მიღწევებს. პსდ-ს სასწავლო სიმულაციური პლატფორმა, ასევე იძლევა შესაძლებლობას პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევები გამოიმუშაონ ვირტუალურად მოდელირებულ სიტუაციებში, დაეუფლონ ხელსაწყოების/ინსტრუმენტების გამოყენების წესებს, საჭირო წარმოებასა და სხვა პროფესიული ამოცანებს შესრულებას. გაეცნონ სხვადასხვა ავტომობილის სისტემებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - პსდ ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება, მაგ. სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, შიდა/გარე მობილობა, დამატებითი შეფასების საჭიროება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. შიდა რეგულაციების თანახმად, ასეთი საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას. ამასთან, ასეთი გარემოების დადგომისას, რეგულაციის თანახმად, პსდ აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, მსგავსი პრაქტიკის გამოყენების საჭიროება პსდ-ში არ დამდგარა. შესწავლილი რეგულაციისა და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან -განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.

ფაქტობრივი გარემოება არ მოდის წინააღმდეგობაში ავტორიზაციის სტანდარტებთან, შესაბამისად ინდიკატორის შესაბამისობა დასტურდება.

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - პსდ-ს სასწავლო/სამუშაო გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს ყველა საჭირო რეგულაცია და ინსტრუქცია. უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია შპს „თეგეტა მოტორსი“, პსდ-თან გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში. შესაბამისად, კომპანიის მიერ შერჩეულია შესაბამისი პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. პსდ-ში კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ხორციელდება ინსტრუქტაჟი, მ.შ. პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების სივრცეებში, ხორციელდება გარემო ფაქტორების მონიტორინგი/კვლევა კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით. ორივე სივრცეში, თვალსაჩინოდ განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები, შესაბამისი კომპლექტაციითა და ნიშანდებით.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამების C გარემოში განთავსებული აქვს პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დამუხტული ცეცხლმაქრები. ძაბვის ქვეშ მყოფი, წნევისა და დატვირთვით მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარების მიზნით მოწყობილობებზე დატანილია შესაბამისი პიქტოგრამები და გამაფრთხილებელი წარწერები. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებით, მასწავლებლის/ინსტრუქტორის მეთვალყურეობის ქვეშ, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად წარმოდგენილი გარემო აღჭურვილია იძულებითი ვენტილაციის ინდივიდუალური საშუალებებით, რაც ხელს უშლის გარემოში ჰაერის დაბინძურებას, სამუშაო პროცესში გამოიყენება ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ძრავის შეკეთება“ დანართებითურთ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.;
4. შპს თეგეტა აკადემიაში ფიზიკური ფაქტორების კვლევის შედეგები (21.02.2024; 25.07.2024);
5. ვიზუალური დათვალიერების, პსდ-ს პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

(3) პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
(4) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
(5) პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
(6) პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი (ბრძანება #565, 02.07.2024) და მისი ადმინისტრირების მექანიზმები, რომლებიც ემყარება შეფასების აღიარებულ პრინციპებს. წესი მოიცავს

   განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ადმინისიტრირების საკითხებს, მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ. პსდ-ს მიერ წარმოდგენილი იყოს დირექტორის 2024 წლის 30 სექტემბრის #598 ბრძანება „ძრავის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და პროცედურის, შეფასების კრიტერიუმების, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობისა და გამოცდის განრიგის დამტკიცების შესახებ“.
   დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და შეფასების პირობები. კერძოდ: საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება 2 ნაწილისაგან თეორიული გამოცდა (40 ქულა, ბარიერი მაქსიმალური ქულის 60% გადალახვა) და პრაქტიკული გამოცდა (60 ქულა ბარიერი მაქსიმალური ქულის 75% გადალახვა). თეორიული გამოცდა შედგება 40 ტესტისგან (დახურული, ღია) , ხოლო პრაქტიკული გამოცდა/დავალების შესრულების კრიტერიუმები დაყოფილია სამ ნაწილად: სამუშაოს დაგეგმვა (ჯამში 8 ქულა), სამუშაოს შესრულების ხარისხი (ჯამში 40 ქულა)და შესრულებული სამუშაოს კონტროლი და ხარვეზების გამოსწორება (ჯამში 12 ქულა). თითოეული კრიტერიუმი ჩაშლილია ქვეკრიტერიუმებად და მინიჭებულია აქვს თანაბარი წონის ქულები, გარდა შესრულებული სამუშაოს კონტროლი და ხარვეზების გამოსწორებისა, რომელიც მოიცავს 2 ქვეკრიტერიუმს და შემდეგნაირად ფასდება: „დავალების შემდეგ წესების დაცვით დაასუფთავა სამუშაო სივრცე, შეინახა ინსტრუმენტები“ - 4 ქულა, „აღმოფხვა აღმოჩენილი უწესივრობები“- 8 ქულა; ამ უკანასკნელი კრიტერიუმის შემთხვევაში, სასურველია, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისა და შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, ჩაიშალოს/კორექტირდეს შემდეგი შინაარსის კრიტერიუმებად მაგ.: „აღმოაჩინა ხარვეზები“, „ აღმოფხვრა ხარვეზები“ და მოხდეს შეფასების შესაბამისი სკალის განსაზღვრა – „სრულად“, „ნაწილობრივ“, „ვერ აღმოაჩინა“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ, ასევე ექსპერტთა კითხვების საფუძველზე, დეტალურად აღწერეს პროცესი, როგორ ხდებოდა და ხდებოდა თუ არა მათი შეფასებამდე ინფორმირება, როგორ აწვდიდნენ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაციას და სხვა. კურსდამთავრებულებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლები შეფასების განხორციელებამდე აწვდიდნენ ინფორმაციას სწავლის შედეგის დადასტურების შესახებ, ხოლო მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაცია ინდივიდუალურად მიეწოდებოდათ.

ექსპერტთა მხრიდან გადამოწმდა შერჩევითი პრინციპით შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები შიდა რეგულაციის დადგენილი სტრუქტურის შესაბამისია, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე. წარმოდგენილი შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით ხორციელდებოდა და შეფასებისას დაცული იყო მათი ინტერესები.

განხორციელებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პსდ-ს მიერ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისა და შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, გადაიხედოს საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სკალა/ქულები.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - რაც პსდ- გაწერილი აქვს შიდა ნორმატიულ დოკუმენტებში: პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების და შეფასების წესი (მუხლი 8) და პსდ-ს ხარისხის მექანიზმები, დანართი 12. პსდ-ს შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. წესისა და განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ადგენს სასწავლო წლის განმავლობაში ვერიფიკაციის გეგმას. ხარისხის მენეჯერის ფუნქციას წარმოადგენს ვერიფიკატორების შერჩევა-ინსტრუქტაჟი და ინსტრუმენტების შერჩევა. მასვე ევალება ვერიფიკაციის ანგარიშის პროექტის მომზადება-განხილვის ორგანიზება და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, ზეპირი განკარგულების საფუძველზე, პსდ-ს შესაბამისი ადამიანური რესურსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, შექმნა ჯგუფი. აღნიშნული საკითხის შესახებ არ ყოფილა ბრძანება გამოცემული. ვერიფიკატორებისა და მათი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია არაა ასახული ანგარიშის დოკუმენტშიც. სასურველია პსდ-მ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანების გამოცემა, სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობას.

ვიზიტს ფარგლებში შესწავლილი იქნა პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტები და ანგარიში. ვერიფიკაცია განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ფარგლებში და მოიცვა ყველა მოდულის ყველა შეფასების ინსტრუმენტი (15 პროფესიული მოდული, 13 პროფესიული სტუდენტი). ანგარიშის დოკუმენტში ასახულია გამოვლენილი უზუსტობები/შეუსაბამობები და რეკომენდაციები, მაგ.:

- მოდული „მეწარმეობა“ - შეფასების ინსტრუმენტით არ იყო მითითებული დავალების/პროექტის წარდგენის ფორმა (წერილობითი, ზეპირი, პრეზენტაცია);
- მოდული „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ - განსაზღვრული იყო შეფასების საერთო დრო, ხოლო დავალებებისთვის ინდივიდუალურად არა. ასევე არ იყო მითითებული სასწავლო გარემო, რომელსაც საჭიროებდა დავალების შესრულება. არ იყო განსაზღვრული შეცდომების დასაშვები რაოდენობა. ამავე მოდულში, ჯგუფური დავალების/პრეზენტაციის/პროექტის შეფასების შემთხვევაში შეფასების სქემა არ ასახავდა თითოეული სტუდენტის შეფასებას. გაიცა რეკომენდაცია, რომ შეფასების სქემაში ჩანდეს თითოეული სტუდენტის წვლილი/კომპეტენცია შესრულებულ ჯგუფურ სამუშაოში, ან დავალებათა განაწილება მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს თანაბრად მოახდინონ ცოდნის/უნარების დემონსტრირება. ანალოგიური რეკომენდაცია გაიცა მეწარმეობის მოდულისთვისაც. აღსანიშნავია ისიც, რომ, ვიზიტის დროს შესაძლებლი იყო აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. მათ აღნიშნეს, რომ იციან ვერიფიკაციის შედეგების შესახებ და მუშაობენ შეფასების ინსტრუმენტის გაუმჯობესებაზე და ჯგუფური სამუშაოს შეფასების სქემაზე.
- დარგობრივი მოდულების თეორიული კომპონენტის შეფასების პროცესთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები, რომ წერითი შეფასებისას შემუშავებულიყო მრავალფეროვანი დავალებები, მათ შორის ნახაზების/სქემების წაკითხვა. ხოლო ზეპირი გამოკითხვისას (მოდული „ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია), შეფასების ფურცელთან ერთად წარმოდგენილი ყოფილიყო კითხვები/ბილეთები. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები, რათა დადგენილიყო თუ რა თემატიკას/კითხვებს მოიცავდა ჩატარებული შეფასების პროცესი. დარგობრივი მოდულების პრაქტიკული შინაარსის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებში გამოვლინდა, რომ დავალების შესრულებისთვის საჭირო ხელსაწყოები/რესურსი არ იყო მითითებული (მოდული „ზოგადი ელექტრონიკის საფუძვლები“).

გაცემული რეკომენდაციები გამოვლენილი შეუსაბამობების რელევანტურია. გამოვლენილი უზუსტობები/შეუსაბამობები, უფრო მიუთითებს ვალიდაციის პროცესის არაეფექტურობაზე. შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

წარმოდგენილი ვერიფიკაციის /საქმე არ მოიცავს მტკიცებულებებს, შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშებს. ასევე ვერიფიკატორთა მიერ შევსებული დოკუმენტები ხელმოწერილია, მაგრამ არაა დათარიღებული. ვერიფიკატორების მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ყველა ინსტრუმენტი შემოწმდა მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატრის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს გეგმით, ვერიფიკაციის შემდეგი პროცესი დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია:

- პსდ-ს ვერიფიკატორთა ჯგუფის შექმნა იყოს დოკუმენტურად უზრუნველყოფილი (გამოიცეს ბრძანება გამოცემა), სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობას.
- ვერიფიკატორის მიერ შევსებულ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები, რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატორის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - დაწესებულების საქმისწარმოების წესისა და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების წესის თანახმად გაწერილი აქვს უწყისებისა და შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების მართვის წესები. პსდ-ში არსებული წესისა და პრაქტიკის თანახმად მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მისი დადგენილი წესის შესაბამისად განკარგვა. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა საქმისწარმოების სპეციალისტს და ინახება უვადოდ.

დაწესებულებას ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებული უწყისების აღრიცხვას. უწყისები აღრიცხება მატერიალურ ჟურნალში, რომელიც გაფორმებულია საქმისწარმოების წესების მოთხოვნების თანახმად (იხ. ასევე 5.2.2.(1) ინდიკატორის აღწერა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - პროფესიულ სტუდენტს სწავლის პერიოდში განმავითარებელი შეფასების ფორმატში შეუძლია მიიღოს უკუკავშირი მასწავლებლისგან შემდგომი წინსვლისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებისთვის. ამას ხელს უწყობს ასევე, სასწავლო-სიმულაციური პლატფორმა, სადაც სტუდენტს თავად შეუძლია აკონტროლოს საკუთარი მიწევების პროგრესი. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, მანამ, სანამ განხორციელდება განმავითარებელი შეფასება, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიაროს დამატებითი კონსულტაცია, მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რჩევები და მოემზადოს შეფასების პროცესისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ში ასევე ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან ერთად პერიოდულად ხორციელდება პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად იღებს უკუკავშირს, შესაბამის რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. „ძრავის შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესისა და პროცედურის, შეფასების კრიტერიუმების, საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობისა და გამოცდის განრიგის დამტკიცების შესახებ“ (#598 ბრძანება, 30.09.2024)
2. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების და შეფასების წესი (ბრძანება №565, 02.07.2024)
3. პსდ-ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა (ბრძანება №547 15.05.2024);
4. 2022-2023 წლის ვერიფიკაციის ანგარიში
5. კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტები
6. შეფასების ინსტრუმენტები
7. პსდ-ს პერსონალთა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სავალი ნაწილის შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში/ Basic Vocational Qualification in Vehicle Repair
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის ბრძ. № 025; 05.09.2018; ცვლილება ბრძ. № 479[4]; 02.09.2023
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი № 129
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებული სამუშაო გარემო
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	15
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	59
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	74

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას პსდ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავალი ნაწილის შეკეთება“ განხორციელების უფლება მოიპოვა 2019 წლის 17 იანვრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N4 გადაწყვეტილებით. პროფესიული *საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან,* რომელთა ძირითადი ორიენტირებია საავტომობილო მიმართულებით კვალიფიციური პროფესიული კადრების მომზადება-გადამზადება. სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მიზანია (მიზანი 2) საავტომობილო მიმართულებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა, განხორციელება და განვითარება. პსდ მუდმივად ზრუნავს დასახული მიზნების მიღწევისთვის, შესაბამისად პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელებით, დაწესებულება ინარჩუნებს და უზრუნველყოფს პროგრამათა სპექტრს, საავტომობილო მიმართულებით.

დაწესებულების მიერ ჩატარებულ ბაზრის კვლევით დასტურდება, რომ **პსდ-ს სამოქმედო არეალში არსებობს ან/და პროგნოზირებადია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.** კვლევაში მკაფიოდაა გამოკვეთილი საჭიროება სავალი ნაწილის შემკეთებელ სპეციალისტებზე. მოთხოვნა ფიქსირდება, როგორც სწავლის მსურველთა, ასევე დამსაქმებელთა მხრიდან;

დამსაქმებლებისგან/პოტენციური დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონკრეტული კვალიფიკაციის საჭიროება - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2023 წლის შრომის ბაზრის ანალიზის მონაცემებზე დაყრდნობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

-დასაქმების პლატფორმის HR.ge-ის ანალიზი აჩვენებს, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მექანიკოსებისა და შემკეთებლების მიმართულებით ვაკანსიების განთავსების მაჩვენებელი ბაზრის წილის- 68%-ია (მიმართულების შესაბამისად). მოთხოვნას სპეციალისტებზე ერთი მხრივ განპირობებულია იმით, რომ ავტომობილების რაოდენობა მუდმივად იზრდება, ყოველი მეორე ადამიანი მართავს ავტომობილს, ყველა არჩევს კვალიფიციურ სპეციალისტის მომსახურების მიღებას. პსდ-ს პარტნიორი კომპანიისგან მუდმივად არის მოთხოვნა კვალიფიციურ კადრზე. შესაბამისად, პსდ აქვს გარკვეულწილად ვალდებულებაც, უზრუნველყოს კადრების მომზადება და ხელი შეუწყოს ბაზარზე მათ დასაქმებას.

პსდ-სჰყავს საკმარისი ადამიანური რესურსი (პროგრამის განმახორციელებლები) საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სავალი ნაწილის შეკეთება“ ახორციელებს 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის 10 დარგობრივი მოდულის განმახორციელებელი პირია. მასწავლებელთა ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების.

შპს „თეგეტა აკადემია“ იღებს პასუხისმგებლობას და სრულად იაზრებს საკუთარ ღირებულებებს, ხედვასა და მისიას, რომელიც ეხება საავტომობილო მიმართულებით კვალიფიციური კადრების მომზადება/გადამზადებას და პროფესიული ზრდის უნიკალური შესაძლებლობების შექმნას. ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამები აძლიერებს აკადემიის ვალდებულებას, ინოვაციური ინსტრუმენტების გამოყენებით ავტო სფეროთი დაინტერესებული ადამიანებისთვის განახორციელოს ხელმისაწვდომი და მაღალი ხარისხის პროგრამა.

მიუხედავად იმისა, რომ ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, სპეციალისტებზე მოთხოვნა არსებობს, პსდ-ს ავტორიზაციის ციკლის განმავლობაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ განუხორციელებია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - დაწესებულების გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება დასაბუთებას, შეესაბამება მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას - საგანმანათლებლო პროგრამაზე „სავალი ნაწილის შეკეთება“ დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, რაც იდენტურია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პირობასთან.

აპლიკანტთა შერჩევისთვის განსაზღვრულია ორ ეტაპიანი შეფასების სისტემა: ტესტირება და გასაუბრება. **შიდა ტესტირება** მოიცავს უცხო ენასა (ინგლისური ან რუსული) და უნარებში (ვერბალური და მათემატიკური ნაწილი) აპლიკანტთა შეფასებას. ტესტირების თითოეული კომპონენტი თავის მხრივ მოიცავს 20 საკითხს. პსდ-ს მიერ განსაზღვრულია ტესტირების დრო - 1 საათი და 30 წუთი, ასევე შეფასების მაქსიმალური ქულა - 60 და მინიმალური ზღვარი - 15 ქულა. **შერჩევის მეორე ეტაპია - მოტივაციური გასაუბრება .** დაწესებულების მიერ განსაზღვრულია ასევე შერჩევისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - ჯამური შეფასების 25%. შერჩევის პროცედურა ხორციელდება პსდ-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიის მიერ. განსაზღვრული ჩარიცხვის წესის თანახმად, ტესტირების და გასაუბრების ქულების ასახვა ხდება პროფესიული განათლების ელექტრონულ სისტემაში (vet.emis.ge), რეიტინგული სიების საფუძველზე ხორციელდება აპლიკანტებისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება. როგორც აღინიშნა პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტები არ მიუღია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით - რისთვისაც შემუშავებულია პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის წესი (ბრძანება #557, 25.06.2024). კვოტის განსაზღვრისას ითვალისწინებს სასწავლო გარემოს, მათ ტიპებს, ფართის მაჩვენებლებს, სამუშაო ადგილების რაოდენობასა და საჭირო კომპეტენციის მქონე ადამიანურ რესურსს.

პსდ-ს მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში, რაც თავისთავად მოითხოვს პსდ-ს საკუთრებაში შესაბამისი გარემოსა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას. პროგრამის განხორციელებისთვის პსდ-ს გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: A გარემო (სასწავლო აუდიტორია/training room – ფართი 40 კვ.მ.), B გარემო (computer lab ფართი 26. 6 კვ.მ) და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე-technical lab, ფართი 51.23 კვ.მ), C გარემო (ფართი 148 კვ.მ.), რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, სიმულაციური დანადგარებით, თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობისთვის საჭირო მატერიალური რესურსით. თითოეული გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე (15 სამუშაო ადგილი).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას - პსდ-ს მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ განსახორციელებლად აუცილებელი რესურსების ნუსხა, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი პროგრამის თანდართული დოკუმენტაციის მიხედვით, არის აკადემიის საკუთრებაში, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. რაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, პროგრამა სრულადაა უზრუნველყოფილი შესაბამისი თემატიკის თანამედროვე ლიტერატურით, მ.შ. სიმულაციური სასწავლო პლატფორმით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ადგილზე მატერიალური რესურსის, მ.შ. სასწავლო რესურსის შემოწმების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან -საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან - საგანმანათლებლო პროგრამას „სავალი ნაწილის შეკეთება'' წარმოდგენილია არჩევითი მოდულების გარეშე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ - 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების , დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია აკადემიის დირექტორი, შესაბამისად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს ,,თეგეტა აკადემია“ - ს დირექტორის 2018 წლის 05 სექტემბრის ბრძანება N025.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი - პროგრამის სახელწოდება ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ ანალოგიურია ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისი კონცენტრაციის დასახელების, რაც ძალზე ზოგადი შინაარსისა. სახელწოდებით არ ხდება იდენტიფიცირება, რომ სავალი ნაწილი ეხება ავტომობილებს. დაწესებულებამ, აღნიშნული სახელწოდებით, პროგრამის ავტორიზაცია გაიარა 2019 წელს. მას შემდეგ სახელწოდება არ შეცვლილა. შპს ,,თეგეტა აკადემიის“ და მისი დამფუძნებელი კომპანიის შპს ,,თეგეტა მოტორსი“-ს საქმიანობის პროფილიდან გამომდინარე, ლოგიკურად ხდება ბმა, რომ აღნიშნული პროგრამა საავტომობილო სფეროს ეხება.
<u>ვინაიდან პროგრამა სწავლის შედეგების შინაარსით ეხება კონკრეტულად ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთებას, ხოლო პროგრამის ამჟამინდელი დასახელება ზოგადია, მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება კორექტირდეს და ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ან ,,ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“.</u>

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

განმავითარებელი რეკომენდაცია - კორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ კორექტირდეს და ჩამოყალიბდეს ,,მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“ ან ,,ავტომობილის სავალი ნაწილის შეკეთება“.

8. აკადემიის მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოტრანსპორტის სერვისი 07119-Თ საფუძველზე და წარმოადგენს მის ერთ-ერთი კონცენტრაციას. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია:

- პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიდგომები.
- საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი შედგება პროგრამის ძირითადი დოკუმენტის, მოდულებისა და სასწავლო გეგმისგან (მათ შორის ქართული ენის A2 გათვალისწინებით და მის გარეშეც).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სავალი ნაწილის შეკეთება“ (ბრძანება № 025; 05.09.2018);
2. 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების , დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს
3. პსდ-ს კვლევა სატრანსპორტო სფეროს შრომის ბაზრისა და არსებული დამსაქმებლების მოთხოვნების შესახებ
4. პსდ-ს მიერ შევსებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რეავტორიზაციის/ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა“ 2024 წ.
5. პსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2020-2026
6. შპს „თეგეტა აკადემიის“ სტრუქტურული ერთეულების დებულება;
7. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის - ,,სავალი ნაწილის შეკეთება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის შპს ,,თეგეტა აკადემია"-ს გააჩნია საჭირო მატერიალური რესურსი, რაც დასტურდება შესაბამისი დოკუმენტებით. დაწესებულების საკუთრებაშია სრულფასოვნად აღჭურვილი A გარემო (საწავლო აუდიტორია/training room – ფართი 40 კვ.მ.), B გარემო (computer lab ფართი 26. 6 კვ.მ) და AC გარემო (სასწავლო/პრაქტიკული სივრცე-technical lab, ფართი 51.23 კვ.მ), C გარემო (ფართი 148 კვ.მ). C გარემოში განთავსებულია აკადემიის საკუთრებაში არსებული სასწავლო ავტოსატრანსპორტო საშუალება, ავტომობილის ტრანსმისიის ელემენტების ჩამოსაღები დგარი და შესაბამისი იარაღების კომპლექტის რამდენიმე ერთეული, გარემო აღჭურვილია უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოდულის ,,საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი" სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელია ავტომობილის თვლების შეყრის კორექტირების აპარატის არსებობა, რაც პსდ-ს სასწავლო გარემოში არაა. აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევის მიზნით დაწესებულებამ წარმოადგინა შპს ,,თეგეტა მოტორსთან" გაფორმებული ნივთის შესახებ იჯარის ხელშეკრულება(№24.10.2024/01). აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე პსდ-ს უფლება აქვს, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას, გამოიყენოს თვლების შეყრის კორექტირების აპარატი ავტორიზაციის ვადით.
   ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსის არსებობა და შესაბამისობა მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან. შედეგად დგინდება, რომ პსდ-ს მიერ მოთხოვნილი 15 პროფესიული სტუდენტისთვის მის საკუთრებაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი სრულად უზრუნველყოფს მოცემულ პროგრამაზე დუალური მიდგომით სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და მაღალი ხარისხით განხორციელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულების სწავლება მიმდინარეობს აკადემიის ბაზაზე შესაბამისი კვალიფიკაციის პროფესიული მასწავლებლების მიერ. მოდულების განხორციელებაში ჩართულია 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივი 5. რაც სრულად საკმარისია სასწავლო პროცესის სრულფასოვნად წარმართვისთვის. თუმცა აღსანიშნავია, რომ პროფესიული მოდულების ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები" და „ზოგადი ელექტრონიკის საფუძვლები" სწავლებას წარმართავს ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს მოდულის განმახორციელებელი მეორე პირის შერჩევა. პდს-ს მიერ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად გადმოგზავნილი იყო 04.09.2024 წელს განმახორციელებელ პირთან (ბ.ქ.) დამატებით გაფორმებული შეთანხმება. შესაბამისად ექსპერტების მიერ გაზიარებული იქნა პსდ-ს პოზიცია და კორექტირდა რეკომენდაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის დროს გადამოწმდა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, სასწავლო გეგმა, ცხრილები, პერსონალის დატვირთვის ფურცლები და მათი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. წარმოდგენილი დოკუმენტებით პერსონალის დატვირთვა არ აღემატება საკანონმდებლო მოთხოვნებს. პირადი საქმეები დაკომპლექტებულია სრულად და მოიცავს კანონმდებლობით და პსდ-ს მიერ საქმისწარმოების წესით დადგენილ ყველა დოკუმენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია პსდ-მ მოიძიოს დამატებითი განმახორციელებელი პირი მოდულისთვის ,,საზეინკლო საქმის საფუძვლები“.

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ამასთან დაკავშირებით პსდ-ში ვიზიტის პერიოდში, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ყველა პროფესიული განათლების მასწავლებლის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები სრულ შესაბამისობაშია აკადემიაში მოქმედ ,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებსა და პერსონალის მართვის დოკუმენტის მოთხოვნებთან. შესაბამისად, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა პროგრამის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობას, რასაც ადასტურებს ერთი მხრივ პირად საქმეებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია: დიპლომები და სერტიფიკატები, დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები; ხოლო მეორე მხრივ თავად განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი“, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები. პსდ მუდმივად ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე (იხ. ასევე 4.2.1 (3) ინდიკატორის აღწერა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ,,სავალი ნაწილის შეკეთება“ ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ამავდროულად არის დარგობრივი პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პირი. პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება პირადი საქმის მასალებით, დარგში მუშაობის გამოცდილებით. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტით, კერძოდ შპს ,,თეგეტა აკადემია“-ს დებულებით. პროგრამის ხელმძღვანელთან, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ იგი იცნობს საკუთარ ფუნქცია-მოვალეობებს, მონაწილეობას იღებდა პროგრამის განხორციელებაში, ამ ეტაპზე აქტიურადაა ჩართული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 05 ივნისის №553 ბრძანებით დამტკიცებული ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის" ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი"-თ, განსაზღვრულია ბიბლიოთეკის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ასევე უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. საგანმანათლებლო რესურსი ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით, ელექტრონული სახელმძღვანელოები განთავსებულია ვებ-გვერდზე. ვებ-გვერდზე საგანმანათლებლო რესურსით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. პსდ-ში არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ვიზიტის პერიოდში შემოწმდა პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსის ადგილზე არსებობა. მოდულებში მითითებული რესურსის არსებობა, დადასტურდა. კონცენტრაციის მოდულების განსახორციელებლად ბიბლიოთეკაში ასევე ელექტრონული სახით წარმოდგენილია ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები ინგლისურ და რუსულ ენებზე. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ მოდულებში ასევე დატოვებულია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული რესურსი, რაც არ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შინაარსს. დამკვიდრებული პრაქტიკით, მოდულებში არ მიეთითება ძირითადი და დამხმარე სასწავლო ლიტერატურა/რესურსი, შესაბამისად, დარგობრივი ექსპერტის მიერ გაიცა რეკომენდაცია, პსდ-ს მიერ გადაიხედოს მითითებული ლიტერატურა და შესაბამისობაში მოვიდეს პსდ-ს საკუთრებაში არსებულ საგანმანათლებლო რესურსთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული იყოს პსდ-ს საკუთრებაში არსებული საგანმანათლებლო რესურსი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად - აღნიშნული საკითხის რეგულირების მიზნით, პსდ-ს შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური გეგმის შემუშავების წესი" (14.06.2023 წ. ბრძანება N428[1]). დოკუმენტით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების გარემოებები, ესენია: გარე ან შიდა მობილობით სარგებლობის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება-აღდგენის, სსმ/შშმ პირის სტატუსის არსებობისა და ისგ საჭიროების აუცილებლობის შემთხვევები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა, რეგულაციის გადამოწმებით ჩანს საჭიროების შემთხვევაში სსსმ პირებს წვდომა ექნებათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა - დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამის დოკუმენტს თან ერთვის პროგრამის ბიუჯეტი, რომლის თანახმად განსაზღვრულია რენტაბელობის ზღვარი (10 პროფესიული სტუდენტი), ძირითადი შემოსავლები და ხარჯები. ბიუჯეტის მიხედვით ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სავალი ნაწილის შეკეთება'' ფინანსურად მდგრადია. პროგრამის ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლების წყაროდ პსდ მოიაზრებს სწავლის საფასურს/ვაუჩერს. თუმცა სხვა პროგრამების ბიუჯეტის ანალოგიურად, დამატებით ფინანსურ უზრუნველყოფას ახდენს ტრენინგ-კურსების განხორციელებით მიღებული რესურსით. პროგრამა ფინასურად მდგრადია, პსდ-ს მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების საჭიროებებს (იხ. ასევე 5.3 ქვესტანდარტის აღწერა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სავალი ნაწილის შეკეთება“ (ბრძანება № 025; 05.09.2018);
2. 2024 წლის 12 სექტემბრის № 592 ბრძანების ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის პროგრამის შემუშავების , დამტკიცების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს პსდ-ს მიერ შევსებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების რეავტორიზაციის/ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის ფორმა“ 2024 წ;
3. პსდ-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამუშაო აღწერილობები (16.10.2024 წ. ბრძანება №606);
4. ,,შპს ,,თეგეტა აკადემიის“ ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ (05.06.2024 წ. ბრძანება №553);
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
6. ,,შპს „თეგეტა აკადემიის“ მიერ პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პერსონალის შერჩევის წესი“ (02.07.2024 წ. ბრძანება №566);
7. შპს ,,თეგეტა მოტორსთან“ გაფორმებული ნივთის შესახებ იჯარის ხელშეკრულება(№24.10.2024/01);
8. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ. - შპს თეგეტა აკადემიის დირექტორის 2024 წლის 15 მაისის N547 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა, რომლის თანახმად პროგრამის შეფასება ციკლური პროცესია, რაც ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებით ხორციელდება. პროგრამის განვითარებისთვის შეფასებაში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ დამსაქმებლებმა, პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებმა, პროფესიულმა სტუდენტებმა, პროფესიულმა მასწავლებლებმა). ინფორმაციის შეგროვება ხდება სპეციალური კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება ცვლილება პროგრამასა ან/და მოდულებში. აღნიშნულ პროგრამაზე გამოკითვა არ განხორციელებულა, თუმცა მოქმედი პროგრამების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტებისა და მოდულის განმახორციელებელი მასწავლებლების გამოკითხვების საშუალებით, გაკეთდა პროგრამის განხორციელების შუალედური ანალიზი, თუმცა პროგრამაში დამატებითი ცვლილების განხორციელების საჭიროება არ დამდგარა.

   პროგრამების განვითარებისა და უცხოური პრაქტიკის გაზიარების მიზნით, პსდ-ს პერსონალმა განახორციელა სასწავლო ვიზიტი ნიდერლანდების წამყვან კოლეჯში, რომელიც საავტომობილო მიმართულების პროგრამებს ახორციელებს. უცხოური გამოცდილება გაზიარებული იქნა პსდ-ს სხვა თანამშრომლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან. კოლეჯის დამფუძნებელი და პარტნიორი ორგანიზაცია - შპს თეგეტა მოტორსი“, როგორც ქვეყანაში შრომის ბაზრის უმსხვილესი დამსაქმებელი, ასევე დარგის გამოცდილი სპეციალისტები უშუალოდ არიან ჩართულნი პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასა და სხვა სასწავლო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებისა და განვითარების პროცესებში. რაც უზრუნველყოფს საგანმანთლებლო პროგრამებისა და მიწოდებული მასალების აქტუალობას.

   ხარისხის მართვის მენეჯერმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები. კვლევაში მონაწილეობა მიიღო პსდ-ს კონტინგენტის 90 %-მა. გამოკითხულთა 85 % კმაყოფილია კოლეჯის მიერ შეთავაზებული სერვისებით და მომსახურებით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ასევე სამოქმედო გეგმა და დაწესებულების მიერ შესრულებული სამუშაოები. ერთ-ერთი მთავარი პროცესი არის საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, რომელიც თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პსდ-ს დაგეგმილი აქვს პროგრამის გადახედვა, პსდ-ს დაინტერესებული მხარეების საჭიროებებისა და უკუკავშირის, ასევე დარგის ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით ცვლილებების განხორციელება. რასაც ასევე განაპირობებს საგანმანათლებლო სტანდარტებში მიმდინარე განახლების პროცესი, სადაც ასევე არიან ჩართულები დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელი პირები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პსდ-ს არსებული რეგულაციის მიხედვით, კოლეჯში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე. პროგრამების განხორციელების ხარისხთან და განვითარებასთან დაკავშირებული პროცესებიც ხორციელდება და იგეგმება აღნიშნული ციკლის შესაბამისად. დაწესებულებას შიდა პროცედურების დაცვით განხორციელებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამაში რიგი ცვლილებები (მაგ. ცვლილებები ეხებოდა, სასწავლო გეგმას, მე-2 დანართს). პსდ-ს წარმომადგენლის განმარტებით, პროფესიული უნარების სააგენტოს მიერ ჩარჩო დოკუმენტის განახლების პროცესში ჩართულია დაწესებულების პერსონალი, შესაბამისად მათი მხრიდან უზრუნველყოფილია დაგროვილი გამოცდილების გაზიარება სამუშაო ჯგუფთან, ჩარჩო დოკუმენტის ცვლილების/განახლების შემდეგ, პსდ გეგმავს ასევე საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამის გადახედვა/განახლებასა და გაუმჯობესებას დარგში განვითარებული სიახლეების გათვალიწინებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემა (15.05.2024 წ. ბრძანება N547) ;
2. პსდ-ს დირექტორის ბრძანება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სავალი ნაწილის შეკეთება“ დამტკიცების შესახებ დირექტორის (ბრძანება № 025; 05.09.2018);
3. პსდ-ს დირექტორის ბრძანებები პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ განხორციელებული ცვლილების შესახებ (ბრძანება № 479[4]; 02.09.2023; ბრძანება № 446, 18.05.2023).
4. ჰიბრიდული ან/და ელექტრომობილების მიმართულებით სერვისების საჭიროებების კვლევა
5. პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის ანკეტები და შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
6. პსდ-ს პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემუშავებულია სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ორგანიზება (სასწავლო ცხრილები იქმნება პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად). გეგმის თანახმად პროგრამაზე სწავლების სრული ხანგრძლივობაა - 40 სასწავლო კვირა. გეგმაში ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულით გათვალისწინებული საათების და პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით (კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს). საგანმანთლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა დაგეგმილი, რომ დაცულია სწავლის შედგებით გათვალისწინებული კომპეტენციის მიღწევისთვის საჭირო ლოგიკური თანმიმდევრობა და მოდულზე დაშვების წინაპირობები. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით გაწერილი ვადები მოდულის გადაბარების საჭიროების დადგომისას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კურსდამთავრებულებსა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე - კერძოდ, დაწესებულების პერსონალსა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის დაწყების წინ ხორციელდება პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრა, სასწავლო განრიგის გაცნობა. სტუდენტთა ობიექტური საჭიროებებიდან გათვალისწინებით, ხდება ცვლილებების განხორციელება. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პსდ-ს ადმინისტრაცია ყოველთვის გამოხატავდა მზაობას და ითვალისწინებდა სტუდენტების საჭიროებებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - არსებული პრაქტიკით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას - „სავალი ნაწილის შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია სწავლებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკითა და რესურსით, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას. პსდ-ს ბაზაზე წარმოდგენილი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი ტექნოლოგიები თანამედროვეა და სრულად უზრუნველყოფს შესასწავლი თემატიკის პროფესიული სტუდენტისათვის მიწოდების/აღქმის სიმარტივეს. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის ხელმისაწვდომია ავტომობილის სავალი ნაწილის დიაგნოსტიკისა და შეკეთებისათვის აუცილებელი საინფორმაციო ბაზები, შესაბამისად მოცემული პროგრამის განხორციელების პროცესში აკადემია სრულად გამოიყენებს სწავლებისა და სფეროს უახლეს მიღწევებს. პსდ-ს სასწავლო სიმულაციური პლატფორმა, ასევე იძლევა შესაძლებლობას პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევები გამოიმუშაონ ვირტუალურად მოდელირებულ სიტუაციებში, დაეუფლონ ხელსაწყოების/ინსტრუმენტების გამოყენების წესებს, საჭირო წარმოებასა და სხვა პროფესიული ამოცანებს შესრულებას. გაეცნონ სხვადასხვა ავტომობილის სისტემებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები - პსდ ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილავს ყველა იმ შემთხვევას, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ ხორციელდება, მაგ. სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, შიდა/გარე მობილობა, დამატებითი შეფასების საჭიროება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. შიდა რეგულაციების თანახმად, ასეთი საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას და/ან აკომოდაციას. ამასთან, ასეთი გარემოების დადგომისას, რეგულაციის თანახმად, პსდ აზუსტებს სსსმ სტუდენტისთვის საჭირო, დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. დაწესებულების პერსონალის განმარტებით, მსგავსი პრაქტიკის გამოყენების საჭიროება პსდ-ში არ დამდგარა. შესწავლილი რეგულაციისა და პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებული იქნება პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან -განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით - პსდ-ს სასწავლო/სამუშაო გარემოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებული აქვს ყველა საჭირო რეგულაცია და ინსტრუქცია. უსაფრთხოების მოთხოვნების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია შპს „თეგეტა მოტორსი“, პსდ-თან გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულების ფარგლებში. შესაბამისად, კომპანიის მიერ შერჩეულია შესაბამისი პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. პსდ-ში კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ხორციელდება ინსტრუქტაჟი, მ.შ. პროფესიული სტუდენტებისთვის. დაწესებულებაში, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების სივრცეებში, ხორციელდება გარემო ფაქტორების მონიტორინგი/კვლევა კანონმდებლობით დადგენილი პერიოდულობით. ორივე სივრცეში, თვალსაჩინოდ განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები, შესაბამისი კომპლექტაციითა და ნიშანდებით.
   დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის განკუთვნილ C გარემოში განთავსებული აქვს პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, დამუხტული ცეცხლმაქრები. ძაბვის ქვეშ მყოფი, წნევისა და დატვირთვით მომუშავე მოწყობილობების უსაფრთხოდ მოხმარების მიზნით მოწყობილობებზე დატანილია შესაბამისი პიქტოგრამები და გამაფრთხილებელი წარწერები. პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებით, ინსტრუქტორის მეთვალყურეობის ქვეშ, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად წარმოდგენილი გარემო აღჭურვილია იძულებითი ვენტილაციის ინდივიდუალური საშუალებებით, რაც ხელს უშლის გარემოში ჰაერის დაბინძურებას, სამუშაო პროცესში გამოიყენება ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ სავალი ნაწილის შეკეთება“ დანართებითურთ;
3. მოდულის „ტრანსმისიის კლასიფიკაცია“-711908 კალენდარული გეგმა
4. შპს „თეგეტა მოტორსა“ და შპს „თეგეტა აკადემიას“ შორის გაფორმებული საკონსულტაციო/პროფესიული მომსახურების გაწევის შესახებ გენერალური ხელშეკრულება №0198, 30.01. 2019 წ.;
5. შპს თეგეტა აკადემიაში ფიზიკური ფაქტორების კვლევის შედეგები (21.02.2024; 25.07.2024);
6. ვიზუალური დათვალიერების, პსდ-ს პერსონალთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური - პსდ-ს შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი (ბრძანება #565, 02.07.2024) და მისი ადმინისტრირების მექანიზმები, რომლებიც ემყარება შეფასების აღიარებულ პრინციპებს. წესი მოიცავს განმეორებითი შეფასების, შეფასების შედეგების გაცნობის, გასაჩივრების, შეფასების პროცესის დოკუმენტირების, ასევე შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების, ვალიდაცია-ვერიფიკაციის პროცესების ადმინისიტრირების საკითხებს, მათ შორის შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდების შესახებ. დოკუმენტით განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდის დაგეგმვისა და შეფასების პირობები. კერძოდ: საკვალიფიკაციო გამოცდა შედგება 2 ნაწილისაგან თეორიული გამოცდა (40 ქულა, ბარიერი მაქსიმალური ქულის 60% გადალახვა) და პრაქტიკული გამოცდა (60 ქულა ბარიერი მაქსიმალური ქულის 75% გადალახვა). თეორიული გამოცდა შედგება 40 ტესტისგან (დახურული, ღია) , ხოლო პრაქტიკული გამოცდა/დავალების შესრულების კრიტერიუმები დაყოფილია სამ ნაწილად: სამუშაოს დაგეგმვა (ჯამში 8 ქულა), სამუშაოს შესრულების ხარისხი (ჯამში 40 ქულა)და შესრულებული სამუშაოს კონტროლი და ხარვეზების გამოსწორება (ჯამში 12 ქულა). თითოეული კრიტერიუმი ჩაშლილია ქვეკრიტერიუმებად და მინიჭებულია აქვს თანაბარი წონის ქულები, გარდა შესრულებული სამუშაოს კონტროლი და ხარვეზების გამოსწორებისა, რომელიც მოიცავს 2 ქვეკრიტერიუმს და შემდეგნაირად ფასდება: „დავალების შემდეგ წესების დაცვით დაასუფთავა სამუშაო სივრცე, შეინახა ინსტრუმენტები“ - 4 ქულა, „აღმოფხვრა აღმოჩენილი უწესივრობები“- 8 ქულა; ამ უკანასკნელი კრიტერიუმის შემთხვევაში, სასურველია, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისა და შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, ჩაიშალოს/კორექტირდეს შემდეგი შინაარსის კრიტერიუმებად მაგ.: „აღმოაჩინა ხარვეზები“ , „ აღმოფხვრა ხარვეზები“ და მოხდეს შეფასების შესაბამისი სკალის განსაზღვრა – „სრულად“, „ნაწილობრივ“, „ვერ აღმოაჩინა“

ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა განხორციელებული პროგრამების კურსდამთავრებულებს, რომელთაც დაადასტურეს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ შეფასების სისტემისა და აპელაციის პროცედურების შესახებ, ასევე ექსპერტთა კითხვების საფუძველზე, დეტალურად აღწერეს პროცესი და დაადასტურეს, რომ შეფასებამდე ხდებოდა ინფორმირება, როგორ აწვდიდნენ შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია ინდივიდუალურად მიეწოდებოდათ.

ექსპერტთა მხრიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა პსდ-ს შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების და შეფასების პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტები, მათ შორის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკის დღიურები, რომლებშიც შეტანილი იყო ინფორმაცია, პრაქტიკის პერიოდში განხორციელებული აქტივობების და გამოყენებული რესურსების შესახებ. წარმოდგენილ ინსტრუმენტები იძლევა შესაფასებელი კომპონენტის შეფასების შესაძლებლობას, ასევე ინსტრუმენტები შიდა რეგულაციის დადგენილი სტრუქტურის შესაბამისია, მოიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას შეფასების პირობებსა და მოთხოვნებზე. წარმოდგენილი შეფასების მტკიცებულებები რელევანტურია. ვერიფიკაციის დასკვნით არაა გამოვლენილი არა ობიექტური შეფასების ფაქტი. კურსდამთავრებულებმა გასაუბრებისას დაადასტურეს, რომ შეფასების პროცესი ყველასთვის ერთნაირად, სამართლიანობის პრინციპების დაცვით ხორციელდებოდა და შეფასებისას დაცული იყო მათი ინტერესები.

განხორციელებული ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ პსდ-ს მიერ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია, მიუკერძოებლობის უზრუნველყოფისა და შემფასებელი პირის სუბიექტურობის გამორიცხვის/პრევენციის მიზნით, გადაიხედოს საკვალიფიკაციო გამოცდის პრაქტიკული დავალების შეფასების კრიტერიუმები და შეფასების სკალა/ქულები.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს - რაც პსდ- გაწერილი აქვს შიდა ნორმატიულ დოკუმენტებში: პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების და შეფასების წესი (მუხლი 8) და პსდ-ს ხარისხის მექანიზმები, დანართი 12. პსდ-ს შიდა ვერიფიკაციის სიტემა მოიცავს შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის, შეფასების პროცესის და მტკიცებულებების ვერიფიკაციას, რომელიც ეფუძნება ვერიფიკაციის პროცესის აღიარებულ პრინციპებს. წესისა და განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში, ადგენს სასწავლო წლის განმავლობაში ვერიფიკაციის გეგმას. ხარისხის მენეჯერის ფუნქციას წარმოადგენს ვერიფიკატორების შერჩევა-ინსტრუქტაჟი და ინსტრუმენტების შერჩევა. მასვე ევალება ვერიფიკაციის ანგარიშის პროექტის მომზადება-განხილვის ორგანიზება და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ვერიფიკაციის პროცესის განხორციელებისთვის, ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ, ზეპირი განკარგულების საფუძველზე, პსდ-ს შესაბამისი ადამანური რესუსისა და ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით, შექმნა ჯგუფი. აღნიშნული საკითხის შესახებ არ ყოფილა ბრძანება გამოცემული. ვერიფიკატორებისა და მათი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია არაა ასახული ანგარიშის დოკუმენტშიც. სასურველია პსდ-მ უზრუნველყოს სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანების გამოცემა, სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქიტის არ არსებობას.

ვიზიტს ფარგლებში შესწავლილი იქნა პსდ-ს მიერ განხორციელებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველი დოკუმენტები და ანგარიში. ვერიფიკაცია განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ ფარგლებში და მოიცვა ყველა მოდულის ყველა შეფასების ინსტრუმენტი (15 პროფესიული მოდული, 13 პროფესიული სტუდენტი). ანგარიშის დოკუმენტში ასახულია გამოვლენილი უზუსტობები/შეუსაბამობები და რეკომენდაციები, მაგ.:

- მოდული „მეწარმეობა“ - შეფასების ინსტრუმენტით არ იყო მითითებული დავალების/პროექტის წარდგენის ფორმა (წერილობითი, ზეპირი, პრეზენტაცია);
- მოდული „ინტერპერსონალური კომუნიკაცია“ - განსაზღვრული იყო შეფასების საერთო დრო, ხოლო დავალებებისთვის ინდივიდუალურად არა. ასევე არ იყო მითითებული სასწავლო გარემო, რომელსაც საჭიროებდა დავალების შესრულება. არ იყო განსაზღვრული შეცდომების დასაშვები რაოდენობა. ამავე მოდულში, ჯგუფური დავალების/პრეზენტაციის/პროექტის შეფასების შემთხვევაში შეფასების სქემა არ ასახავდა თითოეული სტუდენტის შეფასებას. გაიცა რეკომენდაცია, რომ შეფასების სქემაში ჩანდეს თითოეული სტუდენტის წვლილი/კომპეტენცია შესრულებულ ჯგუფურ სამუშაოში, ან დავალებათა განაწილება მოხდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს თანაბრად მოახდინონ ცოდნის/უნარების დემონსტრირება. ანალოგიური რეკომენდაცია გაიცა მეწარმეობის მოდულისთვისაც. აღსანიშნავია ისიც, რომ, ვიზიტის დროს შესაძლებლი იყო აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება. მათ აღნიშნეს, რომ იციან ვერიფიკაციის შედეგების შესახებ და მუშაობენ შეფასების ინსტრუმენტის გაუმჯობესებაზე და ჯგუფური სამუშაოს შეფასების სქემაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- დარგობრივი მოდულების თეორიული კომპონენტის შეფასების პროცესთან დაკავშირებით გაიცა რეკომენდაციები, რომ წერითი შეფასებისას შემუშავებულიყო მრავალფეროვანი დავალებები, მათ შორის ნახაზების/სქემების წაკითხვა. ხოლო ზეპირი გამოკითხვისას (მოდული „ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია), შეფასების ფურცელთან ერთად წარმოდგენილი ყოფილიყო კითხვები/ბილეთები. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ გამოიკითხა პროფესიული სტუდენტები, რათა დადგენილიყო თუ რა თემატიკას/კითხვებს მოიცავდა ჩატარებული შეფასების პროცესი. დარგობრივი მოდულების პრაქტიკული შინაარსის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებში გამოვლინდა, რომ დავალების შესრულებისთვის საჭირო ხელსაწყოები/რესურსი არ იყო მითითებული (მოდული „ზოგადი ელექტრონიკის საფუძვლები“).

გაცემული რეკომენდაციები გამოვლენილი შეუსაბამობების რელევანტურია. გამოვლენილი უზუსტობები/შეუსაბამობები, უფრო მიუთითებს ვალიდაციის პროცესის არაეფექტურობაზე. შესაბამისად, ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

წარმოდგენილი ვერიფიკაციის /საქმე არ მოიცავს მტკიცებულებებს, შემოწმებული შეფასების ინსტრუმენტების ნიმუშებს. ასევე ვერიფიკატორთა მიერ შევსებული დოკუმენტები ხელმოწერილია, მაგრამ არაა დათარიღებული. ვერიფიკატორების მიერ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში, როცა ყველა ინსტრუმენტი შემოწმდა მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატრის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.

პსდ-ს გეგმით, ვერიფიკაციის შემდეგი პროცესი დაგეგმილია მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბერში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

განმავითარებელი რეკომენდაცია: მიზანშეწონილია

- პსდ-ს ვერიფიკატორთა ჯგუფის შექმნა იყოს დოკუმენტურად უზრუნველყოფილი (გამოიცეს ბრძანება გამოცემა), სადაც აისახება ვერიფიკატორთა კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია, რომელიც დაადასტურებს ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობას.
- ვერიფიკატორის მიერ შევსებულ შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ჩეკ-ლისტებს თან ახლდეს იმ შეფასების ინსტრუმენტების ასლები, რომლებიც შეფასდა, კონკრეტულ შემთხვევაში მინიმუმ ის ნიმუშები, სადაც ვერიფიკატრის მიერ დაფიქსირდა შენიშვნები/გაიცა რეკომენდაცია.
- დაწესებულებამ უზრუნველყოს ორმაგი ვალიდაცია, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმება ვალიდაციისას განხორციელდეს მინიმუმ ორი შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მიერ.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით - დაწესებულების საქმისწარმოების წესისა და პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასების წესის თანახმად გაწერილი აქვს უწყისებისა და შეფასების ინსტრუმენტების/მტკიცებულებების მართვის წესები. პსდ-ში არსებული წესისა და პრაქტიკის თანახმად მტკიცებულებები ინახება უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, რის შემდეგაც ხდება მისი დადგენილი წესის შესაბამისად განკარგვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის სამსახურის უფროსთან, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა საქმისწარმოების სპეციალისტს და ინახება უვადოდ.

დაწესებულებას ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელ შეფასებასთან დაკავშირებული უწყისების აღრიცხვას. უწყისები აღრიცხება მატერიალურ ჟურნალში, რომელიც გაფორმებულია საქმისწარმოების წესების მოთხოვნების თანახმად (იხ. ასევე 5.2.2.(1) ინდიკატორის აღწერა).

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის - პროფესიულ სტუდენტს სწავლის პერიოდში განმავითარებელი შეფასების ფორმატში შეუძლია მიიღოს უკუკავშირი მასწავლებლისგან შემდგომი წინსვლისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესებისთვის. ამას ხელს უწყობს ასევე, სასწავლო-სიმულაციური პლატფორმა, სადაც სტუდენტს თავად შეუძლია აკონტროლოს საკუთარი მიწევების პროგრესი. რაც შეეხება განმსაზღვრელ შეფასებას, მანამ, სანამ განხორციელდება განმავითარებელი შეფასება, სტუდენტს შესაძლებლობა აქვს გაიაროს დამატებითი კონსულტაცია, მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რჩევები და მოემზადოს შეფასების პროცესისთვის.

პსდ-ში ასევე ხარისხის მართვის მენეჯერისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსთან ერთად პერიოდულად ხორციელდება პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე პროფესიული სტუდენტი ინდივიდუალურად იღებს უკუკავშირს, შესაბამის რეკომენდაციებს სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე, დასტურდება ინდიკატორის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან - პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების და შეფასების წესი (ბრძანება 565, 02.07.2024)
2. პსდ-ს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სისტემა (ბრძანება №547 15.05.2024);
3. 2022-2023 წლის ვერიფიკაციის ანგარიში
4. კვალიფიკაციის მინიჭების დოკუმენტები
5. შეფასების ინსტრუმენტები
6. პსდ-ს პერსონალთა და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეიტანოთ ინფორმაცია მხოლოდ იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ივსება თითოეული მილევადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.

პროგრამის სახელწოდება	
პროფესიული განათლების დონე	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	
პროგრამის განხორციელების ენა	
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

02.12.2024.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: